კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ოთარ სომხიშვილი

# ლობიზმის როლი სადაზვერვო საქმიანობაში

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დისერტაცია

თბილისი 0141 ,საქართველო

საავტორო უფლება@ ოთარ სომხიშვილი 2024

# განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

ოთარ სომხიშვილი

01.05.2024

# მადლიერების გვერდი

წინამდებარე ნაშრომი სრულყოფილი ვერ იქნებოდა, რომ არა იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც სამი წლის განმავლობაში გვერდში მედგნენ და მონაწილეობდნენ კვლევის პროცესში. განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ თემის ხელმძღვანელს, ისტორიის დოქტორს, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ბატონ დავით კუხალაშვილს.

გაწეული დახმარებისა და კონსულტაციისთვის მინდა მადლობა გადავუხადო პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ქალბატონ თამარ კიკნაძეს. თანამდგომისათვის მადლიერებას გამოვხატავ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ბატონ ალიკა გუჩუასადმი. გვერდში დგომისა და კეთილდამოკიდებულებისთვის მადლობას მოვახსენებ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ქეთევან შოშიაშვილს. დისერტაციის მუშაობის პროცესში მხარდაჭერისთვის მინდა მადლობა გადავუხადო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ნინო მინდიაშვილს.

გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ დარგის ექსპერტებს ბატონებს: თენგიზ ენდელაძეს, გიორგი ქიმაძეს, გელა გიორგაძეს. კვლევის პროცესში ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის მინდა მადლიერება გამოვხატო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ბატონ დავით ტაბატაძისადმი. დახმარებისთვის ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ზუხუტი სიჭინავას

## ანოტაცია

თანამედროვე სახელმწიფოთა ურთიერთობებში სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი ხშირად გამოიყენება, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი მეცნიერულ შესწავლა. მიუხედავად სტრატეგიული თანამშრომლობისა სახელმწიფოები, გამოწვევებთან და საფრთხეებთან გასამკლავებლად, ერთმანეთის წინააღმდეგ მუდმივად იყენებენ სადაზვერვო საქმიანობას, რაც ოდითგანვე ემსახურებოდა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი აჩვენებს, რომ ლობიზმი თავსებადია სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებებთან. შესაბამისად, ნაშრომში განსაზღვრულია სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებები და სადაზვერვო ლობირებისთვის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ დაზვერვის სამიზნე სეგმენტს.

ნაშრომში პრაქტიკული მაგალითების სახით, წარმოდგენილია სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის უარყოფითი გავლენა სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ხოლო, ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუ, ადასტურებს სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის შესწავლის აუცილებლობას. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის კუთხით არსებული საფრთხეები და გამოწვევები, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში პერმანენტულ ხასიათს ატარებს დღემდე.

ტექსტში მიმოხილულია 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები, რომელთა ორგანიზებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა უცხო სახელმწიფოების მიერ, სადაზვერვო ინტერესების ლობირება. ამასთან ერთად, მოვლენათა პარალელიზმის ჭრილში შეფასებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) და პოსტსაბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებული სადაზვერვო მეთოდები. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მეთოდოლოგია წარმატებული ვერ იქნებოდა, რომ არა, საქართველოს

სპეცსამსახურებში არსებული პრობლემები. შესაბამისად, ნაშრომის შემაჯამებელ ნაწილში არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი საქართველოს სპეცსამსახურებში, საკვლევი საკითხის მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლის ანალიზითაც განისაზღვრა კლასიფიკატორი. მისი საშუალებით შესაძლებელია საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების იდენტიფიკაცია და პროგნოზირება. ასევე, რისკების თავიდან არიდების / მინიმუმამდე დაყვანის მიზნით განსაზღვრა რეკომენდაციები. ქართული სამეცნიერო სივრცისთვის, კლასიფიკატორი შინაარსობრივი დატვირთვით წარმოადგენს სიახლეს. თეორიული და პრაქტიკული ღირებულებით, მას წვლილი შეაქვს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

# Annotation

The use of intelligence lobbying in relations between states is one of the important issues that needs scientific study. Despite the strategic cooperation, the states constantly use intelligence activities against each other to de-escalate challenges and threats, which served and serve to protect and develop national security.

The paper defines the directions of intelligence activities and the vulnerable groups that are the target of intelligence activities. The analysis of current events shows the compatibility of lobbying with the directions of intelligence activities. The paper presents the damaging influence of intelligence lobbying on the national security of the state as practical examples. The analysis of the interview conducted with experts confirms the importance of studying intelligence lobbying, which makes the research question very relevant.

The dissertation discusses the dangers and challenges of intelligence-based lobbying, which was and continues to be permanent in relation to Georgia. Also, the political and economic processes of the Democratic Republic of Georgia (1918-1921) are reviewed, in the course of which the lobbying of intelligence interests by foreign states played an important role. Along with this, in terms of the parallelism of the events, the methodologies of intelligence influence used by foreign states on the Democratic Republic of Georgia (1918-1921) and post-Soviet Georgia are evaluated. The use of the mentioned methodologies against Georgia could not have been successful if it were not for the problems in the Georgian special services. Accordingly, in the concluding part of the paper, the deficiencies and challenges in the intelligence lobbying direction of the special services of Georgia are presented in an argumentative manner.

The final part presents the results of the research, the analysis of which determines the classifier. Through it, it is possible to identify and predict the threats and challenges facing Georgia. In order to avoid/minimize risks, recommendations are defined in the classifier, which makes it possible at a practical level. The classifier,

which was compiled as a result of the present research, is a novelty for the Georgian scientific space. The work, with its theoretical and practical value, contributes to the process of ensuring the national security of Georgia.

# სარჩევი


**შესავალი** ........................................................................................................ 1

**I თავი - სადაზვერვო საქმიანობაში ლობიზმის როლის ისტორიულ - თეორიულ საფუძვლები** ....... 15

1.1. დაზვერვისა და ლობიზმის როლი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში ........................................................................................................ 17

1.2. სადაზვერვო საქმიანობის რეტროსპექტული ანალიზი ........................................ 26

1.3. სადაზვერვო საქმიანობის და ლობიზმის კორელაციის თეორიულ კონცეპტუალური ხედვა ... 35

**II თავი - სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის ძირითადი მახასიათებლები (ქვეყნების შედარებითი ანალიზი)** ........................................................................................................ 42

2.1. სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრაქტიკა ........................ 43

2.2. ლობიზმის სადაზვერვო მოწყვლადობა ........................................................ 55

2.3. სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის პრეცედენტები. ................................................ 60

**III თავი სადაზვერვო ლობიზმი და საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები - გამოწვევები** . 65

3.1. სადაზვერვო ლობიზმისთვის ხელსაყრელი ვითარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921) ........................................................................ 66

3.2. სადაზვერვო ლობიზმის გავლენა პოსტსაბჭოთა საქართველოს პროცესებზე და მოვლენათა პარალელიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (1918-1921) ........................ 77

3.3. საქართველოს სპეცსამსახურების როლი სადაზვერვო ლობიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (კრიტიკული ანალიზი) ........................................................................ 103

3.4. ემპირიული კვლევა: სადაზვერვო საქმიანობაში ლობიზმის როლის შესახებ ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან. ........................................ 115

**დასკვნა** ........................................................................................................ 128

**ბიბლიოგრაფია** ........................................................................................................ 148

## შესავალი

## საკვლევი თემის აქტუალობა და პრობლემის ჩამოყალიბება

სახელმწიფოთა ურთიერთობები ადრეული პერიოდიდან გამოირჩეოდა კომპლექსურობით, რაც გამოიხატებოდა განსხვავებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებში. ინტერესთა ჭიდილი ემსახურებოდა რეგიონსა თუ საერთაშორისო არენაზე დომინაციის მოპოვება-შენარჩუნებას, რაც თავისთავად გულისხმობდა მყარი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფას.

განვითარების მიუხედავად ზემოაღნიშნული კუთხით ვითარება დღემდე უცვლელია. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა გადაუჭრელ ამოცანად რჩება. აღნიშნულ დილემასთან გამკლავების პროცესში, სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების გასამყარებლად, მიმართავენ ნებისმიერ ხერხსა და საშუალებას, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტის როლის მოპოვება-შენარჩუნებას. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფოები, სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავად დღესაც აქტიურად იყენებენ სადაზვერვო საქმიანობას, რომლის წარმატებით განხორციელება გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების დაცვას და სხვა სახელმწიფოზე დომინანტობას.

სადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენს განსხვავებულ, ურთიერთმოქმედ ელემენტთა ერთობას. ამ ელემენტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლობიზმი. საკუთარი მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად სახელმწიფოები სადაზვერვო საქმიანობის საფარქვეშ აქტიურად იყენებენ მას. შესაბამისად, სახელმწიფოთა ურთიერთობების ორგანიზების პროცესში, სადაზვერვო - ლობისტური საქმიანობის მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

საკვლევ თემას აქტუალურს ხიდის ის ფაქტიც, რომ სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი, თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოების სისტემებისთვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც ქართული სამეცნიერო სივრცისთვის პრაქტიკულად შეუსწავლელი ფენომენია. ამასთან ერთად, ქართულ სპეცსამსახურებში შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებები სადაზვერვო ლობიზმის მიმართულებით, რასაც საფრთხეებისადმი ბრძოლის უუნარობამდე მივყავართ. აღნიშნული მოსაზრება არა ერთხელ იქნა გაჟღერებული ექსპერტებთან ნახევრად სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული ინტერვიუს პროცესში. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა ქართული სამეცნიერო სივრცისთვის, საკუთარი აქტუალურობით წარმოადგენს ახალ შენაძენს. მას თეორიული და პრაქტიკული ღირებულებით წვლილი შეაქვს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში.

## კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია:

- სადაზვერვო საქმიანობაში ლობიზმის როლის განსაზღვრა.

კვლევის ამოცანებია:

- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, სადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელობის განსაზღვრა;
- სადაზვერვო საქმიანობის ელემენტების შეისწავლა, თუ რა როლს თამაშობენ ისინი, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში;
- ლობიზმის თავსებადობის დადგენა სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებებთან;
- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის როლის გამოკვეთა;
- ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის ზემოქმედებით გამოწვეული, დამაზიანებელი შედეგების შესწავლა და

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული საფრთხეებთან მსგავსებების დადგენა.

## საკვლევი კითხვები

1. რა როლს თამაშობს სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი ეროვნულ უსაფრთხოებაში ?
2. ქვეყნებს შორის ურთიერთობებში როგორი გარემოებები აიძულებთ სახელმწიფოებს ერთმანეთის წინააღმდეგ გამოიყენონ სადაზვერვო საქმიანობა ?
3. რა სახის ქმედებები შეგვიძლია მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის დამაზიანებელი შედეგების თავიდან ასარიდებლად ?

## თემის ჰიპოთეზა

საკვლევი თემის **ჰიპოთეზა** მდგომარეობს შემდეგში - ოპონენტი სახელმწიფოები ისევე, როგორც სტრატეგიული პარტნიორები ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ სადაზვერვო საქმიანობას, რომელშიც აქტიურ როლს თამაშობს სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი.

ლობიზმით მანიპულირება დაზვერვის სამიზნე სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას ქმედითუუნაროს ხდის, ეს კი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლისა და კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივ რღვევის უწყობს ხელს.

სადაზვერვო ხასიათის ლობიზმით შესაძლებელია უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობის პრევენცია.

## კვლევის საგანი და ობიექტი

**კვლევის საგანს** - ლობიზმის თავისებურებების მეცნიერული ანალიზი. **კვლევის ობიექტი** - სადაზვერვო საქმიანობაში ლობიზმის როლის განსაზღვრა.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის პროცესში გამოყენებული ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები:

- სუნ ძი - „ომის ხელოვნება“[1]
- ნიკოლო მაკიაველი - „მთავარი“[2]
- თომას ჰობსი - „ლევიათანი“[3]
- ბარი ბუზანი - „სექიურითიზაცია: ანალიზის ახალი ჩარჩო“ („Securitization: A New Framework for Analysis“)[4]
- Joseph S. Nye , „Soft Power“ (ჯოზეფ ნაი - რბილი ძალა)[5]
- თომას დევიდ შუმანი (იგივე იური ბეზმენოვი) - „დასავლეთში გადასული კგბ-ს გავლენიანი ინფორმატორის ცხოვრება და მემკვიდრეობა“ („The Life and Legacy of the Influential KGB Informant Who Defected to the West“)[6]
- დავით კუხალაშვილი - „სადაზვერვო საქმიანობის არსი და სახეობები“[7]
- თენგიზ ენდელაძე - „სადაზვერვო საქმიანობის არსი და სახეობები“[8]
- ბესიკ ალადაშვილი - „ეკონომიკური უსაფრთხოება“;[9]

---

[1] სუნ ძი „ომის ხელოვნება“ მთარგმნელი: აბულაშვილი ი., გამომცემლობა: წიგნები ბათუმში, 2019.

[2] „ნიკოლო მაკიაველი - მთავარი“, მთარგმნელი: ბრეგვაძე ზ., ვანგოგენი, 2016. გვ.31-32/

[3] თომას ჰობსი - „ლევიათანი“, მთარგმნელი: მგზავრიძე ი., თბილისი, 2011. გვ.27-29

[4] Buzan B., Waever O., J. de Wilde, “ Securitization: A New Framework for Analysis” Boulder: Lynne Rienner Publishers, 1998.

[5] Joseph S. Nye , „Soft Power“, New York, 2003. pp.48-53.

[6] Bezmenov Y. „The Life and Legacy of the Influential KGB Informant Who Defected to the West“, Charles River Editors, Kindle Edition, 2020 pp. 43-56.

[7] კუხალაშვილი დ. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის როლი ეროვნული უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში“, საგამომცემლო სახლი, თბილისი 2021, გვ.27-31.

[8] ენდელაძე თ. „სადაზვერვო საქმიანობის არსი და სახეობები“, თბილისი 2021, გვ.71-72.

[9] ალადაშვილი ბ. „ეკონომიკური უსაფრთხოება თეორია მეთოდოლოგია პრაქტიკა“, თბილისი 2011. გვ.45-55.

რთულია არ დაეთანხმო სუნ ძის, რომელიც საკუთარ წიგნში „ომის ხელოვნება“, ხაზს უსვამს, რომ მოწინააღმდეგისა თუ მოკავშირის დასამარცხებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რამდენიმე კომპონენტის ერთად გამოყენება, ესენია:

- წინმსწრები ინფორმაციის ფლობა;
- ამომწურავი ინფორმაციის ფლობა;
- მოვლენების განჭვრეტის უნარი;

ეს უკანასკნელი, თანხვედრაში მოდის თანამედროვე ავტორების შეხედულებებთან. მათი მოსაზრებით სადაზვერვო საქმიანობის მიზანია მოწინააღმდეგის შესაძლებლობების, მიზნებისა და განზრახვების შესახებ სრულყოფილებით **(ამომწურავი)**, დროულობითა **(წინმსწრები)** და ანალიტიკურად **(განჭვრეტის)** დამუშავებული ინფორმაციის მიწოდება ხელისუფლებისათვის. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ნიკოლო მაკიაველის შეხედულებები ძალაუფლების შენარჩუნების გზებთან დაკავშირებით.

ნიკოლო მაკიაველი საკუთარ წიგნში, „მთავარი“ ძალაუფლების შენარჩუნების ყველაზე ეფექტურ საშუალებად ომის ფენომენს მიიჩნევს და მას უძველეს ხელოვნებად მოიხსენიებს, *„მთავარი მშვიდობიანობისას უფრო მეტ დროს უნდა უთმობდეს მასზე ფიქრს, ვიდრე ომის ჟამს“*,[10]

მაკიაველის თქმით, ლიდერი მუდმივად უნდა იყოს საომარი ხელოვნების შესწავლის მოწოდების სიმაღლეზე და სწავლობდეს სხვა ლიდერების შეცდომებს, რათა თავადაც არ დაუშვას ისინი. ავტორის მსჯელობის გათვალისწინებით დომინანტი სახელმწიფოები მუდმივად არიან ომის მოლოდინში. მაგრამ, თუკი ეს ასე არ ხდება, იწყება სახელმწიფოს დაშლა შიგნიდან. საფრთხეებთან გასამკლავებლად და ბრძოლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მყარი საინფორმაციო აპარატის

[10] ბრეგვაძე ბ., „ნიკოლო მაკიაველი - მთავარი“, ვანგოგენი, 2016. გვ.34.

შენარჩუნება. ამ მსჯელობაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაზვერვის როლი საბრძოლო მოქმედებების წარმატებაში უმნიშვნელოვანესი იყო ოდითგანვე.

მაკიაველის იდეები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, როდესაც მას ვადარებთ სხვა ავტორებს და მათ ნაშრომებს. მაგალითად, თომას ჰობსი ნაშრომი „ლევიათანი“-ში საუბრობს ბუნებრივი მდგომარეობის იდეაზე, სადაც ყველა ერთმანეთის წინააღმდეგ არის განწყობილი, ანუ ომი ყველას წინააღმდეგ. სწორედ, რომ ასეთ ბუნებრივ მდგომარეობაში უნდა განვიხილოთ სახელმწიფოები დღესაც, რადგან სახელმწიფოთა ურთიერთობები გამოირჩევა ანარქიული ხასიათით. რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, სახელმწიფოები საკუთარი კეთილდღეობისთვის, მუდმივად იყენებენ სადაზვერვო საქმიანობას და არ აქვს მნიშვნელობა ისინი, არიან ოპონენტი სახელმწიფოები თუ სტრატეგიული პარტნიორები.

თანამედროვე სახელმწიფოთა ურთიერთობებზე საუბრისას, საინტერესო იქნება ბარი ბუზანი წიგნის („Security: A New Framework for Analysis“ [11]) მიმოხილვა. იგი, ზემოაღწერილ მოვლენას საერთაშორისო ურთიერთობების პარადოქსულ ხასიათით ხსნის, სადაც ერთი მხრივ სახელმწიფო წარმოადგენს განვითარებულ სუბსტანციას, რომლის მიზანია უზრუნველყოფს ინდივიდის უსაფრთხოება, განავითაროს კოლექტიური უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მსოფლიო წესრიგი. ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოები იზიარებენ ძალაუფლების დომინაციის ფენომენს, რაშიც რთულია ავტორს არ დაეთანხმო. მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო პროცესების ანალიზი ადასტურებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები ატარებს ანარქიულ ხასიათს. სახელმწიფოები საკუთარი დომინანტობისთვის მიმართავენ ნებისმიერ საშუალებას. თუკი გავითვალისწინებთ ბარი ბუზენის ხედვას „სახელმწიფოს სექიურითიზაციის“

[11] Buzan B., Waever O., J. de Wilde, “ Securitization: A New Framework for Analysis” Boulder: Lynne Rienner Publishers, 1998. pp. 25-29.

შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროცესი ჰგავს თომას ჰობსის მიერ აღწერილ „ბუნებრივ მდგომარეობას“ სადაც, თვითგადარჩენისთვის ყველა ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებს ძალის ფაქტორს.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის ფაქტორზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ჯოზეფ ნაის შეხედულებების მიმოხილვა. ავტორი საკუთარ წიგნში „რბილი ძალა“[12], ხაზგასმით აფიქსირებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები ბევრად უფრო კომპლექსური გახადა გლობალიზაციის პროცესმა. შესაბამისად, განვითარებული სახელმწიფოები ზეგავლენის, ზემოქმედებისა თუ იძულებისთვის იყენებენ ისეთ საშუალებებს, რომელიც გამორიცხავს პირდაპირი, სამხედრო ძალის გამოყენებას, ანუ სახელმწიფოები უპირატესობას ანიჭებენ რბილი ძალის პოლიტიკას. მაგალითად, პოლიტიკურ-ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, ინტერესთა ჯგუფების შექმნა და მათი მიერ ინტერესთა ლობირებას, ეს უკანასკნელი კი საკვლევი თემის მთავარ ობიექტს წარმოადგენს. შესაბამისად, ჯოზეფ ნაის მსჯელობა, რბილი ძალის პოლიტიკის საფარქვეშ ლობიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად ამდიდრებს ნაშრომის თეორიულ ბაზას.

ჯოზეფ ნაის შეხედულებებთან თანხვედრაში მოდის თომას დევიდ შუმანის (იგივე იური ბეზმენოვი) მოსაზრებები სადაზვერვო საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებთან (1.საზოგადოების დემორალიზაცია, 2.საზოგადოების დესტაბილიზაცია, 3.კრიზისი 4.ნორმალიზაცია, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ გარდამავალი პერიოდი[13]) დაკავშირებით. როგორ ერთი, ისე მეორე ავტორი თანხმდება, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოებმა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად აქტიურად დაიწყეს რბილი ძალის გამოყენება. რბილი ძალის პოლიტიკის ერთ-

[12] Joseph S. Nye , „Soft Power“, New York, 2003, pp. 67-82.
[13] Bezmenov Y. „The Life and Legacy of the Influential KGB Informant Who Defected to the West“, Charles River Editors, Kindle Edition, 2020 pp. 43-56.

ერთ მიმართულებას კი, ლობიზმი წარმოადგენს. მაშასადამე შეიძლება ითქვას, რომ ლობიზმს გააჩნია სადაზვერვო მოწყვლადობა.

საერთაშორისო ურთიერთობებში სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ასპექტებს არაერთი ექსპერტი შეეხო. ისინი განსხვავებულად აფასებენ ამ საქმიანობას და მის როლს ეროვნულ უსაფრთხოებაში. მიუხედავად საკითხის კომპლექსურობისა, ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ექსპერტის პოზიცია. განვიხილავთ სამი ავტორის - დავით კუხალაშვილის, თენგიზ ენდელაძისა და ბესიკ ალადაშვილის პოზიციებს სადაზვერვო და ლობისტურ საქმიანობასთან მიმართებაში.

მაგალითად, თენგიზ ენდელაძე მიიჩნევს, რომ სადაზვერვო საქმიანობას, სახელმწიფოები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ახორციელებდნენ, რომლის მიზანი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს დასუსტება და მასზე კონტროლის მოპოვება იყო. წარმატებულ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობაზე იყო დამყარებული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება და საერთაშორისო ასპარეზზე ჰეგემონის სტატუსის შენარჩუნება, რომელშიც საკუთარ როლს თამაშობდა ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება მზვერავი სახელმწიფოს სასარგებლოდ. ავტორის განმარტებით განსხვავებული სიტუაცია არც დღესაა. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის საფარქვეშ დღესაც აქტიურად გამოიყენება ლობიზმი[14]

რაც შეეხება დავით კუხალაშვილს, იგი თვლის, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარება ხასიათდება პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკურ ხასიათის გამოწვევებით, რაც საბოლოო ჯამში ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობაზე აისახება. დავით კუხალაშვილის აზრით, ყველა ეპოქაში სახელმწიფოები ნებისმიერ საშუალებას იყენებდნენ

[14] ენდელაძე თ. „სადაზვერვო საქმიანობის არსი და სახეობები", თბილისი 2021, გვ.7

საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების გასამყარებლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და იქცევს სადაზვერვო ლობიზმი.[15]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბესიკ ალადაშვილის პოზიცია კი მდგომარეობს შემდეგი, რომ ისტორიულად სახელმწიფოს შექმნა საზოგადოებისა და პიროვნების უსაფრთხოების დაცვას უკავშირდება. საფრთხეების ერთობლივმა გამკლავებამ წარმოქმნა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება, რომელიც პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს დღემდე იცავს გარე, თუ შიდა საფრთხეებისგან. ავტორი მიიჩნევს, რომ ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებამ, განავითარა სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ინსტრუმენტები, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენს.[16]

ავტორთა პოზიციების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში რბილი ძალის ფაქტორი პრაგმატულ დოგმად იქცა, რომელიც გულისხმობს მიზნის მიღწევას, მიზიდვის და არა ძალდატანების საშუალებით. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის გათვალისწინებით რთულია არ დაეთანხმო ავტორთა შეხედულებებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება გავლენის სფეროებსა და ინტერესთა ჯგუფებს, ისინი დღესდღეობით სადაზვერვო ლობისტური საქმიანობის მნიშვნელოვან სუბიექტებს წარმოადგენენ.

---

[15] კუხალაშვილი დ. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის როლი ეროვნული უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში", საგამომცემლო სახლი, თბილისი 2021, გვ.21

[16] ალადაშვილი ბ. „ეკონომიკური უსაფრთხოება თეორია მეთოდოლოგია პრაქტიკა", თბილისი 2011, გვ. 38

## კვლევის თეორიული ჩარჩო

სადისერტაციო ნაშრომს საფუძვლად უდევს ქვემოთ წარმოდგენილი თეორიები, რომელთა გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ნაშრომის თეორიული ბაზა. ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი თეორიები:

• **პოლიტიკური რეალიზმი** - ნიკოლო მაკიაველისა და თობას ჰობსის შეხედულებები საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების, მოპოვება-განზოგადების პარადოქსულ ხასიათთან დაკავშირებით.

პოლიტიკური რეალიზმის ჭრილში ნიკოლო მაკიაველისა და თომას ჰობსის შეხედულებების განხილვა, საშუალებას იძლევა ფერადი შაბლონების გარეშე დავინახოთ სახელმწიფოთა ურთიერთობები და ამ პროცესში ძალის, როგორც დომინაციის გარანტიის ფაქტორი. რაოდენ უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, ავტორების შეხედულებების გაზიარებამ, გაამართლა მოლოდინი, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული ყველა სუბიექტი ილტვის საკუთარი ძალაუფლების დომინაციისკენ. არ აქვს მნიშვნელობა ისინი არიან დემოკრატიულ სახელმწიფოები თუ არა, ყოველი სახელმწიფო ორიენტირებულია საკუთარი დომინაცია გაავრცელოს სხვა, მასზე სუსტ სახელმწიფოზე.

• **ომის თეორია (ხელოვნება)** – სუნ ძის შეხედულებები ომის ხელოვნების შესახებ. ომი, როგორც ძალაუფლებისა და მმართველობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალება. სადაზვერვო აქტივობების მნიშვნელობა, როგორც საომარი მოქმედებების, ისე მშვიდობიანობის დროს.

ძ. წ. VI საუკუნეში სუნ ძი საუბრობდა ომის ხელოვნებაზე, რომლის თეორიულ ნაწილში იგი გამოყოფს, სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში დაზვერვის როლს. მისი განმარტებით ეს დისციპლინა უზრუნველყოფს საბრძოლო მოქმედების ბედს, რომელზეც დამოკიდებულია სახელმწიფოს კეთილდღეობა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სუნ ძი საკუთარ წიგნში „ომის ხელოვნება“ თვალნათლივ მიანიშნებს, რომ

სადაზვერვო საქმიანობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს თვითგადარჩენა. შესაბამისად, მისი შეხედულებების გაზიარებამ, ხელი შეუწყო უძველეს პერიოდიდან დღემდე სადაზვერვო საქმიანობის არსის გააზრებას.

• **რბილი ძალის თეორია** - ჯოზეფ ნაის განსაზღვრებები რბილი ძალის პოლიტიკის შესახებ. ლობიზმი, როგორც რბილი ძალის პოლიტიკის შემადგენელი კომპონენტი.

ზემოხსენებული ავტორებისგან განსხვავებით ჯოზეფ ნაის ხედვამ რბილი ძალის პოლიტიკის შესახებ განსხვავებული რაკურსიდან დაგვანახა, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის, როგორც გადაუჭრელი პრობლემის არსი. რბილი ძალის თეორიის გამოყენებამ გაამდიდრა ნაშრომის თეორიული ბაზა. უფრო მეტიც, ამ თეორიის გამოყენებით შესაძლებელი გახდა თანამედროვე ეტაპზე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთობებში რბილი ძალის პოლიტიკის სახით გვევლინება.

• **კოპენჰაგენის სკოლა** („Copenhagen school of security studies“) - ბარი ბუზანის თეორია „სექიურითიზაცია – „securitization“-ის შესახებ. მისი მოსაზრებები საერთაშორისო ურთიერთობების პარადოქსულობასთან დაკავშირებით.

ბარი ბუზანის შეხედულებები გახდა ნაშრომის თეორიული ბაზის ერთ - ერთი ფუნდამენტური საყრდენი. მის მიერ ჩატარებული კვლევით დასტურდება საერთაშორისო ურთიერთობების პარადოქსული ხასიათი. რაოდენ უცნაურად არ უნდა ჩანდეს ყველა სახელმწიფო საკუთარი ძალაუფლებისკენ ისწრაფვის, სწორედ ამ ფაქტორზეა დამოკიდებული საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტის სტატუსის მოპოვება. ავტორის მსჯელობა თანხვედრაში მოდის მაკიაველისა და ჰობსის შეხედულებებთან. თუმცა, მისი თეორიის გამოყენებამ თანამედროვე მოვლენების და პროცესების ანალიზით წაახალისა სადისერტაციო ნაშრომი.

• **სადაზვერვო საქმიანობის ფუნდამენტური კრედო** - თომას დევიდ შუმანი: (იგივე იური ბეზმენოვი) სადაზვერვო საქმიანობის პრაქტიკული მეთოდოლოგიის ფორმულა (1. საზოგადოების დემორალიზაცია, 2.

საზოგადოების დესტაბილიზაცია, 3. კრიზისი 4. ნორმალიზაცია, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ გარდამავალი პერიოდი.), რომელიც სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების სისტემებთან მიმართებაში ატარებს ზოგად ხასიათს.

უნდა ითქვას, რომ ბეზმენოვის პროფესიული გამოცდილების გაზიარება, სადისერტაციო ნაშრომისთვის უნიკალური შენაძენია, რადგან ნაშრომში სადაზვერვო საქმიანობის პრაქტიკული ელემენტების ჩართვა შინაარსობრივი დატვირთვით მრავალფეროვანს ხდის კვლევის პროცესს.

## კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის,[17] რამდენიმე აპრობირებული მეთოდი:

- ისტორიულ-აღწერილობითი;
- შედარებითი ანალიზი;
- კონტენტ-ანალიზი;
- სიტუაციის ანალიზი (Case Study);
- კრიტიკული ანალიზი;
- ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან.

თითოეული მათგანის გამოყენება კვლევის პროცესს მნიშვნელოვნად დაეხმარა, რათა მომხდარიყო საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლა. მაგალითად, ისტორიულ აღწერილობითი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა სადაზვერვო საქმიანობისა და ლობიზმის ისტორიული საფუძვლების შესწავლა, ხოლო შედარებითი ანალიზის საშუალებით მოხდა ამ ცვლადების მაკავშირებლების დადგენა, რაც სადისერტაციო ნაშრომისთვის იყო ერთ-ერთი მიღწევა.

შემთხვევის ანალიზის (Case Study) გამოყენებით შესაძლებელი გახდა

[17] ნაჩმაისი ჩ. „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2009, გვ. 12-14.

სხვადასხვა, ქეისების გაანალიზება და მათგან სადაზვერვო ხასიათის ლობიზმისთვის დამახასიათებელი ნიშან - თვისებათა განსაზღვრა, რომელიც კვლევის პროცესს დაეხმარა საფრთხეების / პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირებაში.

ექსპერტებთან ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩატარებამ უზრუნველყო ნაშრომის, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ღირებულების გაზრდა.

პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანების მიერ, საკუთარი გამოცდილების გაზიარებამ განსხვავებული მხრიდან დაგვანახა ბევრი პრობლემა და გამოწვევა, რომელიც თან ახლავს სადაზვერვო ხასიათის ლობიზმს. ხოლო, კრიტიკული ანალიზის ჭრილში ქართული სპეცსამსახურების საქმიანობის განხილვით შესაძლებელი გახდა სპეცსამსახურებში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა. შესაბამისად, საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შერჩეული კვლევის მეთოდების გამოყენებამ სადაზვერვო ხასიათი ლობიზმის სიღრმისეული შესწავლა განაპირობა.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ქართული სამეცნიერო სივრცე, საკვლევი საკითხის კუთხით განიცდის ლიტერატურულ შიმშილს, ამ მიმართულებით ფაქტობრივად არ არსებობს არცერთი სამეცნიერო ნაშრომი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სტატიას. შესაბამისად, საკითხის შესწავლის შემდეგ, ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეიქმნება სადისერტაციო და მონოგრაფიული ნაშრომი სადაზვერვო საქმიანობაში ლობიზმის გამოყენების შესახებ. ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად განხორციელდა სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის მეცნიერული შესწავლა.

ამასთან ერთად ქართულ სამეცნიერო სივრცეში, პირველად იგეგმება უცხო სახელმწიფოების მიერ წარმატებით განხორციელებული სადაზვერვო ხასიათის

ლობისტური აქტივობის მაიდენტიფიცირებელი კლასიფიკატორის შექმნა, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება, როგორც სპეცსამსახურებისთვის ასევე, გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფებისთვის.

## ნაშრომის თეორიული / პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის შედეგობრივი ანალიზი ემსახურება კლასიფიკატორის შექმნას, რომელიც ზრდის ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას და მისი განზოგადებით, შესაძლებელია საფრთხეების, გამოწვევებისა და დამაზიანებელი შედეგების პროგნოზირება. შესაბამისად, ნაშრომს საკუთარი თეორიულ - პრაქტიკულ ღირებულებით წვლილი შეაქვს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო - საგანმანათლებლო სივრცეში.

ამასთან ერთად, ნაშრომის წაკითხვა - გააზრების შემთხვევაში საკვლევი თემით დაინტერესებულ პირებს, შესაძლებლობა ეძლევათ აიმაღლონ ცნობიერება, ხოლო მსგავსი კვლევის დროს მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება დამატებითი სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ასევე, ნაშრომი მნიშვნელოვანი იქნება სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობით დაკავებული სამსახურებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისათვის და ა.შ.

## ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილისგან, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნის, ნაშრომის შედეგებისა და ბიბლიოგრაფიისგან, რომელიც ერთიანობაში მოიცავს 178 გვერდს.

# I თავი

# სადაზვერვო საქმიანობაში ლობიზმის როლის ისტორიულ - თეორიული საფუძვლები

სადაზვერვო საქმიანობას ისეთივე ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია, როგორიც კაცობრიობის განვითარებას. მან უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია შეიძინა ჯერ კიდევ პირველ სახელმწიფოთა ურთიერთობებში, როდესაც ერთმა სოციალურმა ჯგუფმა მეორეზე ძალაუფლების განზოგადება და მასზე კონტროლის მოპოვება განიზრახა.

უძველეს ცივილიზაციებში ვხვდებით სახელმწიფოთა ურთიერთობებს, რომელიც ხასიათდებოდა სადაზვერვო საქმიანობის ნიშნებით. ეს უკანასკნელი გამოხატული იყო მოწინააღმდეგის შესაძლებლობების, განზრახვების შესახებ დროული და სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების მცდელობით, რომელსაც პერმანენტული ხასიათი გააჩნდა, როგორც ომიანობის ისე, მშვიდობიანობის დროს. სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით, უძველეს სახელმწიფოებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო სფეროებში ლავირების შესაძლებლობა ეძლეოდათ. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სადაზვერვო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინება, საერთაშორისო ასპარეზზე თვითგადარჩენის, შემდეგ კი დომინაციის საწინდარი გახდა.

საუკუნეების განმავლობაში, სადაზვერვო საქმიანობის საფარქვეშ იხვეწებოდა ინფორმაციული ომის მეთოდები. ამ საქმიანობაზე დაყრდნობით სახელმწიფოებს საშუალება ეძლეოდათ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ ბრძოლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა დეზინფორმაცია, პროპაგანდა, ლობირება და სხვა. აღნიშნული ბრძოლის მეთოდების წარმატებით გამოყენებაზე იყო დამოკიდებული საერთაშორისო ასპარეზზე ჰეგემონის სტატუსის მოპოვება - შენარჩუნება.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ლობიზმი“ პირველად XX საუკუნეში გაჟღერდა, ლობისტური საქმიანობის ნიშნებს ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ვხვდებით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ლობიზმი უძველესი პერიოდიდან დღემდე ხასიათდება სადაზვერვო მოწყვლადობით.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ სადაზვერვო და ლობისტური საქმიანობის სინთეზმა, ანუ სადაზვერვო ხასიათის ლობიზმმა ახალი შესაძლებლობების კარი გაუღო სახელმწიფოებს. მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომლებსაც სადაზვერვო საქმიანობის ეს მიმართულება მეცნიერულ დონეზე აქვთ აყვანილი, ნაკლები დანახარჯებით ახერხებენ სასურველი მიზნების მიღწევას და საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებას. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარებამ, გარდამავალი პერიოდში მყოფი სახელმწიფოებისთვის სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად აქცია. მისი დაბალანსება, როგორც მყარი სადაზვერვო - კონტრსადაზვერვო სამსახურების წარმატებული საქმიანობით ისე, მოქნილი საკანონმდებლო ღონისძიებებით არის შესაძლებელი.

## 1.1 დაზვერვისა და ლობიზმის როლი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში

თანამედროვე ეტაპზე დომინანტი სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ ერიდებიან პირდაპირი, სამხედრო ძალის გამოყენებას, რაც ჰეგემონის სტატუსის შესანარჩუნებლად ალტერნატიული მეთოდების შემუშავებას გულისხმობს. დღეის მდგომარეობით, სახელმწიფოები გავლენის შესანარჩუნებლად უპირატესობას ანიჭებენ „რბილი ძალის პოლიტიკას“[18], ეს იმით აიხსნება, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები გაცილებით კომპლექსური ხასიათისაა, ვიდრე ეს იყო მეორე მსოფლიო ომამდე. შესაბამისად, სამხედრო ძალა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ნაკლებად მომგებიანი ინსტრუმენტია. დღეს, რბილი ძალა მანიპულირების, ზეწოლისა თუ იძულებისთვის გაცილებით ეფექტური საშუალება გახდა. ინფორმაციული ომი, რომელსაც ხშირად მოდერნისტულ ან/და ჰიბრიდული ბრძოლის მეთოდად მოიხსენიებენ, სწორედ რბილი ძალის პოლიტიკის შედეგია.

ისტორიული მოვლენების ანალიზი აჩვენებს, რომ საუკუნეების მანძილზე ინფორმაციულ ბრძოლაში გამარჯვება სადაზვერვო საქმიანობის უპირველესი მიზანი იყო, რამაც სახელმწიფოთა ურთიერთობებზე უდიდესი გავლენა იქონია. თუმცა, ინფორმაცია თავისთავად არაფერია, თუ მისი მოპოვების დამუშავებისა და მიწოდების სისტემა სრულყოფილად არ მუშაობს. საუკუნეების განმავლობაში სადაზვერვო სამსახურები მაქსიმალურად ცდილობდნენ მოეპოვებინათ ინფორმაცია მოწინააღმდეგე სახელმწიფოების მიზნების, სტრატეგიული გეგმების, რესურსებისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების შესახებ. თუმცა, გადაუჭრელ ამოცანად რჩებოდა საკუთარი სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციების დაცვა. გამოთქმული

[18] Somkhishvili O. “Theoretical-Methodological aspects of intelligence activity and lobbying”, Georgian Scientists, Vol. 4 Issue 5, 2022, pp.304-306

მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება შემდეგი მაგალითი[19]: შუამდინარეთის კულტურაში სახელმწიფოების მხრიდან, საკვების მარაგების, სასმელი და სარწყავი წყლების,  ბუნებრივი წიაღისეულის, სავაჭრო გზების, სამხედრო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ფაქტები. მეცნიერები მსჯელობენ, რომ მსგავსი ტიპის ჩანაწერების წაკითხვა გარკვეული შიფრის მაგვარი ნიშნებით იყო მხოლოდ შესაძლებელი.

თუ გავაანალიზებთ თანამედროვე პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, XXI საუკუნე ინფორმაციისა და ტექნოლოგიის განვითარების ხანად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო „ინფორმაციული სივრცითი ტრიადა"[20] -ის შეიქმნას ინფორმაციის, ტექნიკური საშუალებებისა და საზოგადოების სახით. ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა ინფორმაციული ნაკადების დაუცველობა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა, როგორც ინფორმაციის გაჟონვის ისე, დეზინფორმაციის გავრცელების რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული ომი დამახასიათებელია რბილი ძალის პოლიტიკისთვის, მას ისეთივე დამაზიანებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, როგორც პირდაპირ საბრძოლო მოქმედებებს. მაგალითად, საზოგადოების მანიპულირება, როგორც  ჭარბი ინფორმაციით ისე, დეზინფორმაციითა და პროპაგანდით. აღნიშნული მეთოდები კი სამიზნე სახელმწიფოს დაზიანებით დაინტერესებული სპეცსამსახურებისთვის, ფსიქოლოგიური ომის წარმოების  წინაპირობას წარმოადგენს. გამოდის, რომ ინფორმაციული ომი სადაზვერვო საქმიანობის წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მეთოდია.

---

[19] Ernesto Dal Bó, Hernández-Lagos P. Sebastián Mazzuca, "The Paradox of Civilization: Preinstitutional Sources of Security and Prosperity" University of California, American Political Science Review 2021, გვ. 4–9.

[20] კუხალაშვილი დ., ენდელაძე თ.,  სომხიშვილი ო. „ინფორმაციული ომისა და ლობიზმის, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ასპექტები", საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2021  გვ. 36-43.

ნებისმიერი სახის ინფორმაცია გამოირჩევა სხვადასხვა ფსიქოლოგიური მახასიათებლებით, რომელიც საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის შექმნას პირდაპირ უკავშირდება. „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის“[21] თანახმად, ჭარბი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია უფრო მეტად დამაჯერებელი ჩანს, საზოგადოების დიდი ნაწილი ამ გზით მიღებულ ინფორმაციას ჭეშმარიტად მიიჩნევს, რადგან იგი სრულად იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას და გამორიცხავს ალტერნატიული ხასიათის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. მაშასადამე, ინფორმაციული ომის პირობებში რაოდენობას საკუთარი ხარისხი გააჩნია და იგი შემდეგი ნიშან-თვისებებით ხასიათდება:

- მოცულობით ინფორმაციას გააჩნია პოტენციალი შეზღუდოს ჭეშმარტება და მიიმხროს სამიზნე ჯგუფების ყურადღება, მათ შორის, დეზინფორმაციის გავრცელების კუთხითაც;
- ჭარბი ინფორმაციული ნაკადები არსებითად ზრდის და ამარტივებს სამიზნე ჯგუფზე სადაზვერვო პროპაგანდისტულ გავლენას;
- სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის მიზანია საზოგადოებრივი აზრის შექმნა და ფართო აუდიტორიის განწყობის მართვა, რომელიც მიიღწევა: დეზინფორმაციით, პროპაგანდით, ლობირებით და სხვა მეთოდების გამოყენებით.

გლობალიზაციის ეპოქამ კიდევ უფრო დახვეწა ინფორმაციული ომის წარმოების მეთოდები, რამაც გაზარდა სადაზვერვო და ლობისტური საქმიანობის როლი სახელმწიფოთა ურთიერთობებში.

---

[21] მჭედლიძე დ. “ინფორმაციულიო ომი” 22.10.2009, http://www.media.ge/ge/portal/news/26362/ (ნანახია / გადამოწმებულია 10.11.22).

თანამედროვე ეტაპზე, სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ მოწყვლად სეგმენტს ლობიზმი წარმოადგენს. სამეცნიერო კვლევის[22] თანახმად, ლობიზმი დაექვემდებარა რბილი ძალის პოლიტიკას, რამაც მისი დაბალანსება კიდევ უფრო გაართულა. სადაზვერვო ლობიზმით შესაძლებელია სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების (კორუფცია, მონოპოლიური გარიგებების, ავანტიურისტული გარიგებების, ფულადი მაქინაციები და სხვა.) წახალისება. ლობისტური საქმიანობის საფარქვეშ სადაზვერვო მოქმედებამ განსაკუთრებით გართულა საფრთხეებისადმი სახელმწიფოთა ბრძოლისუნარიანობა.

სადაზვერვო და ლობისტური საქმიანობის შერწყმამ ფეხი აუწყო ტექნოლოგიურ პროგრესს და ის, იმაზე მეტად კომპლექსური გახდა ვიდრე როდისმე ყოფილა. სამიზნე სახელმწიფოში სადაზვერვო საქმიანობის წარმოების ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდად სწორედ, რომ სადაზვერვო ხასიათის ლობირება შეგვიძლია მივიჩნიოთ. იგი შესაძლებელია ხასიათდებოდეს დეზინფორმაციის, პროპაგანდის, მართვადი კრიზისის შექმნით და სხვა დამაზიანებელი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სადაზვერვო ხასიათის ლობირება ხორციელდება მზვერავი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ლობჯგუფების (შესაძლებელია კორპორაციული სექტორის, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და სხვა გაერთიანებების საფარქვეშ) მიერ, კონკრეტული ქმედებებითა და ოპერაციებით, რომლებსაც შესაძლოა გააჩნდეთ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ხასიათი. პროცესის მიზანია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, წამოწყებულ პოლიტიკურ - ეკონომიკურ და სხვა სახის კამპანიებზე ზეგავლენის მოხდენა, პროცესში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიზნით ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება, რომელიც მიიღწევა, როგორც ლეგალური

[22] კუხალაშვილი დ., სომხიშვილი ო. „საერთაშორისო სანქციებისა და ლობიზმის სადაზვერვო ხასიათი“, თბილისი 2022, გვ.17-23.

(მაგალითად:[23] ფულადი კონტრიბუცია, ქველმოქმედება და სხვა) ასევე, არალეგალური გზების (მაგალითად: მოსყიდვა, კომპრომეტირება, იძულება და სხვა) გამოყენებით.

ლობჯგუფების მიერ, მმართველ და ოპოზიციურ პარტიებში შეღწევამ, შემდგომ კი საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოქცევამ გაზარდა იდეოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა სახის ზიანის მიყენების რისკი და ხელი შეუწყო მზვერავი სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების აღსრულებას. აღნიშნული მეთოდოლოგიის წარმატებულმა გამოყენებამ პრაქტიკულად, სადაზვერვო ხასიათის ლობიზმს დაუქვემდებარა სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური სივრცეები.

განხილულ მოსაზრებების კიდევ უფრო ამყარებს სომხეთის, ისრაელისა და ჩინეთის ლობისტური ჯგუფის საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელთა მოღვაწეობის წარმატება განსაზღვრა საკუთარ სახელმწიფოებთან ინფორმაციის გაცვლის კოორდინირებულმა სისტემამ, რომლის ორგანიზება წარმოუდგენელი იქნებოდა სპეცსამსახურების მონაწილეობის გარეშე.

ხსენებულ სახელმწიფოებთან მიმართებაში სიტუაციური ანალიზის (Case Study) მეთოდის გამოყენება გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ის ძირითადი ტენდენციები, რომლითაც ხასიათდება განხორციელებული და მიმდინარე ლობისტური საქმიანობა, რომლის წარმატებაზე მეტყველებს დამდგარი შედეგები. ღია წყაროებში არსებული ინფორმაციის[24] შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა განსხვავებული და მსგავსი ტენდენციები:

---

[23] Shafritz, J. M. „The dictionary of public policy and administration. Boulder“, Colo: Westview Press, 2004, გვ.125-127.

[24] (Nigel) Van den Berg  N., “The Armenian Lobby in the US: The Successes (and Limitations) of the Grassroots Approach”,  radboud university 2017, გვ. 9-13.

- Maharramov I., “The Role of Armenian Lobby in US Foreign Policy Decision Making of Recognizing the Armenian Genocide”, Policy Memo, 2021, გვ. 2-5.
- Zarifian  J., „The Armenian-American Lobby and Its Impact on U.S. Foreign Policy“, 2014, გვ. 7-15.
- Lieberman R. C.,  „The "Israel Lobby" and American Politics“ Vol. 7, No. 2, 2009, გვ.235.

**სომხური ლობი - ძირითადი მიზნები:**

- აშშ - სომხეთის ურთიერთობების გაღრმავება სომხეთისთვის შემდგომი დახმარების აღმოჩენის მიზნით;
- თურქეთისა და აზერბაიჯანის სტრატეგიულ მიზნების აღსრულებაზე ხელის შეშლა;
- სომხების გენოციდის აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მიერ;
- მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მიერ;
- მთიანი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით ფინანსური შემოწირულების მობილიზება;
- სომხური ელექტორატის მობილიზება, აშშ-ს საზოგადოებაში სომხური ინტერესების ლობირების მიზნით;
- სომხეთთან მიმართებაში აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით აშშ-ში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში შემოწირულების შეგროვება;
- აშშ-ის „თავისუფლების მხარდაჭერის აქტი"-ის 907-ე მუხლის (2001 წლამდე აღნიშნული პუნქტით აშშ-ის ეკრძალებოდა რაიმე სახის დახმარების გაწევა აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის) შენარჩუნების მცდელობა;
- ბაქო - თბილისი ჯეიჰანისა და ბაქო - თბილისი - ყარსის ენერგო პროექტების წინააღმდეგ ლობისტური მოქმედება (რაც, რა თქმა უნდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობად შეგვიძლია მივიჩნიოთ);

---

- Mearsheimer, Stephen Walt J., „The Israel Lobby", Vol. 28 No. 6.23 March 2006, https://www.lrb.co.uk/the-paper/v28/n06/john-mearsheimer/the-israel-lobby (ნანახია / გადამოწმებულია 13/10/22).
- Mao J., "Asia First No Such Thing: The China Lobby- ", June 2015, გვ. 44-77.

ძირითადი შედეგები:

- აშშ-ში მცხოვრები სომხური თემის შემოწირულებისა და ფინანსური რესურსების მაქსიმალური მობილიზება;
- აშშ-ის კონგრესში, სომხური საკითხების ირგვლივ მუდმივი აქტუალურობის შენარჩუნების პოლიტიკა;
- აშშ-ის კონგრესში ორპარტიული ჯგუფის (სომხური კოკუსი) ჩამოყალიბება, სადაც თავს იყრის 100 მეტი კონგრესმენი;
- სომხური ლობის გაძლიერების კუთხით ამერიკის დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებში სომხური საბჭოების ჩამოყალიბება;
- 2013 წელს სომხური კოკუსი წევრის (ჯონ კერი) აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დანიშვნის მიღწევა;
- ამერიკელი თანამდებობის პირების (მაგალითად: რობერტ დოული - აშშ-ის სენატის საფინანსო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, მიტჩ მაკკონელი - აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ასიგნებების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე) სომხური ინტერესების ლობირებისთვის გამოყენება და სხვა.

ებრაული ლობი - ძირითადი მიზნები:

- სიონისტური იდეოლოგიის ქვეშ ებრაელი ერის კონსოლიდაცია;
- საერთაშორისო საზოგადოებაში სიონისტური იდეების პოპულარიზება;
- პოლიტიკურ-რელიგიური მიზნების განსახორციელებლად შემოწირულებისა და ფულადი სახსრების მობილიზება;
- აშშ-ში ებრაული დიასპორის გამოყენება პოლიტიკური გავლენების მოსაპოვებლად;
- ამერიკელი გავლენიანი ფიგურების მოზიდვა, საერთაშორისო ასპარეზზე ისრაელის ინტერესების წარმოჩინების თვალსაზრისით;

**ძირითადი შედეგები:**

- ისრაელისთვის სახელმწიფოებრიობის მოპოვება;
- რეგიონში დომინანტობის მოპოვება და მტრულად განწყობილი სახელმწიფოების წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო მოქმედებები;
- პოლიტიკურ-სამთავრობო ორგანიზაციების კონგლომერაციის ჩამოყალიბებით მნიშვნელოვანი ინფორმაციების ურთიერთგაცვლის სისტემურობის პროცესის დამკვიდრება;
- ოცდაათამდე მსხვილი ლობისტური ორგანიზაციის (მათგან გამორჩეულია: ამერიკის ისრაელის საზოგადოებრივ საქმეთა კომიტეტი (AIPAC), ამერიკის ებრაული კომიტეტი... და B'nai B'rith") ჩამოყალიბება, რომებსაც საკუთარი გავლენის ფიგურები ჰყავთ აშშ-ის კონგრესში;
- აშშ-ის მიერ, იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება;
- უმსხვილესი პრო-ებრაული ლობის ჩამოყალიბება, რომელიც ჯამში 7 მილიონზე მეტ ლობისტს მოიცავს;
- აშშ-ი მცხოვრების ებრაული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის მხარდაჭერა ისრაელისადმი, როგორც არაფორმალური (რელიგიური მოძღვრებით, სიონისტური იდეოლოგიის პოპულარიზებით), ისე ფორმალური (პოლიტიკური კომიტეტების, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიულ-აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სხვა.)
- ინფორმაციის გავრცელების საშუალებებზე (მასმედია (მაგ:Megaphone, Times Online, jewish broadcasting service), გამომცემლობები (მაგ:Jerusalem Post), სტამბები) გავლენის მოპოვება და მათი გამოყენება ისრაელის ინტერესების სასარგებლოდ, მათ შორის წარმატებული პროპაგანდისტული საქმიანობის წარმოების თვალსაზრისით და სხვა;

**ჩინეთის ლობი** - ძირითადი მიზნები

- უცხო სახელმწიფოების მხრიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღიარებისათვის ლობირება;

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აქტიური ლობისტური საქმიანობა, კომუნისტური ჩინეთის ამ ორგანიზაციაში დაშვების თვალსაზრისით;
- დენ სიაოპინის პოლიტიკისა და რეფორმების (მაგალითად: „რეფორმა და გახსნა“) ლობირება საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციების გამყარების მიზნით;
- აქტიური ლობირება აშშ-დან და საერთაშორისო ბაზრებიდან ბიზნესის მოზიდვის კუთხით;
- შემოწირულების მოზიდვა სამეცნიერო ტექნიკური ინოვაციების დანერგვის კუთხით;
- 2004 წლიდან ჩინეთის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრომ აქტიურად დაიწყო მუშაობა ახალი ემიგრაციული პოლიტიკის შესახებ, რომელიც გულისხმობდა ჩინეთის გარეთ ახალი ემიგრაციის გზების მოძებნას, რომლის მიზანიც სხვადასხვა სახელმწიფოში ჩინეთის სასარგებლოდ ინტერესების ლობირებას, ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას;
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე, ფიქსირებული სავალუტო სისტემის აქტიური ლობირება;

**ძირითადი შედეგები:**

- აშშ-ის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (PRC) აღიარება;
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან, ფიქსირებული სავალუტო სისტემის წინააღმდეგ, მცურავ სავალუტო სისტემისადმი ღია დაპირისპირება;
- საერთაშორისო ვაჭრობის ახალ სისტემაზე გადასვლა, აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება;
- ტაივანისთვის იარაღის მიყიდვის შემცირებასთან დაკავშირებით აშშ-ის დაყოლიება;
- 1992 წელს აშშ-თან გაეროს კონფერენციის ფორმატში, ტაივანისთვის იარაღის მიყიდვის ნებართვის განახლება;
- 1998 წელს ბილ კლინტონის თანხმობა ტაივანის მიმართ არსებული პოლიტიკის შენარჩუნებაზე, რითაც აშშ ფაქტობრივად მხარს არ უჭერდა

ტაივანის დამოუკიდებლობას, მის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას;

- საერთაშორისო ასპარეზზე, ჰონგ კონგთან და ტაივანთან მიმართებაში ახალი მიდგომის („ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“) ჩამოყალიბება, რომელმაც ხელი შეუწყო აშშ-თან ურთიერთობების დასტაბილურებას;
- ეკონომიკური გახსნილობასთან დაკავშირებით აშშ-ის კრიტიკის დაძლევა და საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება ჩინეთის, აზიის განვითარების ბანკში გაწევრიანებასთან დაკავშირებით;
- 1989 წელს პეკინში გამართული დემონსტრაციის ჩახშობასთან დაკავშირებით, დაწესებული სანქციების წინააღმდეგ საგარეო ვაჭრობის ვექტორის შენარჩუნება და მოსალოდნელი ეკონომიკური ზიანის მინიმალიზაცია;
- ამერიკელი მაღალჩინოსნების (მათ შორის პრეზიდენტი კლინტონის) დადებითი პოზიციების დაფიქსირება ჩინეთის სავაჭრო სტატუსთან დაკავშირებით;
- 1999 წელს ჩინეთის გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), რის შედეგადაც აშშ-ში დასრულდა კამათი ჩინეთის სავაჭრო სტატუსის შესახებ და სხვა.

## 1.2 სადაზვერვო საქმიანობის რეტროსპექტული ანალიზი

სადაზვერვო საქმიანობას, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, ღრმა ისტორიული წარსული გააჩნია. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობამ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია შეიძინა ისეთ ადრეულ პერიოდში, როგორიცაა შუამდინარეთის, ეგვიპტისა და ანტიკური ცივილიზაციები.

მაგალითად[25]: ძველი ეგვიპტის ახალი ფარაონების (თუტმოს I და თუტმოს III) მიერ სირია - ნუბიის წინააღმდეგ გატარებული სამხედრო პოლიტიკა, აქტიურად ეყრდნობოდა სამხედრო მზვერავების მიერ, მოპოვებულ

[25] ტონია ნ., კიკნაძე ზ., „მითოლოგიური ენციკლოპედია“, გამომცემლობა - ბაკამი, 2019, გვ.229.

(მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობების, ჯარის განლაგების, რესურსებისა და სხვათა შესახებ) ინფორმაციას, რამაც განსაზღვრა სამხედრო კამპანიის ბედი.

უფრო მეტიც, ფარაონების მიერ გატარებულ სამხედრო - უსაფრთხოების პოლიტიკაში იკვეთება საზოგადოებრივი აზრის, წინასწარ შესწავლისა და მანიპულირების ნიშნები. ამ გარემოებაზე მიანიშნებს ფარაონების დადებით თვისებებზე, შემწყნარებლობასა და კეთილსინდისიერებაზე ინფორმაციის (მათ შორის ჭორების) გავრცელება. მსგავსი მეთოდების გამოყენებამ აჯანყებების თავიდან აცილებასა და ძალაუფლების შენარჩუნებას შეუწყო ხელი. შედეგად, ეგვიპტეს ბრძოლის გარეშე ისეთ მნიშვნელოვან რესურსებზე მიეცა გამარტივებული წვდომა, როგორიცაა ბრინჯაო, ხე-ტყე და სხვა. ძალაუფლების ლეგიტიმურობის ასამაღლებლად ფარაონებმა დაიწყეს მოწყალების გაღება და ახალი ტაძრების მშენებლობა, აღნიშნული ქმედება ეკონომიკური დაზვერვის გარდა, მაღალი ალბათობით შეიცავს რელიგიური დაზვერვის ნიშნებს.

სადაზვერვო საქმიანობის საკრალურ დატვირთვას ხშირად ვხვდებით უძველეს მითოლოგიასა და რელიგიებში, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადრეულ პერიოდში სახელმწიფოსა და სოციუმის პოლიტიკას რელიგიური სპექტრი არეგულირებდა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ უძველეს ტექსტებში გვხვდება რელიგიური დაზვერვის ნიშნები, რომელში ჩართული პერსონაჟების მოქმედება ხასიათდება ისეთივე ნიშან-თვისებებით, როგორითაც თანამედროვე სადაზვერვო საქმიანობა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ამონარიდი ძველი აღთქმიდან.[26] დიალოგი ღმერთსა და მოსეს შორის, როდესაც ღმერთი მოსეს მოუწოდებს გაგზავნოს ხალხი ქანაანის მიწების დასაზვერად, რათა მოიპოვონ ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობის, დასახლებების ტიპის, სამხედრო სიძლიერის, ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შესახებ (რაც პირდაპირ შეესაბამება თანამედროვე სადაზვერვო

[26] ბახტაძე რ. „დაზვერვა - ისტორია ერთი თვალის გადავლებით“, ჩემი სამყარო, ჟურნალი ახალგაზრდებისათვის, 2015, გვ. 64.

საქმიანობის მიმართულებებს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სამხედროს, სამეცნიერო-ტექნიკურსა და ეკოლოგიურს). მოგვიანებით, მოსეს სულიერმა მემკვიდრემ იესო ნევეს ძემ აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენა ქანაანის მიწების დაპყრობით ომებში.

პირველ სახელმწიფოთა ურთიერთობებში ვხვდებით ერთი სახელმწიფოს მიერ, მეორეზე ძალაუფლების განზოგადების მაგალითებს, რაც ძირითადად გამოიხატებოდა საბრძოლო მოქმედებებში. ომის ბედს მოწინააღმდეგის შესახებ სადაზვერვო საქმიანობის შედეგად მოპოვებული სტრატეგიული ხასიათის ინფორმაცია წყვეტდა.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სადაზვერვო საქმიანობის შედეგად მოპოვებული სანდოობით და დროულობით გამორჩეული ინფორმაციის გათვალისწინება, საერთაშორისო ასპარეზზე თვითგადარჩენის, შემდგომ კი, დომინაციის საწინდარი გახდა. მაგალითად ძვ. წ. V საუკუნეში მოღვაწე ფილოსოფოსი და სტრატეგოსი სუნ ძი, საკუთარ წიგნში „ომის ხელოვნება“[27], ხაზს უსვამს, რომ მოწინააღმდეგისა თუ მოკავშირის დამარცხებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რამდენიმე კომპონენტის ერთად გამოყენება, კერძოდ:

- წინმსწრები ინფორმაციის ფლობა;
- ამომწურავი ინფორმაციის ფლობა;
- მოვლენების განჭვრეტის უნარი;

ეს უკანასკნელი, ადასტურებს თანამედროვე სადაზვერვო საქმიანობის უცვლელი ფორმულის ჭეშმარიტებას, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის შესაძლებლობების, მიზნებისა და განზრახვების შესახებ სრულყოფილებით **(ამომწურავი)**, დროულობითა **(წინმსწრები)** და ანალიტიკურად **(განჭვრეტის)** დამუშავებული ინფორმაციის მიწოდება ხელისუფლებისათვის. აღნიშნული გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ უძველესი პერიოდიდან სახელმწიფოს

[27] სუნ ძი „ომის ხელოვნება“, წიგნები ბათუმში 2019, გვ. 52-54.

საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას აქტიურად გამოიყენებოდა სადაზვერვო საქმიანობის ინტელექტუალური შესაძლებლობები. რაც იმ პერიოდისთვის ბევრი სახელმწიფოსთვის ფიზიკური გადარჩენის საწინდარიც კი გახდა.

ზემოაღნიშნული მოსაზრების ნათელი დადასტურებაა, დავით აღმაშენებლის მიერ, სამხედრო სფეროში გატარებული ორგანიზებული რეფორმა. „მსტოვართა სპეციალური აპარატი“[28] მიზნად ისახავდა მტრულად განწყობილი სუბიექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მათ წინააღმდეგ მოქმედებას (მაგალითად[29]: მსტოვართა სახელთანაა დაკავშირებული კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის მოტაცება, კლდეკარის ციხიდან), როგორც სახელმწიფოს შიგნით ასევე, მის საზღვრებს გარეთ. შესაბამისად, მათი საქმიანობა ორი მიმართულებით იყო განვითარებული:

1. **სახელმწიფოს შიგნით** (მაღალ იერარქიაზე მყოფი სასულიერო პირების, ფეოდალებისა, მაღალ თანამდებობებზე დანიშნული სახელმწიფო მოხელეებისა და სამხედრო მაღალჩინოსნების გაკონტროლებას ისახავდა მიზნად);
2. **სახელმწიფოს გარეთ** (მტრულად განწყობილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სამხედრო - პოლიტიკური სახის სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვებას ისახავდა მიზნად).

მსტოვართა საქმიანობის შედეგიანობას განსაზღვრავდა ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, მისი ანალიზი და დროული მიწოდება ხელისუფლებისთვის, რაც არაერთი საბრძოლო ოპერაციის (ძენის, რუსთავის, ციხე-ქალაქი გიშის, ციხე-ქალაქი ლორისა და სხვა ტერიტორიების

---

[28] გამსახურდია კ. „დავით აღმაშენებელი“ ნაწილი I, გამომცემლობა ჰერა, 2016, გვ. 61-63.
[29] ქოიავა მ., ჯაფარიძე ო., მუსხალიშვილი დ., მეტრეველი რ., საქართველოს ისტორია ტომი II, თბილისი 2012. გვ.208-216.

განთავისუფლება)[30] წარმატებას დაედო საფუძვლად.

დავით აღმაშენებლის მიერ, მყარი საინფორმაციო ქსელის შექმნა გახდა სახელმწიფოს შიგნით და საზღვრებს გარეთ თვითგადარჩენის, ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და რეგიონში დომინანტობის საწინდარი.

სამწუხარო გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დავითის მეფობამდე აღნიშნული ინტელექტუალური რესურსი არ ხმარდებოდა სახელმწიფოს გაძლიერებას. სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდშიც, როდესაც ტახტზე ავიდა თამარი, აღნიშნულმა სამსახურმა დაიწყო დაკნინება, მოიშალა ძირითადი მექანიზმი, ხოლო გიორგი IV ლაშას (ლაშა-გიორგი) მეფობისას, დავითის მიერ შექმნილმა საინფორმაციო ქსელმა, თავად-აზნაურობის ძალისხმევით საბოლოოდ შეწყვიტა ფუნქციონირება (მაღალი ალბათობით თავად-აზნაურები საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ, უცხო სახელმწიფოთა ინტერესების გატარებაში მონაწილეობდნენ).

საქართველოსგან განსხვავებით მსგავსი შეცდომა არ დაუშვიათ ევროპულ სახელმწიფოებს. იქ, საუკუნეების მანძილზე უწყვეტი ციკლით იხვეწებოდა სადაზვერვო საქმიანობის ინტელექტუალურ-ოპერატიული რესურსი, ყალიბდებოდა ახალი მიმართულებები, განვითარდა ინფორმაციის მოპოვების ხერხები, რამაც ხელი შეუწყო სადაზვერვო საქმიანობის მეცნიერულ დონეზე აყვანას, შემდეგ კი ევროპული სახელმწიფოების დომინაციას. მაგალითად[31] XVI საუკუნეში ბრიტანეთის იმპერიაში ვხვდებით ფართომასშტაბიან სადაზვერვო სამსახურს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო მდივანმა, სერ ფრენსის უოლსინჰეიმ.

სადაზვერვო სამსახური გამოირჩეოდა კომპლექსურობით, მას დაევალა ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო, სოციალური და სხვა მნიშვნელოვანი პროცესების კონტროლი. ორგანიზაციის ფიზიკურ -

[30] მეტრეველი რ., „საქართველოს ისტორიის ოთხტომეული", II-ტომი,თბილისი, 2012 წელი, გვ. 384.

[31] HSUAN-YING TU, "THE PURSUIT OF GOD'S GLORY: FRANCIS WALSINGHAM'S ESPIONAGE IN ELIZABETHAN POLITICS, 1568-1588", UNIVERSITY OF YORK HISTORY, 2012, გვ.103.

ინტელექტუალური რესურსით უზრუნველყოფაში აქტიურად იყვნენ ჩართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები (ოქსფორდი, კემბრიჯი), რომლებიც საუკეთესო კურსდამთავრებულებს, სახელმწიფო მდივანთან შეთანხმებით სასწავლებლად აგზავნიდნენ საფრანგეთში. აქციის მიზანს წარმოადგენდა საფრანგეთის მეფის კარზე სამსახურის დაწყება და სტრატეგიული ხასიათის ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ბრიტანეთს, რეგიონში გავლენის შესანარჩუნებლად დაეხმარებოდა. მათ სახელთანაა დაკავშირებული, ბრიტანეთ - ესპანეთის დაპირისპირების დროს ინფორმაციული ბრძოლის მოგება (ცნობილი, როგორც „ესპანური არმადის“[32] შესახებ ინფორმაციის მოპოვება), რომელმაც საბოლოო ჯამში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ესპანეთის წინააღმდეგ ბრიტანეთის გამარჯვებაში.

ბრიტანეთის იმპერიისგან განსხვავებით საფრანგეთის სადაზვერვო სამსახურებს გაცილებით რთულ პირობებში მოუწიათ ჩამოყალიბება. მრავალწლიანი ომისა და რელიგიური არეულობისგან გაჟღენთილი საფრანგეთი, რომელიც მხოლოდ ერთი საუკუნით ადრე ითვლებოდა დასავლეთის უდიდეს სამხედრო ძალად, ლუი XIII-ის მეფობის პერიოდში დემორალიზებული იმიჯით მოევლინა საერთაშორისო ასპარეზს.

1624 – 1642 წლებში ლუი XIII-ის მთავარ მინისტრად დაინიშნა, არმან ჟან დიუ პლესი, ცნობილი როგორც კარდინალი რიშელიე. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ევროპული სახელმწიფოების ისტორიაში ერთ-ერთი წარმატებული სადაზვერვო სამსახურის ჩამოყალიბება, რომელმაც საერთაშორისო ასპარეზზე საფრანგეთს დაუბრუნა დომინანტის სტატუსი. კარდინალის მიერ, შექმნილი სადაზვერვო ქსელი გამოირჩეოდა მაღალი დონის ინტელექტუალური რესურსით, პროპაგანდის მასშტაბური გამოყენებით, გადაბირების ხელოვნებითა და დაკითხვების ოსტატობით. მათი საქმიანობის

[32] ბახტაძე რ., „ დაზვერვა - ისტორია ერთი თვალის გადავლებით“, ჩემი სამყარო, ჟურნალი ახალგაზრდებისათვის, 2015, გვ.66.

წარმატებას „საფრანგეთის სათნოების ურყევი რწმენა ედო საფუძვლად“[33].

რიშელიე, მთავარ მინისტრად ყოფნის პირველი ათწლეულის განმავლობაში ცდილობდა სახელმწიფო აპარატის გაძლიერებით საფრანგეთის გადახდის უნარიანობის აღდგენას, სამოქალაქო საზოგადოებაში სიძულვილის (რაც ერის დემორალიზაციას ედო საფუძვლად) დაშოშმინებას და მონარქიის მიმართ არსებული პოლიტიკური საფრთხეების ჩახშობას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად რიშელიეს სადაზვერვო სამსახურს გამკლავება უწევდა სახელმწიფოს გარე და შიდა საფრთხეებთან.

**საფრთხეებთან გამკლავება სახელმწიფოს გარეთ:** ჰაბსბურგებთან ათწლეულების დაპირისპირებაში რიშელიე, დროს ფაქტორს განიხილავდა, როგორც ძვირფას სტრატეგიულ პროდუქტს, რომელსაც შეეძლო საფრანგეთის ბედი გადაეწყვიტა. შესაბამისად, მან „აირჩია დაღლილობისა და შევიწროების სტრატეგია - la guerre couverte (ფარული ომი)[34]“, - პირდაპირი დაპირისპირების ნაცვლად, რომელსაც ახორციელებდა სადაზვერვო სამსახურის მეშვეობით. მან ყველაზე ძლიერი დიპლომატები გაგზავნა შიდა განხეთქილების გასაღვივებლად როგორც ესპანეთში, ასევე საღვთო რომის იმპერიაში. ამავდროულად, რიშელიეს მიერ გატარებული რეფორმებში ვლინდება რელიგიური დაზვერვის ნიშნები, რაზეც მიანიშნებს, საკუთარი მიზნების მისაღწევად პროტესტანტების გამოყენება და მათთან ალიანსში შესვლის ფაქტი.

აღნიშნულ იდეოლოგიურ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებისა და გარკვეული სტრატეგიული თვითიდენტობის დამკვიდრების პარალელურად, მან ასევე, წამოიწყო შიდა რეფორმები.

**საფრთხეებთან გამკლავება სახელმწიფოს შიგნით:** ფრანგული საზოგადოებრივი სტაბილურობის მომავალი განიხილებოდა ფართო და უკონტროლო სივრცეში - პოლიტიკურ ბროშურებსა და გაზეთებში, რომელიც

---

[33] იქვე გვ.68.

[34] Rehman I., "Raison d’Etat: Richelieu’s Grand Strategy During the Thirty Years’ War", Vol 2, 2019, გვ. 38–75.

XVII საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის ყოველდღიურობად იქცა, რაც მოწინააღმდეგეებს ფრანგული საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების საშუალებას აძლევდა. რიშელიეს, ისევე როგორც მის ბევრ თანამოაზროვნეს, კარგად ესმოდათ საზოგადოებრივი აზრის მზარდი ძალა და მოსალოდნელი შედეგები „სტამბის ეპოქაში“. შესაბამისად, სახელმწიფოს ინტერესების საპირწონედ, კოლექტიური აღქმის ჩამოყალიბება, კონტრპროპაგანდისტულ ძალისხმევას მოითხოვდა. სწორედ ამ მიზნით, მთავარი მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პირველივე დღიდან, იგი აკონტროლებდა პოლიტიკურ მედიას, ხელმძღვანელებადა გამომცემლობებს Le Mercure François და Gazette[35], რომელთა საფარქვეშ აქტიურად ეწეოდა წარმატებულ კონტრპროპაგანდისტულ კამპანიას. რიშელიესა და მის მიერ, ორგანიზებულ საფრანგეთის სადაზვერვო სტრუქტურის წარმატებაზე მეტყველებს ისტორიკოსების, პოლიტიკური ფილოსოფოსებისა და ბიოგრაფების არაერთი დადებითი შეფასება, რომლის კვალს ხშირად შევხვდებით თანამედროვე სადაზვერვო სამსახურების საქმიანობაში.

ევროპაში მიმდინარე პროცესების პარალელურად ჩამოყალიბდა და განვითარდა რუსეთის საიდუმლო სპეცსამსახურები, რომელმაც ფაქტობრივად დააგვირგვინა XIX საუკუნის სადაზვერვო საქმიანობის განვითარების ისტორია. რუსეთის იმპერიის სადაზვერვო საქმიანობამ, ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სადაზვერვო საქმიანობის გენეზის, როგორსაც დღეს სახელმწიფოთა ურთიერთობებში ხშირად ვხვდებით.

თავდაპირველად „ოპრიჩნინა“-ს, შემდგომში პრეობრაჟენსკის პოლკი“ - ისა და „ოხრანკა“[36]-ის საქმიანობა შეიცავდა ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სამოქალაქო მოსახლეობის უმრავლესობის გადაბირება, მასიურ ჯაშუშობაში

[35] Edith A. Standen, "Jean-Jacques-François Le Barbier and Two Revolutions", Metropolitan Museum Journal, Vol. 24, 1989, გვ. 255-274.

[36] ღურწკაია თ., „თბილისის „ოხრანკის“ განყოფილება და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა,“ საერთაშორისო კონფერენცია, „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, 2017 გვ. 341-347.

ჩართვა, კომპრომეტირება, შანტაჟი, მოწინააღმდეგეების ფიზიკური ლიკვიდაცია, ტერორი და ა.შ. დაბალ და საშუალო სოციალურ ფენებში აგენტურის ჭარბმა რაოდენობამ მეფის ხელისუფლების მიერ, მაღალჩინოსნებისა და პრივილეგირებული ფენის კონტროლის შეუწყო ხელი. 1800 წლიდან რუსეთში და მის საზღვრებს გარეთ ჯაშუშთა იმდენად მასშტაბური ქსელი შეიქმნა, რომ ევროპულ სპეცსამსახურებსაც კი, უჭირდათ კონკურენციის გაწევა. მაგალითად: „ოხრანკის“ საქმიანობა რუსეთის იმპერიისთვის იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მოგვიანებით „ჩეკა“ და „კგბ“ გადაიღეს მათი მეთოდები, რომლებიც გამოირჩეოდა სისასტიკით (მეთოდები არაერთხელ ყოფილა გამოყენებული საქართველოს წინააღმდეგ) და უპირატესობა ენიჭებოდა ხისტი ძალის გამოყენებას.

XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობები ხისტი ძალის პოლიტიკით გამოირჩეოდა, თითქმის ყველა მსხვილი საერთაშორისო აქტორი მიმართავდა მას, რამაც კაცობრიობა I და II მსოფლიო ომამდე მიიყვანა. შედეგობრივი ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ორი მსოფლიო ომი ყველაზე მეტად დამაზარალებელი აღმოჩნდა დომინანტი სახელმწიფოებისათვის, რადგან მათ ტერიტორიაზე გადაიარა პირდაპირმა სამხედრო მოქმედებებმა. შესაბამისად, II მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობა დადგა ახალი გამოწვევის წინაშე, თუ როგორ შეენარჩუნებინათ დომინაცია ნაკლები მსხვერპლითა და დანახარჯებით. ცივი ომის პერიოდში გლობალურმა მოთამაშეებმა აქტიურად დაიწყეს რბილი ძალის დემონსტრაცია, რაც გამოიხატებოდა ინფორმაციული ომის წარმოებაში.

სახელმწიფოები ჰეგემონის სტატუსის მოსაპოვებლად, ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ ბრძოლის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა დეზინფორმაცია, პროპაგანდა, ლობირება და სხვა. სადაზვერვო საქმიანობამ, რომელსაც საუკუნოვანი თეორიულ-პრაქტიკული ისტორია გააჩნდა, ლობიზმისა და ინფორმაციული ომის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია შეიძინა.

## 1.3 . სადაზვერვო საქმიანობის და ლობიზმის კორელაციის თეორიულ -კონცეპტუალური ხედვა

ლობიზმის განვითარების ისტორიულ ეტაპებზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ, ლობისტური საქმიანობის რეტროსპექტივას, რომლის ნიშნები XX საუკუნემდე გაცილებით ადრე გამოჩნდა სოციალურ თუ საერთაშორისო ურთიერთობებში. მაგალითად,[37] ანტიკურ საბერძნეთში (ათენში) მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობა პოლისის მმართველობაში ატარებდა პოლიტიკური ლობირების ნიშნებს, როდესაც ისინი აანალიზებდნენ პოლისის წინაშე არსებულ საზოგადოებრივ პრობლემებსა და გამოწვევებს, მაგრამ განსხვავებულად უყურებდნენ პრობლემის გადაჭრის გზებს. შესაბამისად, ინტერესთა წარმატებით ლობირებაზე იყო დამოკიდებული, ამა თუ იმ იდეის რეალობაში განხორციელება.

ცნობილი ფაქტია, რომ ანტიკურ პერიოდში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ორატორული შესაძლებლობები გადამწყვეტ, როლს თამაშობდა, რაც თანხვედრაში მოდის ინტერესთა წარმატებულ ლობირებასთან. სწორედ მას უკავშირდება ძვ. წ. 509 წელს ათენში კლისთანეს მიერ ცნობილი რეფორმების[38] გატარება, როდესაც დემოსმა (ხალხმა), მოიპოვა მმართველობა, რომლის შედეგადაც ათენში დამკვიდრდა დემოკრატიული ღირებულებები.

ანტიკური საბერძნეთის მსგავსად პოლიტიკური ლობირების ნიშნებით ხასიათდებოდა რომის სენატის მმართველობა. მონარქიის დამხობის შემდეგ სენატის პოლიტიკური გადაწყვეტილებები ფაქტობრივად მთლიანად ეყრდნობოდა ინტერესთა წარმატებულ ლობირებას. აღნიშნულის ნათელი

---

[37] Casey R. D., "What Is Propaganda?" American Historical Association, 1944" https://www.historians.org (ნანახია / გადამოწმებულია 19/10/2022).

[38] კაკაშვილი ლ., "ათენის დემოკრატია", იანუსი, 2018 http://www.ianusi.com/2018/03/blog-post_29.html (ნანახია / გადამოწმებულია 25/10/2022).

დადასტურებაა „ძვ. წ. IV საუკუნიდან პლებეების სენატში შესვლა“[39], რომელიც პატრიციებთან ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად იქნა მიღწეული.

მოგვიანებით XIII საუკუნეში ინტერესთა წარმატებული ლობირების შედეგად ინგლისში შეიქმნა „პარლამენტი“[40], რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ლობისტური გავლენის ხვედრითი წილი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოზე. მან თავის მხრივ გავლენა მოიპოვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო სფეროებზე.

უძველესი პერიოდიდან დღემდე, არცერთ დიდ პოლიტიკურ მოვლენას ისე არ ჩაუვლია, რომ მასზე თავისი გავლენა არ ჰქონოდა ლობიზმს. სენატის ჩამოყალიბება, რევოლუციები, სამხედრო გადატრიალებები, პარლამენტის შექმნა ეს არის, ის მცირე ჩამონათვალი, რომელთა მსვლელობის პროცესში ინტერესთა ლობირებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ისტორიული მოვლენების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, ლობისტური საქმიანობის ნიშნებთან დავაკავშიროთ არაერთი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო, რელიგიური თუ სხვა ხასიათის შემთხვევა. თუმცა, ლობიზმის, როგორც სრულყოფილი ორგანიზმის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ტერმინი „ლობიზმი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან „LOBBY”. იგი წარმოადგენს ღონისძიებათა კოორდინირებულ კომპლექსს, რომლის მიზანია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე, მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკების გადაწყვეტილებებზე სხვადასხვა (დაქირავება, ფულადი შემოწირულებები, ქველმოქმედება, მოსყიდვა, კომპრომეტირება და სხვა) საშუალებებით ზემოქმედების მოხდენა. შესაბამისად, ყოველ სახელმწიფოს, ლობიზმის დამაზიანებელი ეფექტის დაბალანსების კუთხით ინდივიდუალური საკანონმდებლო მიდგომა გააჩნია.

---

[39] ქოჩაშვილი ქ., „მბლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმციის საფუძველი“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2012, გვ. 20.

[40] გაჩეჩილაძე რ., „ბრიტანეთის პოლიტიკა და პოლიტიკური გეოგრაფია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 46.

1946 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული იქნა ლობისტური საქმიანობის შესახებ კანონი, „ლობიზმის ფედერალური რეგულირების კანონი (Federal Regulation of Lobbying Act)“[41]. ამ კანონის თანახმად ლობისტად აღიარებული იქნა ადამიანი, რომელიც თავად ან დაქირავებული პირ(ებ)ის მეშვეობით პირდაპირ / ირიბად, დაკავებული იყო შემოწირულების შეგროვებით, რომელიც გამოიყენებოდა აშშ-ში მიმდინარე პოლიტიკურ თუ საკანონმდებლო პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. ამ კანონის თანახმად პირს, რომელსაც სურდა ლობისტური საქმიანობის განხორციელება ოფიციალურად უნდა დარეგისტრირებულიყო ლობისტად და ნებისმიერ სახის შემოწირულების (რომელიც ღირებულებაც აღემატებოდა 500 დოლარს) შესახებ მოხსენება წარედგინა კონგრესისთვის. ლობისტად დარეგისტრირებულ პირს ევალებოდა ყოველკვირეული ინფორმაციის წარდგინება საკუთარი საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების შესახებ.

1954 წელს ლობისტური ჯგუფების ძალისხმევით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რაც გამოიხატებოდა რეგულირების შესუსტებაში. კანონი შემსუბუქდა რამდენიმე მიმართულებით:

1. კონგრესმენებს ეძლეოდა ლობირების უფლება თუ კი, ამ პროცესში ისინი საკუთარ სახსრებს დახარჯავდნენ;
2. ლობისტური ჯგუფების სიიდან ამოღებული იქნა საზოგადოებრივი აზრის შექმნით დაკავებული არაერთი ორგანიზაცია;
3. კანონის მოქმედება შეეხო მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც მიერ განხორციელებული საქმიანობა პირდაპირ უკავშირდებოდა კანონპროექტის მიღების პროცესში კონგრესზე ზემოქმედებას.

[41] გოგიბერიძე გ., "ლობიზმისა და მისი რეგულირების სამართლებლივი ასპექტები", სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012, გვ. 106.

კანონში ცვლილებების შედეგად, ლობისტური საქმიანობით დაკავებული ბევრი პირი და ჯგუფი, რომელთაც განსხვავებული ინტერესები გააჩნდათ ვერ ხვდებოდნენ კანონის მოქმედების არეალში. აღნიშნული გარემოებით საგრძნობლად შემცირდა კანონის ეფექტურობა. ყოველივეს თან ერთოდა ხარჯთაღრიცხვისა და დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ბრუნვის მოუწესრიგებლობა, რაც შემოსავლების დამალვისა და სხვადასხვა ფულადი მაქინაციის, მათ შორის კორუფციის წახალისების ეფექტური საშუალება გახდა.

აშშ-ის მაღალჩინოსან სახელმწიფო მოხოლეთა პოლიტიკური სკანდალები, რომელიც უკავშირდებოდა კორუფციულ გარიგებებსა და ლობისტურ საქმიანობას, 1995 წელს გახდა „ლობირების გამჟღავნების აქტი (Lobbying Disclosure Act)“[42] საფუძველი, რომელმაც გააძლიერა ზედამხედველობა ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით. რეგულირებას დაექვემდებარა ყველა ის ლობისტი, თუ ლობჯგუფი, რომლებიც აქამდე ვერ ხვდებოდნენ კონტროლის მექანიზმში.

გარდა ამისა ახალმა კანონმა მოაწესრიგა ის ხარვეზები, რომლებიც კანონის არსებულ ვერსიაში იჩენდნენ თავს. მოგვიანებით 2007 წელს საკანონმდებლო ცვლილებას დაექვემდებარა ზემოაღნიშნული აქტი. ცვლილება („Honest Leadership and Open Government Act“)[43] გულისხმობდა ლობისტური საქმიანობის შესახებ მეტ გამჭვირვალობას. კანონის მიღების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა („6068-დან 14912-მდე“[44]) ლობისტების რაოდენობა. ახალი საკანონმდებლო ცვლილებით, ისტორიაში პირველად ფუნდამენტურად ჩამოყალიბდა ლობისტური საქმიანობისა და ლობისტის მნიშვნელობა. ხელისუფლებას მიეცა ზედამხედველობის ეფექტური

[42] Holman C., Origins, Evolution and Structure of the Lobbying Disclosure Act, Public Citizen, Washington, 2003, გვ. 7-15.

[43] *იქვე გვ.17.

[44] გოგიბერიძე გ., "ლობიზმისა და მისი რეგულირების სამართლებლივი ასპექტები", სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012, გვ. 110.

მექანიზმი, რომლითაც  მეტად გამჭვირვალე გახდა ლობისტური საქმიანობა.

ლობიზმის ისტორიული განვითარების ეტაპებზე საუბრისას, განსახილველ საგანს წარმოადგენს, ეროვნულ უსაფრთხოებაში მისი როლის შესწავლა. მოვლენათა ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია იმის თქმა,  რომ კერძო (განსაკუთრებით უცხო ქვეყნების) ინტერესების ლობირებამ შესაძლოა დააზიანოს სახელმწიფოებრივი ინტერესები და საფრთხე შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებას.

საკანონმდებლო აქტების ანალიზით ირკვევა, რომ 1998 წლიდან საქართველოში მოქმედებს „კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ"[45] რომლის კონსოლიდირებული ვერსია არეგულირებს ლობისტური საქმიანობის ბიუროკრატიულ საკითხებს, უფლება - მოვალეობებს, და სხვა, სამართლებრივ ნორმებს.

საქართველოში ლობისტური საქმიანობის საჯაროობისა  და გამჭვირვალეობის, მიუხედავად მაინც არსებობს  საფუძვლიანი ეჭვი, ლობიზმის არაეფექტური რეგულირების და კანონმდებლობის არასაკმარისობის შესახებ. სიღმისეული ინტერვიუს ფორმატში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლი განმარტავს, რომ სადაზვერვო მოწყვლადობის ერთ-ერთ განმაპირობებელ გარემოებას სახელმწიფოში განათლების დაბალი დონე და ხარისხი წარმოადგენს. თაობათა ცვლის პროცესში აღნიშნული გარემოება განსაკუთრებული დამაზიანებელი შედეგებით გამოირჩევა, რადგან სახელმწიფოში ჩნდება პროფესიონალი / კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ხოლო დაბალი განათლების მქონე საზოგადოებაში განსაკუთრებით მარტივია სასურველი შედეგების მიღწევა და მისი მართვა.

რესპოდენტის თქმით ამ მიმართულებით გამონაკლისი არც სპეცსამსახურებია, რადგან, როგორც დაზვერვის ისე, კონტრდაზვერვის

---

[45]საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ, 15/07/20, https://matsne.gov.ge/ka/document/view/13552?publication=6 (ნანახია / გადამოწმებულია 27.10.22)

საკადრო უზრუნველყოფა, სწორედ სახელმწიფოს საზოგადოებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება სადაზვერვო ლობიზმს, ეს მიმართულება პრაქტიკულად შეუსწავლელი საკითხია ქართულ რეალობაში, ამ მიმართულებით არსებობს ცნობიერების დაბალი დონე. შესაბამისად, სადაზვერვო ლობიზმის ნეიტრალიზაციისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი სამსახურების მხრიდან იგი, აღქმული იქნას საფრთხედ / გამოწვევად, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განხორციელდეს, როგორც საკანონმდებლო ასევე, ოპერატიულ დონეზე.

ლობიზმის არასაკმარის რეგულირებაზე მეტყველებს უცხოური კომპანიების მხრიდან საქართველოს ბაზარზე ლობისტური ნიშნების მქონე ქმედებების სისტემურობა. მაგალითად, ჩინური კორპორაცია „სინოჰიდრო"[46] რომელიც მონაწილეობს სტრატეგიული ობიექტების (მათ შორის საქართველოს ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი) მშენებლობის პროცესში. მაღალი ალბათობით კორპორაციამ წარმატებული ლობირების შედეგად შეძლო ტენდერის მოგება. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე კომპანიას წარმატებული ლობირების შედეგად დაევალა ყირგიზეთში "ბიშკეკი-ნარინი-ტორუგარის" გზის მშენებლობა, რომელიც უხარისხოდ განხორციელდა, შედეგად კომპანია დაჯარიმდა 2,2 მილიონი დოლარით. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კორპორაცია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის ობიექტი რამდენიმეჯერ გახდა კორუფციული და არაკეთილსინდისიერი საქმიანობის გამო. მეტიც, კომპანია არაერთხელ მოხვდა მსოფლიოს განვითარების ბანკის შავ სიაში.

შემაჯამებელ ნაწილში კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ლობიზმის არაეფექტური დარეგულირება საფრთხის შემცველია ეროვნული უსაფრთხოებისთვის, არ აქვს მნიშვნელობა ლობიზმის დამაზიანებელ ეფექტს

---

[46] ასათიანი ი., „კორპორაცია სინოჰიდრო დაჯარიმდა", გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება, https://www.ifact.ge/sinohydrogaremo/ (ნანახია / გადამოწმებულია 27.10.22).

განვიხილავთ აშშ-თან თუ საქართველოსთან მიმართებაში, რადგან უცხო სახელმწიფოთა ინტერესების ლობირებას, რომლის უკანაც ხშირ შემთხვევაში სადაზვერვო ინტერესები იმალება, შესაძლოა შეეწიროს სამიზნე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები.

ზემოაღწერილი ფაქტების ანალიზი, ლობიზმის სადაზვერვო მოწყვლადობის შესახებ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს. შესაბამისად, სახელმწიფოთა ტექნოლოგიურმა განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის წარმოქმნას, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან უკუაგდო ხისტი ძალა და უპირატესობა რბილი ძალის პოლიტიკისკენ მიმართა.

## II თავი

## სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის ძირითადი მახასიათებლები (ქვეყნების შედარებითი ანალიზი)

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ გამოწვევას, სამყაროს განვითარებულ ნაწილში, კოლექტიური უსაფრთხოების შენარჩუნება წარმოადგენს. მაღალგანვითარებული სახელმწიფოები, ერთმანეთის წინააღმდეგ ერიდებიან პირდაპირი სამხედრო ძალის გამოყენებას, რაც დომინაციის შესანარჩუნებლად ალტერნატიული მეთოდების შემუშავებას აყენებს დღის წესრიგში.

დღესდღეობით განვითარებული სახელმწიფოები გავლენის შესანარჩუნებლად უპირატესობას ანიჭებენ რბილი ძალის პოლიტიკას, ეს იმით აიხსნება, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები გაცილებით კომპლექსური ხასიათისაა, ვიდრე როდისმე ყოფილა. შესაბამისად, სამხედრო ძალა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ნაკლებად მომგებიან ინსტრუმენტად იქცა, უპირატესობა კი რბილი ძალის პოლიტიკას მიენიჭა. იგი მანიპულირების, ზეწოლისა თუ იძულებისთვის გაცილებით ეფექტური საშუალებაა.

რბილი ძალის პოლიტიკის პროდუქტია სადაზვერვო და ლობისტური საქმიანობის სინთეზი, ამ პროცესში პრაქტიკულად წარმოშვა სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი, რომელმაც ფეხი აუწყო ტექნოლოგიურ პროგრესს და სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ მოწყვლადად მიმართულებად იქცა.

ერთი მხრივ სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი ეფექტური საშუალებაა მზვერავი სახელმწიფოსთვის, რადგან მისი გამოყენება ნაკლები დანაკარგებით სასურველი მიზნების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა (მათ შორის საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ უცხო ქვეყნების დამაზიანებელი ქმედებების ნეიტრალიზაცია/მინიმუმამდე დაყვანა), ხოლო მეორე მხრივ იგი თავსებადია სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებებთან (პოლიტიკური, ეკონომიკური,

სამხედრო, სამეცნიერო - ტექნიკური).

საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების ანალიზი მიანიშნებს, რომ სხვადასხვა რეგიონში შექმნილი არასტაბილური ვითარება მაღალი ალბათობით პროვოცირებულია დომინანტი ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ, რომლებსაც უწყვეტი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო, ეთნიკური და რელიგიური ხასიათის ზემოქმედებით, შექმნილი აქვთ სადაზვერვო აქტივობისათვის ხელსაყრელი ნიადაგი. მათ მიერ მართული ლობისტური ჯგუფები, ხელისუფლებებზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით გამოიყენება.

## 2.1. სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრაქტიკა

*„ყოველივე ის, რაც სასარგებლოა მტრისთვის, საზიანოა შენთვის, ყოველივე ის, რაც სასარგებლოა შენთვის საზიანოა მტრისათვის. იმას, ვინც ომის დროს მოწინააღმდეგეს უფრო ფხიზლად ადევნებს თვალს და უფრო გულმოდგინედ წვრთნის თავის ლაშქარს, ნაკლები საფრთხე ემუქრება და შეუძლია გამარჯვების უფრო მეტი იმედი ჰქონდეს.“, „ყველაზე კარგი ჩანაფიქრი ის ჩანაფიქრია, რომელიც მის ასრულებამდე დაფარული რჩება მტრისათვის.“ ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) „მთავარი“*[47].

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სადაზვერვო საქმიანობამ ოდითგანვე შეიძინა უმთავრესი ფუნქცია. საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა ფარული ომის მეთოდები, რაც თავდაპირველად თვითგადარჩენის, შემდგომ კი დომინაციისა და ჰეგემონობის საწინდარი გახდა. გლობალური აქტორების მიერ სადაზვერვო საქმიანობის

[47] ბრეგვაძე ბ. „ნიკოლო მაკიაველი“, ვანგოგენი, 2016, https://www.vangogen.com.ge/2016/11/blog-post_30.html (ნანახია / გადამოწმებულია 08.03.23)

მიმართულებები განვითარდა მეცნიერულ დონეზე და დღეს ისინი იმაზე მეტად კომპლექსურია ვიდრე, როდისმე ყოფილა.

სადაზვერვო საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე საუბრისას აუცილებლად უნდა იქნეს განხილული სადაზვერვო საქმიანობის კრედო, რომელშიც უმთავრესი როლი ენიჭება ინფორმაციის მოპოვებას, მის დამუშავებას და სათანადო გამოყენებას. მაგალითად, სუნ ძი საკუთარ წიგნში „ომის ხელოვნება"[48], საუბრობს მოწინააღმდეგისა თუ მოკავშირის დამარცხებისთვის ანუ, დომინაციისთვის აუცილებელ წინაპირობებზე:

- წინმსწრები ინფორმაციის ფლობა;
- ამომწურავი ინფორმაციის ფლობა;
- მოვლენების განჭვრეტის უნარი;

ეს ყოველივე კი მიანიშნებს თანამედროვე სადაზვერვო საქმიანობის ფორმულის ჭეშმარიტებაზე, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის შესაძლებლობების, მიზნებისა და განზრახვების შესახებ სრულყოფილებით (ამომწურავი), დროულობითა (წინმსწრები) და ანალიტიკურად (განჭვრეტის) დამუშავებული ინფორმაციის მიწოდება ხელისუფლებისათვის, რათა დროულად დაიგეგმოს და განხორციელდეს საფრთხის ნეიტრალიზაციის / მინიმუმამდე დაყვანის პროცესები. შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ჰეგემონობის მოპოვება - შენარჩუნება ცალსახად დამოკიდებულია მყარ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო აპარატზე.

თანამედროვე ეტაპზე სადაზვერვო საქმიანობა მოიცავს, რამდენიმე ძირითად მიმართულებას:

- პოლიტიკური დაზვერვა;
- ეკონომიკური დაზვერვა;
- სამხედრო დაზვერვა;
- სამეცნიერო - ტექნიკური დაზვერვა.

[48] სუნ ძი „ომის ხელოვნება", წიგნები ბათუმში 2019, გვ. 52-54.

## პოლიტიკური დაზვერვა

აღნიშნულ მიმართულებას სადაზვერვო პროცესში ერთ-ერთი მოწინავე და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან გადაწყვეტილების მიმღები რგოლი (მაგალითად: სახელმწიფო მოხელეები, დიპლომატები, პოლიტიკოსები და სხვა), რომელიც მზვერავი სახელმწიფოს მთავარ სამიზნეს წარმოადგენს მაღალი პოლიტიკური ცენზით ხასიათდება. ამრიგად, პოლიტიკური კუთხით სადაზვერვო ამოცანას წარმოადგენს, სადაზვერვო შეღწევადობისათვის სასურველი კანდიდატის შერჩევა, მისი შესწავლა და გადაბირება. კანდიდატის იდეოლოგიური, პოლიტიკური, მორალური მენტალური და ფსიქოლოგიური პროფილის გათვალისწინება, მზვერავი სახელმწიფოს სპეცსამსახურებს შესაძლებლობას აძლევს წარმატებით განახორციელონ სადაზვერვო აქტივობა, რომელიც მიიღწევა კომპრომეტაციით, მანიპულირებით, მოსყიდვით, დაშინებით და სადაზვერვო გადაბირების სხვა მეთოდების გამოყენებით.

პოლიტიკური დაზვერვის მიზანია, ღია და ფარული გზების გამოყენებით, სამიზნე სახელმწიფოსთან დაკავშირებული, პოლიტიკური პროცესების შესახებ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეკრება. აღნიშნული პროცესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმარების პროცესში.

ამ მიმართულების გამოყენებით შესაძლებელია სამიზნე სახელმწიფოში პოლიტიკური დესტაბილიზაციის, საზოგადოებრივი დაპირისპირების გაღვივება, მართვადი კრიზისების შექმნა, ინსტიტუტების პარალიზება, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის პროცესის შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდით.

პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით, წარმატებით განხორციელებული სადაზვერვო პროცესის ნიშანთა ერთობლიობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა გარდამავალ პერიოდში მყოფი სახელმწიფოების პოლიტიკურ წესრიგში. მაგალითად:

- ხელისუფლების დაკომპლექტება სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე კომპრომეტირებული მაღალი თანამდებობების პირებით;
- ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურ ასპარეზზე ერთი და იგივე კომპრომეტირებული პიროვნებების შენარჩუნება;
- სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ, ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი გადაწყვეტილებების მიღება;
- არაგამჭვირვალე - არადემოკრატიული საარჩევნო კამპანიის წარმოება და სხვა.

პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით წარმოსადგენის გასაღრმავებლად გამოდგება უკრაინაში განვითარებული მოვლენები[49]–[50]. მაგალითად:

1. 2017 წელს, უკრაინის უშიშროების სამსახურმა დააკავა მინისტრთა კაბინეტში მოღვაწე მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა სამთავრობო წრეებში. უკრაინული მედიის ინფორმაციით პირი, სავარაუდოდ გადაბირებული იქნა ომამდე პერიოდში, როდესაც იგი იმყოფებოდა საზღვარგარეთ მივლინებაში. ღია წყაროებში არ გავრცელებულა ჯაშუშობაში ბრალდებული პირის სახელი და გვარი თუმცა, შესაბამისი ძალოვანი უწყების განცხადებით, ამ პირს გააჩნდა გრძელვადიანი პოლიტიკური კარიერა, რომელსაც იყენებდა რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ. უწყების ინფორმაციით, პიროვნება უკრაინის მთავრობის კაბინეტში ეწეოდა კონსპირაციულ საქმიანობას რუსეთის სპეცსამსახურებისათვის სასარგებლო ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომლის გადაცემაც ხდებოდა, როგორც ელექტრონული ისე, ფიზიკური გზებით.

---

[49] თაიმერი – „უკრაინის მთავრობის ჩინოვნიკი რუსეთის ჯაშუში აღმოჩნდა", 21 დეკემბერი 2017 (https://www.timer.ge/ukrainis-mthavrobis-chinovniki-rusethis-jashushi-aghmochnda-video/ გადამოწმებულია 13.03.23).

[50] ახალაია ლ. „უკრაინის სამხედრო დაზვერვის მეთაური აცხადებს, რომ მათი ჯაშუში, დენის კირეევი უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მოკლა", პირველი არხი, 22.01.23 (https://1tv.ge/news/ukrainis-samkhedro-dazvervis-metauri-ackhadebs გადამოწმებულია 15.03.23).

**2.** 2023 წელს უკრაინაში, რუსეთთან მოლაპარაკების მწარმოებელი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი გაურკვეველ ვითარებაში იპოვეს გარდაცვლილი. აღნიშნულმა შემთხვევამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია სახელმწიფო სტრუქტურებში, კერძოდ ერთმანეთს დაუპირისპირდა უკრაინის სადაზვერვო და უსაფრთხოების სამსახური. ფაქტის ირგვლივ შესაბამისი უწყებების მხრიდან გაკეთდა მხოლოდ ბუნდოვანი შინაარსის მქონე განცხადებები, თუმცა ისინი ადასტურებენ, რომ გარდაცვლილი პირი რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებებში აქტიურად იყო ჩართული, მისი ამოცანას დროის მოგების მიზნით მოლაპარაკებების გაჭიანურება წარმოადგენდა, რაც ამყარებს ეჭვს იმის შესახებ, რომ აღნიშნული შემთხვევა პოლიტიკური დაზვერვის ნიშნებით ხასიათდება. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს თავად უკრაინის ძალოვანი უწყებების ოფიციალური განცხადება, რომლითაც დასტურდება, რომ მაღალჩინოსნის გარდაცვალება მისი სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება.

განხილული მაგალითების შედეგობრივ ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კონტრსადაზვერვო და სადაზვერვო სამსახურების არაეფექტური მუშაობის ხარჯზე, განხორციელდა სახელმწიფო სამსახურების არაჯანსაღი საკადრო ორგანიზება, რამაც საიდუმლოების რეჟიმის მოშლა და დაინტერესებული ქვეყნის სადაზვერვო მონაცემებით უზრუნველყოფა გამოიწვია.

**ეკონომიკური დაზვერვა**

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური სექტორი, გახდა უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების ერთ-ერთი განსაკუთრებული სამიზნე ობიექტი. თავის მხრივ, სახელმწიფოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ ათვისებაზეა დამოკიდებული, მოსახლეობის კეთილდღეობის, სტაბილური გარემოს შექმნის და სახელმწიფოს არსებობა-არარსებობის საკითხი. შესაბამისად, ამ

მიმართულებამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ლიბერალიზმისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელმაც პრაქტიკულად მოშალა სახელმწიფოს პროტექციონიზმის პოლიტიკა და გაზარდა სახელმწიფოს ეკონომიკურ სექტორში სადაზვერვო შეღწევადობის მასშტაბები.

ეკონომიკური დაზვერვის მიზანია, სამიზნე სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის, ბერკეტების, ეკონომიკური საფრთხეების, საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის, საერთაშორისო კავშირებისა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მიმართულებების შესახებ, სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეკრება. სამიზნე სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დათმობის ხარჯზე კი, მზვერავ სახელმწიფოს საშუალებას ეძლევა, იგი გამოიყენოს საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

სადაზვერვო ეკონომიკური პროცესის ორგანიზებისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, სამიზნე სახელმწიფოში ეკონომიკური გავლენის მოპოვება. ეს მიიღწევა საბაზრო - ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლით, ეკონომიკური ხასიათის სადაზვერვო პოზიციების შექმნით - მოპოვებით, მათ შორის გადაბირებით, სახელმწიფოს დაცულ ობიექტებზე შეღწევით, საიდუმლო ხასიათის მონაცემებზე წვდომით და სხვა არალეგალური თუ ლეგალური გზების გამოყენებით.

გამოთქმული მოსაზრებების გასამყარებლად გამოდგება აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი დირექტორის დევიდ კოენის განცხადება[51], სადაც იგი აფიქსირებს ოფიციალურ პოზიციას, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო დაინტერესებულია, როგორც ოპონენტი სახელმწიფოების ასევე, სტრატეგიული პარტნიორების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლით, რათა მომავალში სააგენტომ ადეკვატური რეაგირება მოახდინოს მოსალოდნელი საფრთხეების და ეკონომიკური კრიზისების თავიდან ასაცილებლად.

[51] კუხალაშვილი დ. „საქართველოს ეკონომიკური სისტემები (ეკონომიკური დაზვერვის როლი სახელმწიფოს მმართველობაში)“, თბილისი 2021, გვ.5-9.

სამიზნე სახელმწიფოში წარმატებით განხორციელებული სადაზვერვო ხასიათის ეკონომიკური აქტივობა გამოირჩევა ისეთი ნიშან-თვისებებით, როგორიცაა[52]:

- სტრატეგიული ხასიათის ეკონომიკური გეგმების, წარმატებით განხორციელებაზე ხელშეშლა;
- არსებული ეკონომიკური პოტენციალის გამოუყენებლობა ან, ამ პოტენციალი დამაზიანებლად ათვისება;
- შემდგარი საგარეო-ეკონომიკური კავშირების მოშლა, ან პერსპექტიული კავშირების დამყარებისა და გაღრმავებაზე ხელის შეშლა. მათ შორის, ახალი ეკონომიკური პარტნიორობის განვითარების კუთხით;
- ეკონომიკური გადაწყვეტილების მიმღები პირების გადაბირება და მათი გამოყენება ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ;
- საზოგადოების დაცლა შრომისუნარიანი და ბრძოლისუნარიანი მოსახლეობისგან;
- ეკონომიკური ხასიათის, საბოტაჟის, დივერსიისა და სხვა მადესტაბილიზირებელი სადაზვერვო პროცესების ორგანიზება;
- მართვადი ეკონომიკური კრიზისების პროვოცირება. ბაზრიდან ეროვნული კომპანიების გადევნა და არაჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნა;
- ეკონომიკური სისტემის რღვევა, არასტაბილური, არამდგრადი, არაჯანსაღი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების მუდმივ ეკონომიკურ კოლაფსში ყოფნას;

---

[52] კუხალაშვილი დ. , ბაბუხადია ი. „კორუფცია საქართველოში მასთან ბრძოლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ასპექტები“ დაზვერვისა და კონტრდაზერვის სერია, გვ. 32-37.

## სამხედრო დაზვერვა

სადაზვერვო საქმიანობის ყველაზე ძველ და სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მიმართულებას სამხედრო დაზვერვა წარმოადგენს. სამხედრო დაზვერვის ნიშნებს ვხვდებით ჯერ კიდევ უძველეს ცივილიზაციებში, როდესაც ადგილი ჰქონდა პირველ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებას. მაგალითად, სამხედრო დაზვერვის ნიშნებით გამოირჩევა მესოპოტამიის, ეგვიპტისა, საბერძნეთისა და რომის ანტიკური ცივილიზაციები[53]. თეორეტიკოსი და მხედართმთავარი სუნ ძი საკუთარ წიგნში „ომის ხელოვნება“, საუბრობს საბრძოლო მოქმედებების დროს სამხედრო დაზვერვის მეცნიერულ განვითარებაზე, რომელზედაც დამოკიდებულია საბრძოლო მოქმედების ბედი. შესაბამისად, ადრეული პერიოდიდან დღემდე არცერთ სამხედრო მოვლენას ისე არ ჩაუვლია, რომ პროცესში ჩართული არ ყოფილიყო სამხედრო დაზვერვის განმახორციელებელი რგოლი.

სამხედრო დაზვერვის ძირითადი ამოცანას მოწინააღმდეგე და მოკავშირე სახელმწიფოების, სამხედრო შესაძლებლობების, გეგმების, მიზნებისა და განზრახვების შესახებ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეკრება და ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით, შესაბამისი რეაგირების განხორციელება წარმოადგენს. სამხედრო დაზვერვის წარმატებულ საქმიანობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ეფექტური ათვისება, საერთაშორისო ასპარეზზე სამხედრო ბაზრების დაპყრობა, და მოსალოდნელი სამხედრო კრიზისების თავიდან არიდება.

შემთხვევითი არ არის, რომ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებს, მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით, სადაზვერვო პროცესების ორგანიზება ოპტიმალურად აქვთ განსაზღვრული

[53] ანჩებაძე გ, „სამხედრო ისტორია“, სომა პრესი, თბილისი 2002, გვ. 7 – 13.

კანონმდებლობით. მაგალითად:[54], სამხედრო დაზვერვითი საქმიანობა აშშ-ს უსაფრთხოების კანონის მიხედვით განსაზღვრულია, როგორც აშშ-ს მთავრობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფარული საქმიანობა, რომლის მიზანია საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ხასიათის, მათ შორის სამხედრო თვალსაზრისით, პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედება, როდესაც აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებასა და ნაციონალურ ინტერესების ემუქრება თუნდაც პოტენციური საფრთხე.

სამიზნე სახელმწიფოში წარმატებით განხორციელებული სამხედრო დაზვერვითი პროცესი გამოირჩევა ისეთი ნიშან თვისებებით, როგორიცაა:

- სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აუთვისებლობა ან არაეფექტური ათვისება;
- საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური კავშირების მოშლა და სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ალიანსებში გაწევრიანების პერსპექტივის გაქარწყლება;
- სამხედრო-სამეცნიერო კუთხით არსებული ინტელექტუალური და ფიზიკური (ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა) რესურსის გადინება სახელმწიფოდან და მათი გამოყენება სხვა სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ;
- სტრატეგიული ხასიათის, მათ შორის საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის გავრცელება ღია წყაროებში;
- სამხედრო კორუფცია და სხვა;

სამიზნე სახელმწიფოში, სამხედრო სფეროს დაზიანების ხარისხს განსაზღვრავს, მზვერავი სახელმწიფოს სამხედრო დაზვერვითი შეღწევადობის ორგანიზება. წარმატებით განხორციელებული სადაზვერვო პროცესის არეალი საკმაოდ ფართოა. იგი, კომბინირებულად აზიანებს სახელმწიფოს ეროვნულ

---

[54] საქართველოს დაზვერვის სამსახურის სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“ მეორე გამოცემა, თბილისი 2013, გვ. 18-19.

ინტერესებს. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს, დაზვერვის აღნიშნული მიმართულების განვითარება, რათა დაიცვას საკუთარი ეროვნული უსაფრთხოება, ხოლო შემდგომ, დომინაცია განახორციელოს სხვა სახელმწიფოზე.

## სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა

საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ თანამედროვე ეტაპზე არსებული სოციალური, ეკონომიკური-ტექნოლოგიური განვითარების დონე, დამოკიდებულია მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე. შესაბამისად, სახელმწიფოებში სოციალურ - ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის და შემდგომ განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას, სამეცნიერო-ტექნოლოგიური მრეწველობის ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

გამოთქმული მოსაზრებები სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში მიმდინარე მაღალ კონკურენციაზე მიანიშნებს, რომელშიც საკუთარ როლს თამაშობს სადაზვერვო საქმიანობა. თუკი გავითვალისწინებთ სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ძირითად მიზანს, რომელიც სამიზნე სახელმწიფოში სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საგანმანათლებლო სისტემებზე კონტროლის მოპოვება/შენარჩუნებას გულისხმობს, უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო-ტექნიკური სფერო სპეცსამსახურების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია.

სამეცნიერო - ტექნიკური დაზვერვის ამოცანას სამიზნე სახელმწიფოში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესების, ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის-პერსპექტივების, სისუსტეებისა და გამოწვევების შესახებ სადაზვერვო ხასიათის მონაცემების მოპოვება, შეკრება, ანალიტიკური დამუშავება და ხელისუფლებისთვის მიწოდება წარმოადგენს.

საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მზარდი კონკურენციის

პირობებში, დაზვერვის აღნიშნული მიმართულება, ეკონომიკურის მსგავსად ყალიბდება და ვითარდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც ხშირია კორპორაციული ჯაშუშობის ფაქტები. მათი მიზანია კერძო სექტორში კონკურენტუნარიანი მოწინააღმდეგეების დაზიანება. ეს ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე, სახელმწიფოსა და მის დაქვემდებარებაში (თუნდაც კერძო) მყოფ კორპორაციებს შორის, უნდა არსებობდეს ინფორმაციის გაცვლის კოორდინირებული სისტემა, წინააღმდეგ შემთხვევაში მზვერავმა სახელმწიფომ შესაძლოა დაკარგოს გავლენის სფერო.

სამიზნე სახელმწიფოში, სამეცნიერო-ტექნიკური კუთხით წარმატებით განხორციელებულ სადაზვერვო საქმიანობაზე მიანიშნებს:

- სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაქარწყლება, არ არსებობა, ხოლო არსებობის შემთხვევაში მისი დამაზიანებელი ათვისება;
- ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უცხო სახელმწიფოების ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება;
- სახელმწიფოში არაჯანსაღი კონკურენციის არსებობით ეროვნული კომპანიების გადევნა ბაზრიდან;
- გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ, საკუთარი სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის პროექტების შეჩერება;
- სახელმწიფოს მხრიდან, სხვადასხვა ღონისძიებებით, მაღალი ინტელექტის მქონე პერსონების ქვეყნიდან გადინების პოპულარიზაცია;
- სამეცნიერო - ტექნიკური განვითარებისათვის საჭირო შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება სახელმწიფოდან და მათი გამოყენება სხვა სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ;
- სახელმწიფოს სპეცსამსახურებსა და კერძო კომპანიებს შორის ურთიერთობის ველის მოშლა და სხვა;

სამეცნიერო - ტექნიკური დაზვერვის კუთხით წარმოდგენის გასაღრმავებლად გამოდგება II მსოფლიო ომში მიმდინარე პროცესების[55] ანალიზი, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის მიმართულებამ. კერძოდ, ბერლინის დაცემის შემდეგ ომში გამარჯვებულმა მოკავშირეებმა და მათმა სადაზვერვო აპარატმა ათეულობით სამეცნიერო - ტექნიკური პროექტის მოპოვება და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება შეძლეს. მაგალითად[56] საბჭოთა კავშირში ბირთვული ენერგიის წარმოებასა და ატომური რეაქტორის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გადაბირებულმა გერმანელმა მეცნიერებმა, რომლებიც ომის დასრულების შემდეგ ოჯახებთან ერთად იძულებით გადმოსახლებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირში.

სამეცნიერო - ტექნიკური დაზვერვის მიმართულებით ასევე, უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს II მსოფლიო ომში, დიდი ბრიტანეთის მიერ განხორციელებული ქმედებების ანალიზი, როდესაც საკომუნიკაციო საშუალების „ენიგმა“[57] -ის გაშიფვრა განხორციელდა, რამაც ფაქტობრივად დიდი ბრიტანეთს ზღვაზე დომინანტობის შენარჩუნების საშუალება მისცა.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სამიზნე სახელმწიფოში მიმდინარე სადაზვერვო პროცესში, კომბინირებულად ხდება რამდენიმე მიმართულების გამოყენება, რაც სადაზვერვო საქმიანობის წარმატების მნიშვნელოვანი საფუძველია. მიუხედავად განსხვავებული პროფილისა, პროცესში მონაწილე სხვადასხვა მიმართულებით მოღვაწე მზვერავ ჯგუფებს შორის, მუდმივად მიმდინარეობს დარგობრივი, მათ შორის საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის კოორდინირებული გაცვლა. ეს იმით აიხსნება, რომ მზვერავი სახელმწიფოს

---

[55] რონდელი ა. „მეორე მსოფლიო ომი“ ჟურნალი ახალგაზრდებისთვის ჩემი სამყარო, გამოცემა N4, 2014 წელი, გვ.3 -11.

[56] ზაზა ჯღარკავა ზ. ადამიას ლ. დოკუმენტური ფილმი „ატომური საქართველო“, ქართული დოკუმენტალისტიკა, პირველი არხი, 2016.

[57] Lee A. Gladwin, „Alan Turing, Enigma, and the Breaking of German Machine Ciphers in World War II” Prologue, 1997, pp. 203-205.

მიერ, ხანგრძლივი პერიოდით კონტროლს უნდა დაექვემდებაროს სამიზნე სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტები, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ბერკეტები, ინტელექტუალური შესაძლებლობები და ენერგეტიკული რესურსები. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ დაზვერვის მიმართულებებში კონცენტრირებულია სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები, რომლებიც მზვერავი სახელმწიფოს სპეცსამსახურებისათვის მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ.

## 2.2. ლობიზმის სადაზვერვო მოწყვლადობა

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დამყარებულია სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების წარმატებულ მუშაობაზე. სადაზვერვო საქმიანობის წარმატება განისაზღვრება, სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვით.

იმისათვის, რომ სადაზვერვო საქმიანობის საფარქვეშ განხორციელებული ქმედება იყოს ეფექტური, ამისთვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განისაზღვროს გამოყენებული საშუალებების, მსგავსებებისა და თავსებადობის დადგენა სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებებთან (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური). აღნიშნული მიზნების მისაღწევად, მზვერავი სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, კომბინირებული ხასიათის უწყვეტი სადაზვერვო პროცესი, რომელიც პრაქტიკაში განსხვავებული მეთოდებით გხვდება, მაგალითად: პროპაგანდა, დეზინფორმაცია, ლობირება და სხვა.

არაერთი ავტორის განმარტებით ლობირება წარმოადგენს კონკრეტული ინტერესების მატარებელი პირის ან პირთა ჯგუფის ლეგალურ / არალეგალურ აქტივობას, რომლის მიზანია, დამკვეთის ინტერესების სასარგებლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენა. შესაბამისად, ლობისტური საქმიანობა, სადაზვერვო

ზეგავლენისა და შეღწევადობის ორგანიზების კუთხით წარმოადგენს ერთ-ერთ მოწყვლად სეგმენტს.

გამოთქმულ მოსაზრებებს ამყარებს ქვემოთ მოყვანილი შემთხვევების ანალიზი, რომლებიც ადასტურებენ საერთაშორისო ურთიერთობებში ლობიზმის საფარქვეშ განხორციელებულ სადაზვერვო აქტივობებს. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევებს გააჩნიათ განსხვავებული ხასიათი, ისინი თანხვედრაში მოდიან სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებებთან:

**შემთხვევა 1.** [58] 2018 წელს აშშ დააკავეს რუსეთის მოქალაქე მარია ბუტინა, რომელსაც ბრალად ედებოდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს განცხადებით ბუტინა, ლობისტური-საზოგადოებრივი მოძრაობის „იარაღის უფლება“ წევრი იყო და რეგისტრაციის გარეშე ეწეოდა ლობისტურ საქმიანობას რუსეთის მთავრობის ინტერესების სასარგებლოდ. იგი აშშ-ის კონგრესმენებთან, პოლიტიკურ პარტიების ოფიციალურ პირებთან, პოლიტიკურად გავლენიან ფიგურებთან ამყარებდა კავშირებს, რომლებსაც შეეძლოთ რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება. მაღალი ალბათობით აღნიშნული ქმედება ემსახურებოდა აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში შეღწევას და გავლენების მოპოვებას, ხოლო შემდეგ მოწყვლადი პოლიტიკური ფიგურების გამოყენებას (მათ შორის გადაბირებას) რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ.

**შემთხვევა 2.**[59] განვითარებულ სახელმწიფოებში დანერგილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახელმწიფო ორგანიზაციების დომინირება საერთაშორისო ბაზრებზე ეფექტურია მაშინ, როდესაც არსებობს საკუთარ სახელმწიფოებთან ინფორმაციის გაცვლის კოორდინირებული სისტემა, რომლის ორგანიზება წარმოუდგენელია სპეცსამსახურების მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, 1952

[58] თორაძე ს. "ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული მარია ბუტინა რუსეთში დეპორტირების მიზნით, საიმიგრაციო სამსახურს გადასცეს“, პირველი არხი, 25.10.2019 (https://1tv.ge/news/გადამოწმებულია 03/05/2023)

[59] ალადაშვილი ბ. „ეკონომიკური უსაფრთხოება“ თბილისი 2011, გვ. 47-51

წელს იაპონიის მრეწველობის სამინისტროს ძალისხმევით შეიქმნა არაკომერციული სახელმწიფო ორგანიზაცია „JETRO" (იაპონიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია). მისი მიზანი იყო ექსპორტის სტიმულირება, იაპონური კომპანიების მხარდაჭერა, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის დაძლევის კუთხით.

ჯერ კიდევ 1994 წელს ორგანიზაციას გააჩნდა 84 შიდა ოფისი, რომელიც შედგებოდა 33 სავაჭრო საინფორმაციო ცენტრისგან და 51 ეკონომიკური ინტერნაციონალიზაციის ცენტრისგან სახელმწიფოს შიგნით, ხოლო საერთაშორისო დონეზე მას გააჩნდა 48 ოფისი, რომელთაგან 28 სპეციალიზებული ცენტრი დაკავებული იყო საჭირო ინფორმაციის შეგროვებით. 1997 წლისთვის ორგანიზაციის მიერ, აშშ-ს განხორციელებული ოპერაციები სარგებლიანობა დაახლოებით 30 მილიონი დოლარის უტოლდებოდა.

JETRO-ს საქმიანობით იაპონური სავაჭრო კომპანიები სამთავრობო უწყებებისთვის ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენდა, არც პირდაპირ მიანიშნებს ეკონომიკური და კორპორაციული დაზვერვის ნიშნებზე. აღნიშნულ ფაქტს, არც მალავდა იაპონიის ხელისუფლება კერძოდ, მე-XX საუკუნის დასასრულს იაპონიის ხელისუფლების განცხადებით, ისინი აცნობიერებდა FBI-ის და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უსაფრთხოების ზომებს. შესაბამისად ორგანიზაცია ერგებოდა ამერიკულ კანონმდებლობას და არ სცდებოდა იურიდიულ ჩარჩოებს. მათი განმარტებით ინფორმაციის შეგროვება არ არღვევდა იურიდიულ, მორალურ და ეთიკური ნორმებს, რადგან იაპონური ბაზრისთვის საჭირო ინფორმაციის 80-90% მოპოვება შესაძლებელი იყო ღია წყაროებიდან, მაგალითად როგორიცაა საგაზეთო სტატიები, სავაჭრო ჟურნალები, უსაფრთხოებისა და გაცვლის კომისიის ჩანაწერები, სპეციალიზებული მონაცემთა ბაზები და სხვა მასალები, რომელიც მათ ბიზნეს ინტელექტუალური შესაძლებლობების, საქმიანი და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში ეხმარებოდა.

ორგანიზაცია დღემდე ინარჩუნებს დამოუკიდებელი ინსტიტუტის სტატუსს და საერთაშორისო ბაზარზე ლობირებს ეროვნულ ინტერესებს. ორგანიზაციას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ბაზარზე იაპონური ავტოინდუსტრიის პოპულარიზაციის პროცესშიც, როდესაც ინტენსიურად ხდება ავტომწარმოებლების ინტერესების ლობირება კონკურენციის დაძლევის მიზნით. 2020 წლის მონაცემებით ორგანიზაციას გააჩნია ათეულობით  ოფისი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. დღეის მონაცემებით მისი როლი საწყის ეტაპთან შედარებით, გაცილებით მრავალფეროვანი, რომელიც მოიცავს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას პარტნიორ სახელმწიფოებთან, სტრატეგიული ინვესტიციების მოზიდვისა და იაპონური პროდუქციის ექსპორტის პოლიტიკის ორგანიზების კუთხით.

**შემთხვევა 3.**[60] რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ პრაქტიკულად ბალკანეთის ნახევარკუნძული კონფლიქტის გავრცელების პოტენციურ კერად ჩამოყალიბდა. სერბეთ-კოსოვოს  დაძაბული ურთიერთობის ფონზე არსებობს საფუძველი, რომ რეგიონში არსებული არასტაბილური პროცესები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახალი ომის წარმოქმნის ხელშემწყობ გარემოს ქმნის. აღნიშნულ პროცესში ლობისტური საქმიანობის საფარქვეშ, სადაზვერვო აქტივობის ნიშნებით გამოირჩევა რუსეთის დიპლომატიური კორპუსი, რომელიც აქტიურად ცდილობს ოპონენტ მხარეებს შორის „დირიჟორის“ როლის შენარჩუნებას. ლობისტური აქტივობა მაღალი ალბათობით ინიცირებულია რუსული სპეცსამსახურების მიერ,  აღნიშნული ვერსია არაერთხელ იქნა გაჟღერებული საერთაშორისო სამიტებზე, მათ შორის აშშ საჯარო მოხელეებისა და დიპლომატების მხრიდან. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე, ამყარებს სერბეთ - კოსოვოს  ბოლო სასაზღვრო დავის დროს, ღია წყაროებში გასაჯაროებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რუსეთის ელჩი  და სამხედრო ატაშე

[60] Sekularac  I.,  Popper H., „Blinken says Kosovo, Serbian leaders face 'difficult compromises“ February 15, 2023, (გადამოწმებულია 04.05.23 https://www.reuters.com/world/europe)

სერბეთის სამხედრო ბაზაზე იქნენ ფიქსირებულნი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მიმდინარე პროცესში რუსეთის სადაზვერვო ინტერესებს, რომელშიც საკუთარ როლს თამაშობს ლობისტური საქმიანობა.

**შემთხვევა 4.**[61] სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის მიმართულებით საყურადღებოა ევროკომისიის მიერ ინიცირებული კანონპროექტის „SOAP" დახარვეზების ორგანიზებული პროცესი. კერძოდ, კანონპროექტის ერთ-ერთი ნაწილი კიბერსივრცეში არსებული დანაშაულის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა ამერიკული ინტერნეტ პროვაიდერების ლობისტების ძალისხმევით განხორციელდა კანონმდებლების დარწმუნება, რომ კანონის აღნიშნული ნაწილის მიღება ინტერნეტში ცენზურის გამკაცრებას შეუწყობდა ხელს, რამაც ავტორებს კანონპროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანისკენ უბიძგა, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცნობილია, ინტერნეტ მეკობრეობასთან დაკავშირებული საფრთხეები, რომელიც „შავი ფულის" ბრუნვის და სხვა არალეგალური საქმიანობის წამახალისებელ გარემოებას წარმოადგენს.

შემთხვევის ანალიზით შეგვიძლია ვისაუბროთ ერთ-ერთ ვერსიაზე, რომლის თანახმადაც აშშ-ს სპეცსამსახურებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენდა ინტერნეტ პროვაიდერებისთვის სტანდარტების გამკაცრება, რადგან ნებისმიერი სადაზვერვო პროცესი მოიაზრებს კონსპირაციულობის დაცვას, მათ შორის სადაზვერვო ოპერაციის დაფინანსების წყაროების საიდუმლოდ შენახვასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე არცერთი სახელმწიფო არ არის დაზღვეული, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სადაზვერვო შეღწევადობისგან (მათ შორის, არც ამერიკის შეერთებული შტატები, რაზეც მეტყველებს 2023 წელს პენტაგონიდან საიდუმლო ხასიათის დოკუმენტების გაჟონვის ფაქტი, რის გამოც დაკავებული იქნა მოქმედი სამხედრო პირი.) დაზღვეული სადაზვერვო შეღწევადობისგან,

[61] european commission, "Final Report Summary – SOAP" (გადამოწმებულია : 05.05.23 https://cordis.europa.eu/project/id/230220/reporting)

სპეცსამსახურების ორგანიზებით შეიქმნა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც სადაზვერვო ოპერაციაში შავი ფულის გამოყენებას გულისხმობს, რადგან რთულია შავი ფულის წარმომავლობის დადგენა, იგი წარმოადგენს არადეკლარირებულ კაპიტალს და მისი გახარჯვა შესაძლებელია არალეგალური საქმიანობის, მაგალითად: რევოლუციების, სამხედრო გადატრიალებების, კონფლიქტების, პოლიტიკური მკვლელობების, სასურველი პირის / პირთა ჯგუფის ხელისუფლებაში მოყვანის და სხვა სადაზვერვო პროცესების ორგანიზების კუთხით.

ფაქტებისა და მაგალითების ერთობლიობა მიანიშნებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, განვითარებულმა სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანწილად უკუაგდეს ხისტი ძალის მეთოდები და უპირატესობა რბილი ძალის პოლიტიკას მიენიჭა. ფარული ომის პირობებში განსაკუთრებით გართულდა საფრთხეების წინააღმდეგ სახელმწიფოთა ბრძოლისუნარიანობა. ლობიზმს, როგორც რბილი ძალისა და ფარული ბრძოლის წარმოების ერთ-ერთ საშუალებას, გააჩნია გარკვეული მსგავსებები და თავსებადია სადაზვერვო საქმიანობის მიმართულებებთან.

## 2.3. სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის პრეცედენტები

თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ქვედარგის მეცნიერული შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია ოთხი S (States – სახელმწიფოები, Strategy – სტრატეგია, Science – მეცნიერება, Status quo – სტატუს კვო იმ გაგებით, რომ მსოფლიო ომის შემდეგ უსაფრთხოების შენარჩუნება, მსოფლიო წესრიგის შენარჩუნების ტოლფასია)[62] პრინციპთან. აღნიშნული მიმართულებით, უსაფრთხოების დარგში ერთ-ერთი პირველი კვლევა შეიმუშავა კოპენჰაგენის სკოლამ, რომელმაც განსხვავებული მიდგომა წამოჭრა, რასაც

[62] Williams Paul D. "Security Studies: An Introduction." Routledge 2008 pp. 3 - 7

მოგვიანებით „სექიურითიზაცია – „securitization-ს“[63] ეწოდა. აღნიშნული სკოლის დამფუძნებელი ბარი ბუზანი საკუთარ თეორიაში („Copenhagen school of security studies“)[64], მიანიშნებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პარადოქსულ ხასიათზე, სადაც ერთი მხრივ სახელმწიფო წარმოადგენს განვითარებულ სუბსტანციას, რომლის მიზანია უზრუნველყოფს ინდივიდის უსაფრთხოება, განავითაროს საერთაშორისო უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მსოფლიო წესრიგი, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფო ინარჩუნებს დომინაციას, ძალაუფლების მოპოვება - შენარჩუნების კუთხით.

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პროცესების ანალიზი ადასტურებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები ატარებს ანარქიულ ხასიათს. თუკი გავითვალისწინებთ ბარი ბუზენის ხედვას „სახელმწიფოს სექიურითიზაციის“ შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროცესი ჰგავს თომას ჰობსის მიერ, აღწერილ „ბუნებრივ მდგომარეობას“ სადაც, თვითგადარჩენისთვის ყველა ერთმანეთის წინააღმდეგაა განწყობილი.

დღემდე საერთაშორისო ურთიერთობებში დომინანტის სტატუსს, სახელმწიფოებთან ერთად სხვადასხვა ტიპის (მაგალითად: საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონული ალიანსები, სამხედრო ბლოკები, ბიზნეს კორპორაციები და სხვა.)[65] აქტორები ინაწილებენ. აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX საუკუნის შემდეგ, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში კონკურენციის გაზრდაზე მიანიშნებ. დომინანტობის

[63] Hurrell A. “On Global Order: Power, Values, and the Constitution of International Society.” Oxford University Press, 2007, pp. 196.

[64] Buzan B., Waever O., J. de Wilde, “Security: A New Framework for Analysis” Boulder: Lynne Rienner Publishers, 1998. pp. 25-29

[65] იურინი ა., „უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებისთვის: ვინ და როგორ განსაზღვრავს საფრთხეს დღეს?“ გამომცემელი: regional dialogue, 2016 (http://regional-dialogue.com/security-2/ გადამოწმებულია 12/052023)

შესანარჩუნებლად აქტორები იყენებენ ნებისმიერ საშუალებას, მათ შორის სადაზვერვო ხასიათის ლობიზმს.

სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის ცნება განსხვავდება ლობისტური საქმიანობის სტანდარტული დეფინიციისგან. სადაზვერვო ხასიათის ლობიზმად შეიძლება ჩაითვალოს, სადაზვერვო აქტივობის საფარქვეშ განხორციელებული ლობირება, რომლის სამიზნეს, გარდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებისა, შესაძლოა წარმოადგენდეს, სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებული, გადაწყვეტილების მიმღები პირები.

სადაზვერვო ლობისტური საქმიანობა შესაძლოა მიმდინარეობდეს ორი განსხვავებული არხით: 1. ლეგალური ფორმით, როდესაც კონკრეტული პირი / პირთა ჯგუფი დარეგისტრირებულა ლობისტად და ოფიციალურად ლობირებს დამკვეთის ინტერესებს, 2. არალეგალური ფორმით, როდესაც პირი / პირთა ჯგუფი ოფიციალურად არ ფიქსირდება ლობისტად, საკუთარ საქმიანობას არ არქმევს ლობისტურ აქტივობას თუმცა, როგორც კანონიერი ასევე, უკანონო გზებით ლობირებს დამკვეთის სადაზვერვო ინტერესებს.

სადაზვერვო ხასიათის ლობიზმს გააჩნია, როგორც დადებითი ასევე, უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ მისი გამოყენებით მზვერავ სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა ნაკლები ფინანსური დანაკარგებით მიაღწიოს სასურველ შედეგს და შეინარჩუნოს ზეგავლენა სამიზნე სახელმწიფოში. ხოლო, მეორე მხრივ სადაზვერვო ხასიათის ლობიზმით შესაძლებელია სამიზნე სახელმწიფოში სადაზვერვო ზეწოლის განხორციელება. პროცესი ხასიათდება მართვადი კრიზისების (რომლებსაც შესაძლოა გააჩნდეთ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეთნიკური, რელიგიური ხასიათი.) შექმნით, რაც გამოწვეულია მზვერავი სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ, სამიზნე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების ლობირებით.

სადაზვერვო ხასიათის ლობირება ხორციელდება მზვერავი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ლობჯგუფების (შესაძლებელია: კორპორაციული სექტორის, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების,

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისა და სხვა გაერთიანებების საფარქვეშ) მიერ. ზემოქმედების მიზანია, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, წამოწყებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სხვა სახის კამპანიებზე ზეგავლენის მოხდენა.[66] მიზნის მიღწევა შესაძლებელია, როგორც, ლეგალური (მაგალითად: ფულადი კონტრიბუცია, ქველმოქმედება და სხვა) ასევე, არალეგალური გზების (მაგალითად: მოსყიდვა, კომპრომეტირება, იძულება და სხვა) გამოყენებით.

სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის კუთხით წარმოდგენის გასაღრმავებლად გამოდგება, სომხური ლობის სადაზვერვო ნიშნების შემცველი საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კავკასიის რეგიონში, რომელიც დღემდე ხასიათდება ქმედითი ტენდენციებით. სომხური ლობი (სომხური კოკუსი, A.A.P.A.C., ANCA, AAA, AYF) წარმოადგენს პოლიტიკურ კოლექტივს, რომლის მიზანია ლეგალური და არალეგალური გზებით აშშ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსზე, სომხეთის რესპუბლიკის ინტერესების სასარგებლოდ გავლენის მოხდენა. სადაზვერვო ლობისტური აქტივობის მთავარ სამიზნე ობიექტებს წარმოადგნენ, თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო. აშშ-ში წარმატებით განხორციელებული ლობისტური საქმიანობა, ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სომხური ლობის დომინაცია განპირობებულია სომხურ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობით და საკუთარ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის მყარი ვერტიკალის ჩამოყალიბებით.

შემთხვევის ანალიზის ჭრილში, სომხური ლობისტური საქმიანობის შედეგობრივი ანალიზით იკვეთება სადაზვერვო ინტერესები, რომლითაც დაინტერესებულია სომხეთის რესპუბლიკა. კერძოდ, სომხური ლობისტური საქმიანობა თანხვედრაში მოდის სადაზვერვო საქმიანობის შემდეგ მიმართულებებთან:

---

[66] Shafritz, J. M. „The dictionary of public policy and administration. Boulder“, Colo: Westview Press, 2004, pp.125-127.

- სომხეთის გენოციდის აღიარება აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოების მიერ **(პოლიტიკური დაზვერვის თანხვედრილი მიზანი და შედეგი);**
- მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარება აშშ მიერ და მისთვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენა **(პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო დაზვერვის თანხვედრილი მიზანი და შედეგი);**
- „თავისუფლების მხარდაჭერის აქტში“ (აზერბაიჯანისთვის დახმარების გაწევის ნაწილში, 907-ე შესწორება) ცვლილებების შეტანის მიზნით პოლიტიკური ზეწოლის განხორციელება **(პოლიტიკური, ეკონომიკური დაზვერვის თანხვედრილი მიზანი და შედეგი);**
- ნატოსა და აშშ-ის მიერ, თურქეთისთვის იარაღის გადაცემისა და შეიარაღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარიგებების ჩაშლის მცდელობა **(სამხედრო, სამეცნიერო - ტექნიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური დაზვერვის თანხვედრილი მიზანი და შედეგი);**
- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტების წინააღმდეგ ლობისტური კამპანიის წარმოება **(პოლიტიკური, ეკონომიკური დაზვერვა);**

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ლობისტური საქმიანობა, სადაზვერვო საქმიანობის მიმართ ატარებს მოწყვლად ხასიათს. მათი სინთეზით წარმოიშობა სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების წახალისება, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს ეროვნული ინტერესების დაზიანება. ყოველივე კი, უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურებს, სამიზნე ხელისუფლებებზე ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.

## III თავი

## სადაზვერვო ლობიზმი და საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები - გამოწვევები

XX საუკუნის პირველ ნახევარში, საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულმა მოვლენებმა, უდიდესი გავლენა იქონია დამოუკიდებელი საქართველოს მომავალზე. საუკუნის დასაწყისში კავკასიის რეგიონი და საქართველო იქცა იმპერიული ინტერესების გადაკვეთის წერტილად ისეთი, გლობალური აქტორებისთვის, როგორებიც იყვნენ საბჭოთა რუსეთი, ოსმალეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის იმპერიები.

საქართველოს ისტორიის აღნიშნულ მონაკვეთში, ვხვდებით სადაზვერვო საქმიანობის ნიშნების შემცველ მაგალითებს, რომლებიც ხსენებული სახელმწიფოების მიერ, აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. სადაზვერვო პროპაგანდა, სადაზვერვო ლობირება, სადაზვერვო ხასიათის დეზინფორმაცია, ეს არის ის მცირე ჩამონათვალი, რითაც ხასიათდებოდა საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ბრძოლის სტრატეგიული მეთოდოლოგიები.

მსგავსი ტენდენციებით გამოირჩევა საქართველოს უახლესი ისტორიაც. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მიერ, საქართველოში პროვოცირებული, დაპირისპირება ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის, ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, სამხედრო გადატრიალება და ეკონომიკური კრიზისი, გახდა უცხო სახელმწიფოებისთვის სადაზვერვო ზეგავლენის მოპოვებისა და ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნებისთვის ხელსაყრელი ნიადაგი.

პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებში, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის პერიოდში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ, კონტრსადაზვერვო მიზნებისათვის გადაბირებულმა აგენტურულმა აპარატმა, რომელმაც როგორც რუსეთის ფედერაციის ისე, სხვა

სახელმწიფოების სადაზვერვო აგენტურის სტატუსი მოირგო. სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამოყენებით მადესტაბილიზირებელი პროცესები განხორციელდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, და სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებებით. სადაზვერვო ხასიათის ლობიზმმა გარდამავალ პერიოდში მყოფ საქართველოში ფეხი მარტივად მოიკიდა და დღემდე ძირგამომთხრელი საქმიანობით საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას.

## 3.1. სადაზვერვო ლობიზმისთვის ხელსაყრელი ვითარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

1917 წელს რუსეთში რევოლუციის შედეგად დაემხო მონარქია, რამაც რეგიონში, პოლიტიკურ-სოციალური კუთხით, ტექტონიკურ ძვრებს დაუდო სათავე, რომლის ცენტრად საბჭოთა რუსეთი მოევლინა საერთაშორისო ასპარეზს. პირველმა მსოფლიო ომმა, რევოლუციამ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ, იმპერიის დაშლამ, განსხვავებულ პოლიტიკურ - ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ, გარდამავალ - არასტაბილურ მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთი და სრულიად კავკასიის რეგიონი. შედეგად სადაზვერვო მიზნების აღსრულებისთვის ფანჯარა გაეხსნა, რეგიონზე დომინანტობის ამბიციის მქონე სახელმწიფოებს. თუმცა, ახლად გასაბჭოებულ რუსეთს, იმპერიული ინტერესები გააჩნდა ამიერკავკასიაში. საბჭოთა რუსეთი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს არ განიხილავდა დამოუკიდებელ სუბსტანციებად, ოსმალეთის იმპერიას კი, საკუთარი ინტერესები გააჩნდა აჭარის რეგიონში. შესაბამისად, საფრთხის წინაშე იდგა საქართველოს დამოუკიდებლობის მომავალი, რომელიც გერმანიასთან სტრატეგიული პარტნიორობის ანაზარა იყო დარჩენილი.

სტრატეგიული პარტნიორები, კატეგორიული მოთხოვნით ლობირებდნენ იდეას, რომ უნდა დაშლილიყო „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული

რესპუბლიკა“[67], რომლის წევრებიც იყვნენ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და უნდა მომხდარიყო თითოეული მათგანის მიერ ცალ - ცალკე დამოუკიდებლობის გამოცხადება. მხოლოდ ამ პირობით იღებდნენ ისინი სახელმწიფოების დაცვის ვალდებულებას. მაგალითად გერმანელი გენერალი ოტო ფონ ლოსო, ღიად ლობირებდა „გერმანოფილურ“[68] ინტერესებს, აკაკი ჩხენკელთან ოფიციალური მოლაპარაკებების დროს, რომლის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ გერმანია ვერ დაიცავდა ქართველებს ოსმალეთის იმპერიისგან თუკი, საქართველო დარჩებოდა ამიერკავკასიის სეიმის წევრად. ხოლო, თუკი სეიმი დაიშლებოდა და საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, იგი შუამდგომლობას გაუწევდა ქართულ მხარეს გერმანიის იმპერიის წინაშე, საქართველოს ტერიტორიის დაცვის თაობაზე. ანალოგიური დამოკიდებულება გააჩნდა დიდი ბრიტანეთის იმპერიას სომხეთთან მიმართებაში, ხოლო ეთნო - რელიგიური იდეების ლობირებით ოსმალეთის იმპერიამ მარტივად მოახდინა გავლენა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

1918 წელს ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის არსებობა, არც ერთი გლობალური აქტორის ინტერესებში შედიოდა დაშლილად გამოცხადდა. შედეგად, თვითგამორკვევისა და თვითიდენტიფიკაციის გზაზე მდგარი ზემო აღნიშნული სახელმწიფოები, რომლებსაც ერთი შეხედვით რეგიონში ძალთა ბალანსი უნდა შეენარჩუნებინათ, მოექცნენ გერმანიის (საქართველო), დიდი ბრიტანეთისა (სომხეთი) და ოსმალეთის (აზერბაიჯანი) სადაზვერვო ზეგავლენის ქვეშ, რომელსაც უპირისპირდებოდა ახლად გასაბჭოებული რუსეთი.

---

[67] კუხალაშვილი დ. „საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნა-ჩამოყალიბებისა და საქმიანობის ისტორია“, თბილისი 2006, გვ.19
[68] საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, (რედაქტორი გურული ვ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, არტანუჯი, თბილისი., 2003, გვ. 77.

მოცემული პერიოდისთვის საქართველო საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობით „მულტიკულტურიზმის ცენტრს წარმოადგენდა“[69], სადაც იკვეთებოდა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების ინტერესები, რამაც განაპირობა უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო შეღწევადობის მაღალი ხარისხი. მაგალითად: რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მყოფი აგენტურა, რომელიც მონარქიას ემორჩილებოდა, საბჭოთა სპეცსამსახურებს დაექვემდებარა. ევროპელი საზოგადოებრივი მოღვაწეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროდასავლური პოლიტიკური იდეების პროპაგანდაში, რომელთაც მხარს უჭერდა ადგილობრივი ინტელიგენციის ნაწილი. საქართველოში გადმოსახლებული მეზობელი სახელმწიფოების ეთნიკური ჯგუფები, წარმომავლობის მიხედვით ლობირებდნენ განსხვავებულ ინტერესებს.

იმ მომენტისთვის საქართველოს საზღვრებში თავს იყრიდა „აჭარის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ლორეს და ზაქათალას ოლქის ტერიტორიები“[70], სადაც საკუთარი ინტერესები გააჩნდათ, როგორც მეზობელ ისე, სხვა სახელმწიფოებს. ყოველივე კი, ამყარებს მოსაზრებას, რომ უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურებს შესწავლილი ჰქონდათ ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრი და განწყობა მიმდინარე პროცესებისადმი. შექმნილი პოლიტიკური სურათის გათვალისწინებით არსებობდა მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს შორის საიდუმლო გარიგებებისა და საქართველოს წინააღმდეგ კონფლიქტის განვითარების რისკი.

1918 წელს საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის იმპერიის ლობირებით სომხეთის ხელისუფლება დაექვემდებარა ულტრანაციონალისტურ პარტიას დაშნაკცუთიუნს, რომლის წევრებსაც გააჩნდათ შოვინისტური იდეები საქართველოსა და სრულიად კავკასიის რეგიონზე. კერძოდ, ისინი ლობირებდნენ იდეას, რომ ტერიტორიები სადაც ეთნიკურად

---

[69] ვაშაყმაძე. ნ “კარლ კაუცკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ (1918-1921) ბათუმი 2007, გვ 130.
[70] ხვადაგიანი დ. „ქესქინ-ზადეს დიდი თამაში აჭარულ ცუგცვანგში“ , საზოგადოებრივი არქივი, 2022, (https://archive.ge/ka/blog ნანახია / გადამოწმებულია 08/092023).

სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა უნდა შესულიყო სომხეთის შემადგენლობაში. აღნიშნული მოცემულობით სომხეთს ექვემდებარებოდა, ახალქალაქი, ბორჩალოს მაზრის უმეტესი ნაწილი, ახალციხის მაზრა, გორის მაზრა და ბათუმის ოლქი, რათა სომხეთსაც ჰქონოდა ზღვაზე გასასვლელი.აღნიშნული მოცემულობა პრაქტიკულად, უცხო სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკურად და რელიგიურად მონათესავე ჯგუფის სადაზვერვო მიზნებით გამოყენების ნიშნებს ატარებდა.[71]

სომხურ აბსურდულ იდეებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებას ადეკვატური რეაგირება ჰქონდა. თუმცა, მმართველი პარტიის ლიდერებს არაერთგვაროვანი შეხედულებები გააჩნდათ ლორეს და ბორჩალოს მაზრასთან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ლობირებდა იდეას, რომ ლორეს სომხეთისთვის დათმობით შეიძლებოდა გადაჭრილიყო სომხეთთან ტერიტორიების დავის საკითხი, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სომხურ სპეცსამსახურებს, მაღალი ალბათობით გლობალურ აქტორებთან გააჩნდათ ინფორმაციის გაცვლის კოორდინირებული სისტემა და მათი მხარდაჭერით გავლენა ჰქონდათ მოპოვებული საქართველოს ხელისუფლების რიგ წევრებზე. ხოლო, ამ პიროვნებების გამოყენებით ლობირებდნენ სომხეთისთვის მომგებიან იდეებს.

ყოველივე ნათელს ჰფენს სურათს, რომ გლობალურ მოთამაშეებს შორის კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით შედგა კონსენსუსი. გადაწყვეტილი იყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბედი, იმპერიებს შორის მიმდინარეობდა საიდუმლო ხასიათის გარიგებები, რომლის შედეგადაც, რეგიონში ძალაუფლების ქანქარა საბჭოთა რუსეთისა და დიდი ბრიტანეთს იმპერიის მხარეს იხრებოდა.

ულტრანაციონალისტური პარტიის სომხეთის ხელისუფლებაში მოსვლა და რადიკალური იდეების გაჟღერებაც არ ყოფილა შემთხვევითი.

[71] კუხალაშვილი დ. „საპოლიციო სტრუქტურებისა და სპეცსამსახურების ოპერატიული საქმიანობის ისტორიიდან“, თბილისი 2017 გვ. 26-29.

გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს, რომ საუკუნის დასაწყისში საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებზე, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის, ძალისხმევით გადმოსახლებული იქნა ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად, რათა შექმნილიყო ეთნიკური სიჭრელე, მომხდარიყო ქართველი ერის დეცენტრალიზაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი, როგორც ლობისტური ჯგუფების გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

საქართველოში გადმოსახლებული სომხური ინტელიგენციის ნაწილი ღიად ლობირებდა სომხურ რადიკალურ-ნაციონალისტურ იდეებს ანტიქართული პროპაგანდის გამოყენებით. პროცესი ითვალისწინებდა კულტურული მემკვიდრეობების მიტაცებას, ისტორიული მოვლენების გაყალბებას, ტერიტორიების მითვისების იდეას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქერობე პატკანოვი, გერასიმ ეზოვი, ალექსანდრ ერიცოვი, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში, გაზეთების („შმაკი“ „ორიზონი“, „აშხატავორი“ და სხვები)[72] საშუალებით პროპაგანდას უწევდნენ აჯანყების იდეას, რომელიც მაღალი ალბათობით შეთანხმებული იყო სომხურ სპეცსამსახურებთან.

სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ ხელისუფლებაში მყოფი „დაშნაკცუთიუნი“[73] სადაზვერვო ხასიათის ტერორისტული აქტებით უპირისპირდებოდა ოსმალეთის იმპერიას სომეხი ხალხის გენოციდის გამო, რაც მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის კარზე მყოფი ჩინოვნიკების ლიკვიდირებას.

მოცემულ პერიოდში დიდი ბრიტანეთი და ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბლოკებში ერთიანდებოდნენ. შესაბამისად დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო ინტერესებში შედიოდა რეგიონზე

[72] თამარაშვილი მ. „პასუხი სომეხ მწერლებს რომლებიც უარყოფენ ქართველთა ქრისტიანობას“ თბილისი 1904, გვ. 34.

[73] სილაქაძე დ. „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი“ თბილისი 2018 გვ. 400-410.

ოსმალეთის გავლენის შემცირება სომხეთის გამოყენებით. აქედან გამომდინარე ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერდა დაშნაკცუთიუნის რადიკალურ მეთოდებს. აღნიშნული გარემოება დიდი ბრიტანეთის იმპერიას ხელს უწყობდა კონტროლი მოეპოვებინა, როგორც ბაქოს ნავთობზე ასევე, ბათუმის პორტზე. თუმცა, ანალოგიური ინტერესები გააჩნდა რუსეთის იმპერიასაც.

ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა 1918 წლის შემოდგომაზე. პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაუძლურებულმა გერმანიამ და ოსმალეთმა პოზიციების დათმობა დაიწყეს კავკასიის რეგიონში. საარქივო ჩანაწერების[74] ანალიზით ირკვევა, რომ ლორეს უბნის სამხრეთ ნაწილი დაიკავა სომხურმა შენაერთებმა, მათ გაანადგურეს ქართულ-გერმანული სასაზღვრო პუნქტები და მოახდინეს მიმდებარე ტერიტორიების მიტაცება. სამშვიდობო მოლაპარაკებების მიუხედავად სომხური მხარემ შეტევა რამდენიმე დღეში განაახლა, ამჯერად ქარინჯში მყოფი გერმანულ პოსტის მიმართულებით, რასაც მოჰყვა გერმანელების მიერ, ქართული ტერიტორიების მიტოვება და რეგიონიდან სამხედრო შენაერთების გაყვანა.

ხელისუფლებისთვის ნათელი გახდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხების პირას მყოფი გერმანია ვერ უზრუნველყოფდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ოქტომბრის ბოლოს კი ბორჩალოს მაზრაში ქართულ - სომხურ მხარეებს შორის სამხედრო შეტაკებებმა პიკს მიაღწია, რომელიც საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.

სომხეთთან ომის შემდეგ სიტუაცია განსაკუთრებით დამძიმდა აჭარის რეგიონში. 1918 წლის ზამთარში, რეგიონში შემოიჭრა დიდი ბრიტანეთის იმპერიის სამხედრო შენაერთები, რომლებმაც მოახდინეს ბათუმის პორტისა და ბაქოს ოკუპაცია. ბათუმში პოზიციების გამყარების შემდეგ 1919 წელს დაინიშნა გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც კავშირები გააჩნდა, როგორ რუსეთიდან

[74] რესპუბლიკა 100, საარქივო ჩანაწერები, „1918: იწყება სომხეთ-საქართველოს ომი“ გაზეთი „ერთობა“ N270, 1918 წელი.

გამოქცეულ ანტონ დენიკინთან ასევე, „პროსმალური პარტიის სედაი მილეთის ლიდერებთან“[75]. შესაბამისად, დიდი ბრიტანეთი საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის, კოორდინირებული გაცვლის ცენტრს წარმოადგენდა საქართველოში.

ხსენებული მოძრაობები სადაზვერვო ხასიათის ლობირებით გამოირჩეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ, მაგალითად: პარტია სედაი მილეთი, რომელიც სარგებლობდა, როგორც შიდა ასევე, საგარეო მხარდაჭერით, დაკომპლექტებული იყო ანარქისტი რევოლუციონერებით, რომელთა ქმედებები უკავშირდებოდა პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ კრიმინალურ საქმიანობას, მათ შორის ტერორიზმს.

სედაი მილეთის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმ მოსახლეობასა და ქართულ საზოგადოებას შორის განხეთქილების ჩამოყალიბება, რათა ტერიტორიები, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ შესულიყო ოსმალეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ორგანიზაცია იზიარებდა პანთურქულ იდეას და აჭარის მოსახლეობაში პრესის, ე.ი. ოსმალური სადაზვერვო პროპაგანდის საშუალებით ამკვიდრებდა საზოგადოებრივ აზრს, რომ არდაგანისა და ბათუმის ოლქები თურქეთს უნდა გადასცემოდა.

გარდა ამისა, მათი საქმიანობა მიზნად ისახავდა საზოგადოებაში შიშისა და პანიკის დანერგვას, რათა აჭარის მკვიდრ მოსახლეობაში მომხდარიყო ცენტრალური ხელისუფლების მიმართ შუღლისა და უკმაყოფილების გაღვივება. ორგანიზაცია არაერთხელ იქნა დაკავშირებული პოლიტიკურ მკვლელობებთან. მოგვიანებით, აღნიშნულმა დაჯგუფებამ დენიკინის რაზმებთან კოორდინირებული მოქმედებებით, ქართული არმიის წინააღმდეგ ორგანიზება გაუწია მდინარე ჩოლოქის მიმდებარე ტერიტორიებზე სამხედრო შეტაკებებს, რაც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებას ისახავდა მიზნად. გამოდის, რომ დიდი

[75] ბაკურაძე ს. „სსრკ და თურქეთის ფარული აგენტურული ომი აჭარაში“ საზოგადოებრივი არქივი, 2022 (https://archive.ge/ka/blog/122 ნანახია / გადამოწმებულია 17/10/23).

ბრიტანეთი სადაზვერვო ხასიათის ლობირებას ახორციელებდა, საბჭოთა რუსეთის მოწინააღმდეგე ძალებთან, ხოლო საქართველოს ტერიტორიას იყენებდნენ ამ ძალის დროებით თავშესაფრად.

ნათელი, რომ ორივე მხარის გამოყენებით ბრიტანეთი ლავირებდა საკუთარი პოლიტიკური ინტერესებს სასარგებლოდ, მეტიც ბრიტანეთის ინიციირებით დაიწყო ბათუმში პორტო-ფრანკოს პროექტის აღდგენაზე მუშაობა, რომელიც გულისხმობდა ბათუმის პორტის უბაჟო საგარეო - ეკონომიკურ სივრცედ გამოცხადებას, აღნიშნულ იდეას აქტიურად უჭერდა მხარს ერთა ლიგაც. ეს უკანასკნელი მიანიშნებს, რომ დასავლეთი კვლავ აჭიანურებდა საქართველოს ევროპასთან ინტეგრირების საკითხს და მხარს უჭერდა მის ბლოკადას.

მაგალითად, გაზეთ ერობაში გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის მქონე სტატია, რომელიც ეხებოდა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების საკითხს. კერძოდ, „პარიზი - ტანი“[76] იუწყებოდა, რომ ერთა ლიგის გაფართოების და საქართველოს გაწევრიანების საკითხი მოუგვარებლად რჩებოდა, რადგან საქართველო მოიაზრებოდა ჯერ კიდევ რუსეთი გავლენის სფეროდ. ერთა ლიგის წევრობა კი გულისხმობდა ვალდებულებას, რომ ორგანიზაციის წევრებს უნდა დაეცვათ ნებისმიერ წევრი გარე საფრთხისგან. ხოლო, იმ მომენტისთვის ერთა ლიგაში არ მოიძებნებოდა სახელმწიფო, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა საქართველოს სრული დაცვის ვალდებულებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიციისა საარქივო ჩანაწერების[77] ანალიზით ირკვევა, რომ დიდი ბრიტანეთი რობერტ სელისა და ფრიტიოფ ნანსენის მეშვეობით დაჟინებით ლობირებდა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებისა და სამშვიდობო ექსპედიციის დაწყების იდეას. ეს გარემოება მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს სახით ბრიტანეთს სჭირდებოდა

---

[76] ირემაძე, ი, „რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში?, გაზ. ერთობა, 1921 წლის 6 იანვარი, N4, საქართველო და ერთა ლიგა“ რესპუბლიკა 100, (https://civil.ge/ka/archives/390091 ნანახია / გადამოწმებულია 13/10/2023).

[77] ICCN - კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი „საქართველო და ერთა ლიგა - 100 წლისთავი“ (https://www.iccn.ge/index.php?article_id=369&clang=0 ნანახია / გადამოწმებულია 21/10/23).

თანამგზავრი სახელმწიფო რეგიონში პოზიციების გასამყარებლად, ისევე, როგორც მოხდა სომხეთის შემთხვევაში. თუმცა, იდეების სისრულეში მოყვანას ეწინააღმდეგებოდა ახლად გასაბჭოებული რუსეთი, რომელსაც საქართველოში დაბანაკებული დენიკინის რაზმები უქმნიდა საფრთხეს.

ყოველივე ამყარებს გონივრულ ეჭვს, რომ საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების იდეის ლობირება საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთი გეგმის ნაწილი იყო, რომლითაც დიდი ბრიტანეთი რუსეთში დესტაბილიზაციის გაღვივებას შეუწყობდა ხელს. მაგრამ, 1920 წლის დეკემბერში ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, საქართველოს უარი ეთქვა ერთა ლიგაში გაწევრიანების მოთხოვნაზე.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ომში დამარცხებულმა ოსმალეთის იმპერიამ კონცენტრირება მოახდინა კავკასიის რეგიონში პოზიციების შენარჩუნებაზე, ხოლო ომში გამარჯვებულ რუსეთს საკუთარი ინტერესები გააჩნდა კავკასიასთან მიმართებაში. 1920 წლისთვის ბრიტანეთმა საქართველოდან და აზერბაიჯანიდან სრულად გაიყვანა საკუთარი არმია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა საბჭოთა რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის შეთანხმებას. ეს შესაძლებლობა გამოიყენა ქართულმა მხარემ, კერძოდ სამუსლიმანო საქართველოს თავმჯდომარის მემედ აბაშიძის თაოსნობით გამოცხადებული იქნა მემორანდუმი „ქალაქ ბათუმის და ბათუმის ოლქის დედასამშობლო საქართველოსთან ავტონომიურ გაერთიანების შესახებ“[78], საბოლოოდ 1920 წლის ივლისში ბათუმში განლაგებული იქნა ქართული არმია, გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით.

აღნიშნული პერიოდისთვის ბათუმის პორტში განახლდა ოსმალეთისა და რუსული გემების მიმოსვლა, ბათუმში გამოჩნდნენ ოსმალეთის იმპერიის ჯარისკაცები, ქვეყანაში ფიქსირდებოდა ადგილობრივი ბოლშევიკების დივერსიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გააქტიურება, რომელიც

[78] რესპუბლიკა 100, საარქივო ჩანაწერები, „სამუსლიმანო საქართველო ბუნებრივ სამშობლოსთან შეერთებას ითხოვს“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N195 1919 წელი.

პირდაპირ მოსკოვიდან იმართებოდა. საერთაშორისო ასპარეზზე მიღებული რიგი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ატარებდა რუსეთ - ოსმალეთს შორის კოორდინაციის ნიშნებს. რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საჭიროდ ჩაითვალა ქემალისტურ მთავრობასა და საბჭოთა ხელისუფლების ალიანსის ჩამოყალიბება, სადაც ისინი გადაინაწილებდნენ არსებულ სადაო ტერიტორიებს.

1920 წელს თურქეთ-რუსეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც სტაბილურ სახმელეთო კავშირს უზრუნველყოფდა. აღნიშნული შეთანხმებით მხარეებმა გადაინაწილეს სამხრეთ კავკასია. 1920 წლის 31 მაისს წითელი არმია შეიჭრა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და მოახდინა მისი ოკუპაცია, რამდენიმე თვის შემდეგ თურქეთი შეიჭრა სომხეთში, რის შემდეგაც თურქეთმა მიიტაცა სომხეთის ტერიტორიის ნახევარი, ხოლო დარჩენილი ნაწილი მიიერთა საბჭოთა რუსეთმა. რეგიონში განვითარებული მოვლენები ცხადყოფდა, რომ საქართველოს გასაბჭოება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

წინააღმდეგობის მიუხედავად, 1921 წელს წითელმა არმიამ, ადგილობრივი ბოლშევიკების დახმარებით დაიწყო ტოტალური ომი საქართველოს წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ჯერ თბილისის ხოლო, შემდეგ სურამის ბრძოლებში საქართველოს რესპუბლიკის დამარცხება. ფაქტობრივად ოქტომბრის თვემდე საქართველოს ტერიტორია სრულად იქნა ოკუპირებული წითელი არმიის მიერ.

ამ პერიოდისთვის საქართველოს ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ქვეყნიდან გაქცევითა და ემიგრაციით უშველა თავს. 1921 წლის 13 ოქტომბერს საბჭოთა რუსეთის ძალადობრივი ხასიათის ლობირების შედეგად, ჯერ ყარსის, ხოლო შემდეგ მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმება მოუწიათ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს.

ღია წყაროს[79] ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ატარებდა შეფარვით სამშვიდობო ხასიათს, რეალურად საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა დააკანონეს მიტაცებული ტერიტორიები. კერძოდ,

[79] გურული ვ. „ყარსის ხელშეკრულება (1921 წლის 13 ოქტომბერი)“ გამოცემა N13, გვ.5-9.

საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში შევიდა მხოლოდ  ბათუმი და აჭარა, ხოლო ართვინისა და არტაანის ოკრუგები გადაეცა თურქეთს. სომხეთს დაუბრუნდა ქალაქი გიუმრი. მაგრამ, თურქეთის შემადგენლობაში შევიდა ქალაქი ყარსი, გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი გადაეცა სომხეთს და აზერბაიჯანს. ხოლო, 1921  წელს საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ  შეწყვიტა არსებობა და საქართველო საერთაშორისო ასპარეზს მოევლინა, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის წევრი სახელმწიფო.

განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ 1918 -1921 წლებში კავკასიის  რეგიონი არასტაბილური მდგომარეობით გამოირჩეოდა, რომელზეც გავლენა იქონია, როგორც პირველმა მსოფლიო ომმა ასევე, რუსეთის რევოლუციამ და თურქეთში ქემალისტური მმართველობის არსებობამ. არამდგრადი განვითარების პირობებში, საკუთარი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მიეცათ ევროპის სახელმწიფოებს, რომელთაც გააჩნდათ იმპერიული განზრახვები რეგიონში არსებული რესურსებისა და სტრატეგიული ტერიტორიების მიმართ.

მულტიკულტურიზმის ცენტრად საქართველოს ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო სადაზვერვო ხასიათი ლობიზმის განვითარებას, რომელიც შემდეგში გამოყენებული იქნა, როგორც ბრძოლის მეთოდოლოგია ლეგიტიმური ხელისუფლების  წინააღმდეგ.

დღეის მდგომარეობით გამოვლენილი შემთხვევების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელი იყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შენარჩუნება, რადგან გლობალურ აქტორებს გააჩნდათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები კავკასიის რეგიონში, შესაბამისად ადგილი ჰქონდა საიდუმლო ხასიათის გარიგებებს, რომელიც საბედისწერო გამოდგა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ შესაძლებელი იყო დამაზიანებელი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. საერთაშორისო ასპარეზზე ლავირება გარკვეული ტერიტორიების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლეოდა.

ქართველი ერის ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით, აღნიშნულმა პროცესებმა ყველაზე დამაზარალებელი გავლენა იქონია საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე. მაღალი ალბათობით დამაზიანებელი შედეგების მაქსიმალიზაცია გამოწვეული იყო, უცხო სახელმწიფოების მიერ, გადაწყვეტილების მიმღებ რგოლში სადაზვერვო შეღწევადობის მაღალი ხარისხით.

## 3.2. სადაზვერვო ლობიზმის გავლენა პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე და მოვლენათა პარალელიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (1918-1921)

1988 - 1989 წლები საქართველოს უახლეს ისტორიაში გარდამტეხ პერიოდად ითვლება. საბჭოთა კავშირში ე.წ. „გარდაქმნის“[80] პოლიტიკის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებში გააქტიურდა ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის მოპოვების სურვილი, რომელმაც დამოუკიდებლობის იდეის გარშემო მოახდინა ერთა კონსოლიდაცია. თავდაპირველად აღნიშნული პროცესი დაიწყო ბალტიისპირეთის ქვეყნებში და „დომინოს პრინციპით“[81] გადმოედო სამხრეთ კავკასიის რეგიონსაც.

მოცემულ პერიოდში უკვე შეინიშნებოდა განხეთქილების ნიშნები საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფლებებსა და მათ შემადგენლობაში მყოფ

[80]ყორანაშვილი ს. „პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1991-1997 წლებში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 5-9.

[81] სოციალური და პოლიტიკური ტერმინების ლექსიკონი-ცნობარი, „დომინოს თეორია“ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2004. გვ.131.

ადმინისტრაციულ მმართველობებს შორის. მაგალითად:[82] 1988 წელს დაძაბულ ფონზე მიმდინარეობდა პოლიტიკური პროცესები სომხეთ - აზერბაიჯანს შორის, კერძოდ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, სადაც ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ჭარბობდა, ე.წ. სომხეთის სახელისუფლებო ლობის მეშვეობით ლობირებდა საბჭოთა აზერბაიჯანიდან გამოყოფის და საბჭოთა სომხეთის შემადგენლობაში შესვლის იდეას.

ყარაბაღის მსგავსად, 1989 წელს აფხაზეთში ჩატარდა „ლიხნის კრება“,[83] სადაც საბჭოთა სპეცსამსახურების საფარქვეშ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპარტიის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა, სხვა წევრებთან ერთად ლობირებდა აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის და რესპუბლიკის სტატუსის აღდგენის იდეას. თუმცა, საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევა და დემონსტრაციის გზით მკვიდრი ქართველი მოსახლეობის პოზიცია გახდა, სეპარატისტული მოძრაობისთვის გაგზავნილი მყარი ერთიანობის მესიჯი.

განხილულ ორივე შემთხვევაში ეთნიკური სიჭრელე საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის პოლიტიკურ ბერკეტს წარმოადგენდა, რომლის გამოყენებაც დროის საკითხი იყო. კრემლი არ განიხილავდა წევრი სახელმწიფოების მშვიდობიანი გზით კავშირიდან გასვლის იდეას მითუმეტეს მაშინ, თუ კი საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულ გარემოებაზე მიანიშნებდა საბჭოთა კავშირის მატერიალური რესურსი, რომლის ძირითად სამართალმემკვიდრედ რუსეთის ფედერაცია განიხილებოდა ხოლო, მოკავშირე სახელმწიფოებში, უნდა შექმნილიყო კრიზისული სიტუაცია, რათა პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთს მოეხდინა პოზიციების შენარჩუნება და რეგიონზე დომინირების გაგრძელება.

---

[82] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო „9 აპრილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი“, 2017, გვ. 17-34.

- Councile of Europe, “Activity Report 2007”, Working Papers, 2008, pp.21-32.

[83] გამსახურდია ზ. „ნომენკლატურის რევანში საქართველოში“ 1993, გვ. 21-22.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი გზით დაშლის შემთხვევაში მისი ყოველი წევრი სახელმწიფო, რუსეთს შეეცილებოდა საბჭოთა მემკვიდრეობის განაწილებაში, რაც ალბათობის მაღალი ხარისხით უარყოფითად აისახებოდა რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობაზე. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ინტერესებში შედიოდა მეზობელ სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის გაღვივება სპეცსამსახურების დაქვემდებარებაში მყოფი აგენტურის გამოყენებით, რათა მომხდარიყო გავლენის სფეროების შენარჩუნება. აქედან გამომდინარე არსებობდა დემონსტრაციების არამშვიდობიანი გზით დაშლის და რეგიონში სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტების გაღვივების რისკი.

1989 წლის აპრილის თვის დასაწყისში ქვეყნის მასშტაბით მასობრივმა დემონსტრაციებმა პიკს მიაღწია, სეპარატისტულ რეგიონებში შეინიშნებოდა პროვოკაციის ნიშნები დემონსტრანტებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დაძაბულობის განვითარების კუთხით. 6, 7, 8 აპრილს მთელს საქართველოში დემონსტრაციების ტალღა მძვინვარებდა, სიტუაცია განსაკუთრებით დაძაბული იყო დედაქალაქში.

ღია წყაროების[84] ანალიზით ირკვევა, რომ მაშინდელ საქართველოს ხელისუფლებაში არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ მოსკოვის ინტერესებში შედიოდა მიტინგის სისხლში ჩახშობა. მაგრამ, თუკი მიტინგის პროცესს მონიტორინგს გაუწევდა საქართველოს შსს შენაერთები, დაპირისპირებისა და მსხვერპლის რისკი მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი. თუმცა, მიუხედავად საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი პირის ჯუმბერ პატიაშვილის ლობირებისა, რომ თბილისში აფხაზეთიდან და მთიანი ყარაბაღიდან, გადმოყვანილი ყოფილიყო საქართველოს შსს შენაერთები, რათა შენარჩუნებულიყო წესრიგი და მშვიდობიან ჩარჩოში დარჩენილიყო დემონსტრაციების პროცესი, უშედეგო აღმოჩნდა.

---

[84] პატიაშვილი ჯ. „ოცდასამი წლის შემდეგ“, თბილისი, 2013, გვ. 27-33.

საქართველოში და შესაბამისად თბილისში არსებული ოპერატიული ვითარებიდან მომდინარე საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის 9 აპრილს კრემლის უშუალო დავალებით საქართველოში წესრიგის დამყარება დაევალა გენერალ - პოლკოვნიკ იგორ როდიონოვს, რომლის მოთხოვნითაც საქართველოში გადმოსროლილ იქნა „განსაკუთრებული დანიშნულების ცალკეული მოტომსროლელი დივიზიის მე-4 პოლკი“[85], სრული სამხედრო შეიარაღებით. ჯამში ოპერაციაში ჩართული იყო 2550 გაწვრთნილი კადრი, 6 ერთეული სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორი, 4 სახანძრო და 2 სამედიცინო დანიშნულების ავტომობილი.

წარმოდგენილი სტატისტიკური მაჩვენებლები მიანიშნებს და ამყარებს ზემოხსენებულ მოსაზრებას, რომ კრემლის ინტერესებში არ შედიოდა საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი გზით დაშლა. როგორც ჩანს სახელმწიფოებში არსებულ ეროვნულ მოძრაობებს უნდა შეჰქმნოდათ არა უბრალოდ კავშირიდან გასვლის, არამედ გაღწევის შეგრძნება, რომელიც შეფუთული იქნებოდა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვების იდეით, რათა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების ხელისუფლებები, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის გავლენას დაექვემდებარებოდნენ.

საბოლოოდ 9 აპრილს გამთენიისას დაიწყო მასობრივი დემონსტრაციის დასჯა-აღკვეთის ოპერაცია, რომელსაც შეეწირა 16 ადამიანის სიცოცხლე, დაშავდა და მოიწამლა ასეულობით ადამიანი.

განსაიდუმლოებული ფაილების[86] ანალიზით ირკვევა, რომ 9 აპრილის დემონსტრაციების დაშლის პროცესს აკვირდებოდა და იგი ლაბორატორიულ დონეზე ჰქონდა შესწავლილი ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის გააჩნდა სადაზვერვო ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხეებისა და მოვლენების

---

[85] ყორანაშვილი გ. „9 აპრილი მითი და სინამდვილე“ თბილისი, 2009, გვ.31-34.

[86] Institute for Development of Freedom of Information (IDFI), „9 აპრილის ტრაგედიაზე აშშ-ის საარქივო ფონდებში დაცული საიდუმლო დოკუმენტები“, 2016, გვ.12-16.

სხვადასხვა სცენარით განვითარების შესახებ. მიუხედავად ამისა, აშშ-მა არჩია პროცესში ჩაურევლობის პოლიტიკა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ იმ პერიოდში აშშ-ი არ ელოდა მსგავსი სწრაფი ტემპით საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს. აშშ სტრატეგიულ ინტერესებში შედიოდა საბჭოთა კავშირის კონტროლირებადი დაშლის პროცესი, რომელსაც თავად გაუწევდა ორგანიზებას. მოცემული რეალობით არსებობდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ დაწყებულიყო კოლექტიური უსაფრთხოების რღვევის პროცესი (საფუძვლები: შექმნილიყო ბირთვული იარაღის მქონე არასტაბილური სახელმწიფოები და/ან კავკასიის რეგიონში ჩამოყალიბებულიყო ტერორისტული სახელმწიფოები და ა.შ.).

9 აპრილის ტრაგედია იქცა წყალგამყოფ მოვლენად საბჭოთა კავშირსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის. 1991 წელს 9 აპრილს ეროვნული მოძრაობის ძალისხმევის შედეგად აღდგენილი იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა. იმავე წელს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო-მ, ხოლო საქართველოს პირველ პრეზიდენტად მოგვიანებით არჩეული იქნა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროდასავლური ორიენტაციის მქონე ლიდერი, ზვიად გამსახურდია.

ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულ სახელმწიფოში სიტუაციას ამძიმებდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი და ინსპირირებული სეპარატიზმის განვითარების საფრთხე. ღია წყაროების[87] ანალიზით ირკვევა, რომ აფხაზეთის მსგავსად ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მმართველი - ადმინისტრაციული ორგანოს წევრები ლობირებდნენ იდეას და გამოთქვამდნენ მკაფიო სურვილს, რომ ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორია (დღევანდელი ცხინვალის რეგიონი) უნდა გამოყოფოდა საქართველოს და გაერთიანებულიყო ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან.

---

[87] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა „საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები" N11, 1989 წელი, გვ.13-17.

ზემოაღნიშნული პოზიციის გაჟღერებამ უკიდურესად დაძაბა სიტუაცია ხოლო, საკანონმდებლო ბრძოლა, რომელსაც ავტონომიის სტატუსის გაუქმება მოჰყვა შეიძლება შეფასდეს, როგორც პოლიტიკურად მცდარი გადაწყვეტილებად, რომელიც ატარებდა საბჭოთა სპეცსამსახურების სადაზვერვო ლობირების ნიშნებს. განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა ეთნიკური კონფლიქტის წარმომქმნელი გარემოება. საქართველოს ხელისუფლება კრემლის კონტროლს ქვემდებარე სეპარატისტული მოძრაობის მიერ დაგებულ ხაფანგში გაება. პრაქტიკულად სადაზვერვო ხასიათის აგენტურულ-ოპერატიულმა საქმიანობამ შედეგი გამოიღო, რომელშიაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამსახურდიას ხელისუფლებაში მყოფმა საბჭოთა კავშირის აგენტურულმა აპარატმა.

1991 წლისთვის მარტის თვეში ადგილი ჰქონდა ოსური ეთნიკური ჯგუფების მიერ, რამდენიმე დღიან შეიარაღებული შეტაკებების წამოწყებას, რომელსაც ორგანიზებას და დახმარებას საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარები უწევდა, კერძოდ სამხედრო სადაზვერვო ხასიათის ლობირების შედეგად განხორციელდა სეპარატისტული მოძრაობების შეიარაღება, ლოჯისტიკითა და საიდუმლო ხასიათის ინფორმაციით უზრუნველყოფა. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გამოთქმულ მოსაზრებას აღნიშნული კონფლიქტის საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ, მიზანმიმართული ორგანიზების შესახებ.

განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას პოზიცია იყო მკაფიო და ნათელი, კერძოდ დივერსიულ ჯგუფს, რომელიც განთავისუფლების იდეის ლობირებით ხელს უწყობდა ქვეყანაში დესტაბილიზაციის გაღვივებას, უწოდა ტერორისტები. ხოლო, ღია წყაროში განთავსებული ინფორმაციის[88] ანალიზით ირკვევა, რომ ეს მოვლენა შეფასდა, როგორც კრემლის მორიგ დივერსიულ გეგმად საქართველოს წინააღმდეგ.

[88] პარლამენტის სმეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, „საქართველოს ხელმძღვანელები“ ტომი II, თბილისი, 2013, გვ.280.

საპასუხოდ, კონფლიქტის რისკის მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად პრეზიდენტმა გამსახურდიამ დიპლომატიური გზა აირჩია და 1991 წელს 31 მარტს დაინიშნა საყოველთაო რეფერენდუმი, რათა ქართველ ერს ერთხმად დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით, რომელშიც ასევე, მოიაზრებოდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან შენარჩუნება 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. თუმცა, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ რეფერენდუმის ჩატარებამდე რამდენიმე თვით ადრე, გამოსცა დადგენილება სადაც რეფერენდუმის მონაწილეებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე **„თვლით თუ არა აუცილებლობად, რომ შენარჩუნდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც განახლებული თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების ფედერაცია, რომელშიც სრულად იქნება დაცული ნებისმიერი ნაციონალობის ადამიანის უფლებები ?“**[89] რაც, მიანიშნებდა იმ გარემოებაზე, რომ საბჭოთა კავშირი საქართველოს კვლავ განიხილავდა საკუთარი გავლენის სფეროდ.

რეფერენდუმის პასუხს უნდა ეჩვენებინა საზოგადოებრივი განწყობა საბჭოთა კავშირის არსებობასთან დაკავშირებით. ყოველივე კი, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, საბჭოთა სპეცსამსახურებს საზოგადოებრივ აზრის შესწავლის შესაძლებლობას აძლევდა, რომლის გათვალისწინებით, როგორც საშინაო ისე, საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა უნდა მომხდარიყო.

ღია წყაროში არსებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ „31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის პასუხების შედეგად საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის აფხაზურ - ოსური მოსახლეობა) 98% მხარს უჭერდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“[90] რომელიც ასევე, გულისხმობდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის (ე.წ.

---

[89] საარქივო ჩანაწერები, „საბჭოთა კავშირის შენარჩუნების რეფერენდუმის სააგიტაციო მასალა“ საქართველოს ეროვნული არქივი, 1991 წელი.

[90] საარქივო მასლები, „ გაზეთი: საქართველოს - რესპუბლიკა“ 1991 წლის 5 აპრილი, N67, გვ.1.

სამხრეთ ოსეთის ოლქის) საქართველოს საზღვრებში დარჩენას. ასევე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ხელი შეუწყო რეფერენდუმის პარალელურად აშშ-ის დელეგაციის არაოფიციალურმა ვიზიტმა, რიჩარდ ნიქსონის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტ გამსახურდიასთან შეხვედრამ.

აღნიშნული პოლიტიკური მოვლენა შეიძლება შეფასდეს, როგორც სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის უნიკალურ მაგალითად, რადგან არაოფიციალური პირი საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტის დავალებით, გარდამავალ პერიოდში მყოფ სახელმწიფოში, ლობირებდა საკუთარი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს თავად რიჩარდ ნიქსონის მიერ საჯაროდ გაკეთებული მოხსენება **„ჩვენი ვიზიტი არ არის ოფიციალური ხასიათის, მაგრამ ჩვენ პრეზიდენტის დავალებით ვართ ჩამოსული და გვევალება საქართველოს პოლიტიკური ვითარების მისთვის გაცნობა. თქვენგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საჭირო დელეგაციების გაცვლას ინტენსიური ხასიათი მიეცემა, ურთიერთდამოკიდებულება საქართველოსთან იქნება არა ისეთი, როგორიც საბჭოთა კავშირთან იყო. ეს იქნება არსებითად ახალი სახის ურთიერთკავშირი. ამერიკის მხარე დიდად არის დაინტერესებული საქართველოსთან ურთიერთობით.“**[91] აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის აშშ-ის ინტერესებში შედიოდა საქართველოში პოზიციების გამყარება, რაშიც აქტიურად იყენებდა სადაზვერვო ხასიათის ლობიზმს, რაც თავისთავად ქმნიდა სადაზვერვო აგენტურული აპარატის შეძენა-გაფართოების შესაძლებლობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიქსონის ვიზიტი არ ყოფილა შემთხვევითი. შეიძლება ითქვას იგი ატარებდა პოლიტიკური პროვოკაციის ნიშანს საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. კერძოდ, ნიქსონის პრეზიდენტობის წლებში 1969 წელს მიღებული იქნა ე.წ. გუამის დოქტრინა, რაც გულისხმობდა აშშ-ის ჩართვას რეგიონულ მოვლენებში თუკი ამ უკანასკნელს კავშირი ჰქონდა აშშ-ის საგარეო

---

[91] რეხვიაშვილი ჯ. „ნიქსონი, გამსახურდია და დამოუკიდებლობის რეფერენდუმი“ , რადიო თავისუფლება, 2023, (https://www.radiotavisupleba.ge/a ნანახია / გადამოწმებულია 07/11/23).

ინტერესებთან. შესაბამისად, ნიქსონის მიერ ზემოხსენებული პოზიციის გაჟღერება იყო კრემლისთვის გაგზავნილი მესიჯი, რომ აშშ დაინტერესებული იყო საქართველოში პროამერიკული პლაცდარმის შექმნით. აღნიშნული შეტყობინების შინაარს ასევე, ჩასწვდა საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც ალბათობის მაღალი ხარისხით გაჟღერებული პოზიცია, აშშ-გან მიღებულ პროტექტორატის გარანტად ჩათვალა.

პოლიტიკურ კრიზისის პარალელურად გამსახურდიას ხელისუფლებას ბრძოლა მოუწია ისეთი საფრთხის წინააღმდეგ, როგორიცაა მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობა. მოცემული პერიოდისთვის საქართველოს ეკონომიკა დაღმავლობის გზაზე იდგა, საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამ დეფიციტი გამოიწვია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტებზე, საბოლოო ჯამში კი, როგორც ღია წყაროშია[92] ფიქსირებული, ეკონომიკა ფაქტობრივად გაჩერდა. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წელს სახელმწიფოში გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ არც ხელისუფლება, არც საზოგადოება და არც ეკონომიკა არ იყო მზად გამკლავებოდა იმ დროისთვის, დღის წესრიგში არსებულ გამოწვევებს. ფაქტობრივად არ არსებობდა სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა ეარსება სახელმწიფოს საბჭოთა ბაზრის შემდეგ, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

გამსახურდია მხარს უჭერდა შერეული ეკონომიკის იდეას, სადაც სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო მიწისა და სამრეწველო საწარმოების რესურსი. გადაწყვეტილი იყო, რომ ხელისუფლება დაადგენდა ფასებს და გააკონტროლებდა საგარეო ვაჭრობის კურსს. რაც შეეხება, მდგრად პოლიტიკურ განვითარებას, რომლის შედეგად კავკასიის რეგიონში ძალთა ბალანსის გადანაწილებით უნდა მომხდარიყო, სახელმწიფოს დაეხმარებოდა კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ ცენტრად ფორმირებაში. თუმცა, ხელისუფლების ყველა წევრს არ ხიბლავდა პრეზიდენტის შეხედულებები და

---

[92] ჩაგელიშვილი თ. დოკუმენტური ფილმი, „როგორ გაძარცვეს საქართველო“ 2022 წელი, (https://www.youtube.com/watch?v=ZijzemsPxRw&t=1634s ნანახია / გადამოწმებულია 12/11/2023/).

როგორც ღია წყაროში[93] არსებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, ხდებოდა მისი იდეების დისკრედიტირება. ნათელია, რომ ხელისუფლებაში არსებობდა განხეთქილება, რომლის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს მოქმედი ხელისუფლების წევრების კომპრომეტირება და მათი უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება.

გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს საქართველოს შსს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი მოადგილე (1990-1994 წლებში) ვახტანგ გვარამიას სატელევიზიო ინტერვიუ,[94] რომლის დროსაც იგი ადასტურებს, რომ გამსახურდიას დავალებით მაღალი საიდუმლო გრიფის ქვეშ მოხდა, საიდუმლო ხასიათის დოკუმენტების მოპოვება და საქართველოში იმ ადამიანების სიების ჩამოტანა, რომლებიც კრემლის დაქვემდებარების ქვეშ, საქართველოში ეწეოდნენ აგენტურულ საქმიანობას. სწორედ აღნიშნული გარემოებით შეიძლება აიხსნას გამსახურდიას ბრალდებები თანაგუნდელებისა და ოპოზიციის ლიდერების მიმართ, საბჭოთა „კგბ"-თან თანამშრომლობის შესახებ.

ყოველივე კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ხელისუფლების ფარგლებში, ყოფილი საბჭოთა „კგბ"-ს კონტრსადაზვერვო, იმდროინდელი რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო აგენტურული ქსელით ექვემდებარებოდა კონტროლს.

1991 წელს დასასრულს განვითარებულმა მოვლენებმა გამოხატულმა პუტჩით, პრაქტიკულად დაადასტურა ზემო გამოთქმული ვერსიები.

ამ დროისთვის ხელისუფლების ერთი-ერთი შტო ღიად ლობირებდა იდეას, რომ საქართველო უნდა გამხდარიყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ხელშეკრულებებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი, რაზედაც პრეზიდენტის პოზიცია იყო ნეგატიური,

---

[93] შველიძე დ. „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992), თბილისი 2008, (https://georgiacenturyxx.wordpress.com/ ნანახია / გადამოწმებულია 07/11/23/).

[94] ტელეგადაცემა „საქართველოს დაბადება - ვახტანგ გვარამიას ისტორია" 2023 წელი. (https://www.youtube.com/watch?v=JiOjBfBC8z4 ნანახია / გადამოწმებულია 26/10/23)

რადგან პრეზიდენტისთვის დამოუკიდებლობის კრედო მდგომარეობდა რუსეთისგან თავის დაღწევის სურვილში ხოლო, დსთ-ში შესვლა გულისხმობდა რუსულ ვექტორზე დარჩენას, რაც მიუღებელი იყო, როგორც ევროპისთვის ისე, აშშ-თვის. შუალედური პოლიტიკის გატარება კი, პრაქტიკულად საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოს იზოლირების ტოლფასი იყო.

სიტუაციას, განსაკუთრებით ის გარემოება ამძიმებდა, რომ ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს ფაქტობრივად არ გააჩნდა ოფიციალური პარტნიორული კავშირები მეზობელ სახელმწიფოებთან, საერთაშორისო აქტორების მხრიდან არ არსებობდა სრულყოფილი ურთიერთობების სურვილი, საქართველოს არ ცნობდა საერთაშორისო საზოგადოება (რაც მაღალი ალბათობით ამ ქვეყნების სადაზვერვო ინტერესებში შედიოდა). ამერიკის შეერთებულ შტატები კი, არაერთგვაროვანი შეფასებებით გამოირჩეოდა გამსახურდიას მმართველობის მიმართ, მაგალითად: ნიქსონის პოზიციისგან განსხვავებით, აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელი სტენი ჰოიერი საკუთარ მოხსენებაში ღიად აფიქსირებდა, რომ არსებობდა **„ადამიანთა უფლებების მწვავე პრობლემები ახალი მთავრობის შიგნით“**.[95] აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი კი საერთაშორისო ასპარეზზე აკრიტიკებდა გამსახურდიას მმართველობას და მის მიდგომებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით (რაც მაღალი ალბათობით აშშ-ის სადაზვერვო პოლიტიკის ნაწილი იყო).

გამსახურდიას რიგი გადაწყვეტილებები საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკის საგნად იქცა. მეტიც, ადგილობრივი ოპოზიცია გამსახურდიას მმართველობას დიქტატურას ადარებდა და ღიად აკრიტიკებდა მის გადაწყვეტილებებს. პრეზიდენტის მისწრაფებები „კავკასიური სახლის“ იდეასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო არარეალისტური ხდებოდა. ფაქტების ერთობლიობა მიანიშნებს, რომ ვერც აშშ-მა და ვერც რუსეთმა გარიგებას ვერ მიაღწია გამსახურდიას ხელისუფლებასთან, რაც ამყარებს ეჭვს იმის შესახებ, რომ

---

[95] სტეფენ (სტივენ) ფ. ჯონსი „დემოკრატია საქართველოში: Da Capo?”, 2013, გვ.96-98.

მან გადაუხვია რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ის მიერ დადგენილი პოლიტიკური ბილიკიდან (აღნიშნული მოსაზრება დასტურდება გამსახურდიას მიერ ბეიკერის მისამართით გაგზავნილი წერილში[96], სადაც იგი აშშ უწოდებს იმპერიალისტურ სახელმწიფოს და ადანაშაულებს საქართველოში გადატრიალების მოწყობის მცდელობაში.).

პრეზიდენტ გამსახურდიას ოპოზიციურ ძალებთან შექმნილი პოლიტიკური კრიზისი მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სიტუაცია ქვეყნის საზღვრებს გარედან იყო მართვადი, რომლის მიზანს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციური პროცესების ორგანიზება წარმოადგენდა. გარე ძალების მხრიდან ოპოზიციის პოლიტიკურმა და სამხედრო მხარდაჭერამ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა გარდაუვალი გახადა. ყოველივე კი შეიძლება შეფასდეს, როგორც უცხო სახელმწიფოების მხრიდან სადაზვერვო ნიშნების შემცველი ქმედება, რომელიც სისრულეში მოყვანილი იქნა ადგილობრივი გავლენის სფეროების საშუალებით.

ზემოგამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს ღია წყაროებში[97] არსებული ინფორმაცია რომლის ანალიზითაც დასტურდება, რომ ამ პროცესში უცხო ქვეყნების ქმედება და უმოქმედობაც, საქართველოსათვის დამაზიანებელი შედეგის მაინსპირირებელი გარემოება იყო. აღნიშნული შინაარსის მქონე განცხადება[98]-[99] თავად პრეზიდენტმა გამსახურდიამ, (რომელსაც წვდომა ჰქონდა

---

[96] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერს", 2017 (https://idfi.ge/ge/the_letter_of_president_of_georgia ნანახია / გადამოწმებულია 10/11/2023/).

[97] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), "საქართველო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია CIA-ს დოკუმენტებში", 2017, (https://idfi.ge/ge/documents_from_cia ნანახია / გადამოწმებულია 06/12/2023/).

- ცომაია ლ. „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა" ნაწილი VIII, გამომცემლობა დავითის გზა, (https://www.davitisgza.info/content.php?news=988 ნანახია / გადამოწმებულია 06/12/2023/).

[98] საარქივო ვიდეოჩანაწერები, „ზვიად გამსახურდია ედუარდ შევარდნაძეს მიმართავს, 1991 წელი) გამოქვეყნებულია 2022 წლის 10 ივნისს, (https://www.youtube.com/watch?v=wOlyBBbfQA8 ნანახია / გადამოწმებულია 06/12/2023/).

საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ, მოწოდებულ საიდუმლო ხასიათის, მათ შორის ანალიტიკურ მონაცემებთან) რამდენიმეჯერ გააჟღერა ოფიციალური მოხსენების დროს.

აღნიშნული მოვლენების სადაზვერვო ბუნებაზე ასევე, მეტყველებს გამსახურდიას ხელისუფლების, პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას პრეზიდენტთან უთანხმოება და პროტესტის ნიშნად გამიჯვნა, დაკავებული თანამდებობებიდან გადადგომა, პუტჩის ერთ-ერთი ძირითადი აღმასრულებლის როლში ყოფნა, ხელისუფლების დამხობის შემდეგ კი, ახალი ხელისუფლების პირობებში მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა.

1991 წელს მოსკოვში განხორციელებული პუტჩის შემდეგ, საქართველოში მსგავსი ტიპით მოვლენების, ვითომდა განვითარების რისკის თავიდან ასარიდებლად, კრემლის გენერლები ლობირებდნენ იდეას[100], რომ უნდა მომხდარიყო საქართველოს ეროვნული გვარდიის დაშლა. ხაზგასასმელი გარემოებაა, რომ აღნიშნული სამხედრო რესურსი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ამ რაოდენობის სამხედრო ძალის უმოტივაციოდ/არასაკმარისი მოტივაციით უბრალოდ დაშლა და დივერსიფიკაცია, პრაქტიკულად ატარებდა სამხედრო გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის წამოწყების მაღალ რისკს.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გვარდია არ გაუქმებულა თუმცა, განხორციელდა რეორგანიზაცია. კერძოდ, გაუქმდა სარდლის თანამდებობა და ეროვნული გვარდია გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. რეორგანიზაცია შეეხო მაღალჩინოსნებს, რომლებმაც ფაქტობრივად დაკარგეს ძალაუფლება. პროტესტის ნიშნად გვარდიის ნაწილი პროოპოზიციური ძალების მხარეს გადავიდა და თანამდებობა დაკარგულ სარდალს თენგიზ კიტოვანს

---

[99] სააქრქივო ვიდეოჩანაწერები, „გამსახურდია მიმართავს თედო პაატაშვილს“ გამოქვეყნებულია 2022 წლის 19 ოქტომბერს, (https://www.youtube.com/watch?v=MUcUx67JFxU ნანახია / გადამოწმებულია 06/12/2023/).

[100] ჯონსი ს. „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბილისი სოციალური მეცნიერების ცენტრი, 2013, გვ.54-60.

დაემორჩილა, ხოლო კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა გამოაცხადა.

მაღალი ალბათობით, ზემოხსენებული რეორგანიზაციის გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო, მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დასკვნა/ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა გვარდიაში რეორგანიზების გაუტარებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ რისკებს. გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოცემულ პერიოდში უშიშროების სამსახური დაკომპლექტებული იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ) ყოფილი თანამშრომლებით, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს კვლავ მჭიდრო კავშირები გააჩნდათ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებთან. მეტიც, საბჭოთა წესწყობილების პროცესში არსებული ვალდებულებების გამო მათი უმეტესობა კომპრომეტირებული იყო.

აქედან გამომდინარე არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ პრეზიდენტი იქნა შეცდომაში შეყვანილი, გამოყენებული იქნა დეზინფორმაცია და მოსალოდნელი შედეგების მიზანმიმართული გაყალბება, რამაც განხეთქილება ჩამოაყალიბა პრეზიდენტის აპარატსა და გვარდიას შორის.

დასაშვებია მეორე ვერსიაც, რომ საქართველოს პრეზიდენტმა „მე“-ს პრინციპით მიიღო აღნიშნული ინდივიდუალური გადაწყვეტილება.

ორივე შემთხვევაში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის შეიქმნა სადაზვერვო ხასიათის ლობიზმისთვის, სადაზვერვო ხასიათის სტრატეგიული ინტერესების გატარებისათვის მოწყვლადი ვითარება.

მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების შემდეგ, გამსახურდიამ ოპოზიციური ძალები დაადანაშაულა საბჭოთა კავშირთან შეთქმულებაში, რის შემდეგაც გაატარა საკმაოდ მკაცრი ღონისძიებები. მაგალითად: საქართველოს კომუნისტური პარტია და ათეულობით დეპუტატს გაუუქმა მანდატი, საქართველოში აიკრძალა რუსულენოვანი გაზეთების გამოცემა (მათ შორის:

„Новая газета“[101]) და განხორციელდა ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების დაკავება. 1991 წლის ბოლოს მხოლოდ რამდენიმე ტელეარხი აგრძელებდა მუშაობას, დანარჩენი დაიხურა მთავრობის წინააღმდეგ უცხო ქვეყნების სადაზვერვო პროპაგანდის გავრცელების გამო.

მოსკოვთან გარიგებისა და საქართველოში გადატრიალების დაგეგმვის ბრალდებით დაკავებული იქნა ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი (გიორგი ჭანტურია, ჯაბა იოსელიანი და სხვა). უცხო სახელმწიფოს აგენტურული აპარატისა და სადაზვერვო პროპაგანდის მეშვეობით შესაძლებელი გახადა ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია და აქამდე ერთმანეთის მოწინააღმდეგე პარტიები გაერთიანდნენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

1991 წლის სექტემბერში თბილისში გამართულ საპროტესტო აქციებზე მოხდა დემონსტრანტების ძალადობრივი გზით დაშლა, რასაც მოჰყვა დემონსტრანტების და მათი ლიდერების მასობრივი დაპატიმრებები, საზოგადოებაში განხეთქილების ჩამოყალიბება. ხელისუფლების მხარდამჭერები ამართლებდნენ გამსახურდიას ქმედებას, ხოლო მოქალაქეთა ნაწილი ოპოზიციას უჭერდა მხარს. მსგავსი განხეთქილება შეეხო ეროვნულ გვარდიას, რომელიც გაიყო პროსამთავრობო და ანტისახელისუფლებო ნაწილად, რომელთა შორისაც ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში მოხდა მსხვერპლით დასრულებული შეიარაღებული დაპირისპირება.

ზემო აღნიშნული ორი ფაქტორის გათვალისწინებით, უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ქართული საზოგადოების მოწინააღმდეგე ბანაკებად დაყოფისა და მათზე ბატონობის შესაძლებლობის ფანჯარა გაიხსნათ.

მოცემული მომენტისთვის ჯაბა იოსელიანი და მის დაქვემდებარებაში მყოფი გავლენიანი ფიგურები, მათ შორის კრიმინალური წარსულის მქონე პირები ლობირებდნენ არაფორმალური სამხედრო გაერთიანების „მხედრიონის“ (იგი თავდაპირველად, კომუნისტური რეჟიმის პირობებში 1989 წელს პატრიოტული

[101] ჯონსონი ნ. „საქართველოს მედია 1990 წლებში“, აიოვას უნივერსიტეტი, 2008, გვ. 5.

ენთუზიაზმის ხარჯზე დემოკრატიული მიზნების აღსასრულებლად შეიქმნა (მაღალი ალბათობით საბჭოთა სპეცსამსახურების ინტერესების აღსასრულებლად), თუმცა 1990 წელს ხელისუფლებამ გააუქმა მისი სამართლებრივი სტატუსი)[102] აღდგენის იდეას, რომელიც სისრულეში იქნა მიყვანილი საბჭოთა სპეცსამსახურების მხარდაჭერით 1991 წელს. ამ მომენტისთვის სახელმწიფო სამხედრო გადატრიალების ზღვარზე იყო მისული, გამსახურდიას გადაწყვეტილებით თბილისში საგანგებო სიტუაცია და საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა.

საბოლოო ჯამში 1991 წლის დეკემბერში, თბილისში პრეზიდენტის მომხრეებსა და ოპოზიციურ ძალებს შორის შეიარაღებული დაპირისპირებების ინსპირირება გახდა შესაძლებელი. საზოგადოებრივი დაპირისპირება, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა საბჭოთა სპეცსამსახურების ხელშეწყობით გაღვივდა და ქვეყნის სრული პარალიზება გამოიწვია.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს მხედრიონი-ის გადარჩენილი ერთ-ერთი ლიდერის, გიგა არველაძის (მხედრიონის ლიდერის ჯაბა იოსელიანის მოადგილე სამეურნეო დარგში) სატელევიზიო ინტერვიუ[103], სადაც იგი ოფიციალურად აფიქსირებს, რომ „მხედრიონის" შეიარაღება და ამუნიცია დამოკიდებული იყო საქართველოში არსებულ საბჭოთა სამხედრო ბაზებზე. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ღია წყაროების ანალიზი აჩვენებს[104], სწორედ ამ ბაზებიდან ხდებოდა პრეზიდენტის მომხრეების შეიარაღებაც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები ორივე მხარესთან თანამშრომლობდნენ, სამხედრო სადაზვერვო ხასიათის ლობირებით კი მიზანმიმართულად აღვივებდნენ კონფლიქტს ქართულ საზოგადოებაში. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე, ამყარებს საბჭოთა კავშირის ამიერკავკასიის

---

[102] იოსელიანი ჯ. „სამი განზომილება" სულაკაურის გამომცემლობა 2013, გვ. 22-23.

[103] სატელევიზიო გადაცემა „საქართველოს დაბადება - გიგა არველაძის ისტორია" 2022 წელი. https://www.youtube.com/watch?v=chFJuNgZpik ნანახია / გადამოწმებულია 12/02/23).

[104] გუგუშვილი ბ. „გასაუბრება გულისყურთან", სასტამბო მონაცემები, 2009, გვ.128-129.

- შველიძე დ. „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.) თბილისი, 2008, გ. 4-9.

სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილის სუფიან ბეპაევის საჯარო განცხადება[105], სადაც იგი ხაზს უსვამდა სამხედრო შეიარაღების ტიპოლოგიასა და შესაძლებლობებს, რომელთაც მარაგდებოდა ქართული მხარეები.

განვითარებული პროცესების ანალიზი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ გამსახურდიას ხელისუფლების წევრები, რომლებიც მის პოლიტიკურ კურსს განუდგნენ, უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურებთან გარიგებაში მყოფ ჯგუფს, წარმოადგენდნენ, რომელთა ქმედებებში ფიქსირდება სადაზვერვო ლობიზმის დამახასიათებელი საქმიანობის ნიშნები.

პუტჩის ფონზე 21 დეკემბერს ალმა - ათაში ხელი მოეწერა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის ოქმს, რომელსაც არ შეუერთდა საქართველო. აღნიშნულმა ქმედებამ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა. ალბათობის მაღალი ხარისხით პრეზიდენტის მიერ, მიღებული გადაწყვეტილება შეიცავდა სადაზვერვო ხასიათის ლობირების ზეგავლენის კვალს, რომელიც სავარაუდოდ განხორციელდა აშშ-ის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ „დსთ“-ში გაწევრიანების საკითხს, მმართველი ხელისუფლება პრორუსულ ვექტორზე დარჩენად და დასავლეთისგან იზოლაციად განიხილავდა, მოგვიანებით პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იყო კონფლიქტის დაწყების კერა. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება ამყარებს ზემოხსენებულ მოსაზრებებს, რომ პოლიტიკური პროვოკაციის გამოყენებით აშშ ლავირებდა საკუთარი ინტერესების საპირწონედ და ზვიად გამსახურდიას, არ განიხილავდა იმ ლიდერად, რომელიც აშშ-ის ინტერესებს გაატარებდა რეგიონში. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ორივე გლობალური აქტორის ინტერესებში შედიოდა საქართველოში გადატრიალების მხარდაჭერა.

---

[105] ინტერმედია, „ვინ იყო და რა როლი ითამაშა საქართველოში სამოქალაქო ომის წამოწყებაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილემ სუფრიან ბეპაევმა“,2020 (https://intermedia.ge ნანახია / გადამოწმებულია 12/02/23).

22 დეკემბერს კიტოვანის მეთაურობით თბილისში შემოიჭრა გვარდიის ნაწილები, რომლებიც გაერთიანდნენ მხედრიონთან და თბილისის ცენტრალური ქუჩები საბრძოლო ველად იქცა. 27 დეკემბერს ციხიდან გააქციეს ჯაბა იოსელიანი და გიორგი ჭანტურია. ხელისუფლებამ ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და გადატრიალების თავიდან აცილება. ქვეყნის მართვის სადავეები ხელში აიღო სამხედრო საბჭომ, რომელიც დაექვემდებარა თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს და თენგიზ სიგუას.

განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ხელისუფლების წევრები და პრეზიდენტი ლიკვიდირების საფრთხის წინაშე იდგნენ (აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ღია წყაროებში გამოქვეყნებული ვიდეოჩანაწერები,[106] სადაც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, გია ჭანტურიას მეუღლე ირინა სარიშვილი, პუტჩის აქტიური მონაწილეებს მოუწოდებდა გამსახურდიას ლიკვიდაციისკენ). შესაბამისად, 1992 წლის 6 იანვარს გამსახურდიამ თავი ჯერ სომხეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა.

ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის მიუხედავად საქართველოში ბრძოლა პრეზიდენტის მხარდამჭერებსა და ოპოზიციურ ძალებს შორის არ შეწყვეტილა. გამსახურდია დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებით კი სამეგრელოს რეგიონში, სადაც არ წყდებოდა საპროტესტო ტალღა გადატრიალების შემდგომ მოსული დროებითი ხელისუფლების წინააღმდეგ.

საზოგადოების პოზიცია გახდა ზვიად გამსახურდიასთვის გაგზავნილი მესიჯი, რომ ქართველი ერი მის მიმართ ერთგული რჩებოდა. როგორც ღია წყაროში ფიქსირდება,[107] ეს გარემოება 1992 წლის 16 იანვარს ზ.გამსახურდიას ზუგდიდში დაბრუნების ერთ-ერთი საფუძველი გახდა. საბოლოო ჯამში

---

ციფრული ისტორია „ირინა სარიშვილი ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციას მოითხოვს“, გამოყვენების თარიღი 1993 წლის 18 ოქტომბერი. (https://www.youtube.com/watch?v=TSDA8LT0pC4 ნანახია / გადამოწმებულია 08/11/23/).

[107]საქართველოს ეროვნული არქივი, „ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთიდან დაბრუნების შემდეგ“, სამეგრელო 1993 წლის 24 სექტემბერი, საარქივო ვიდეო ჩანაწერები.

სამეგრელოსა და აფხაზეთში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მიემხრო ზვიად გამსახურდიას და არალეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ზ.გამსახურდიას კონტროლს ექვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოს ქალაქების ნაწილი, აეროპორტები, რკინიგზის სადგურები, რის შედეგადაც ფერხდებოდა თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების პროდუქციით მომარაგება.

მეცნიერული კვლევის[108] ანალიზითდგინდება, რომ 1992 წლის 21 იანვარს მარტვილში გამართულ მოლაპარაკებებში სადაც ჯაბა იოსელიანი წარმოადგენდა ოპოზიციის, ხოლო გია ყარყარაშვილი ლეგიტიმური ხელისუფლების მხარეს, ჯ.იოსელიანი ლობირებდა იდეას, რომ უნდა მომხდარიყო ზუგდიდის სამხედრო განიარაღება, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდებოდა მსხვერპლის თავიდან არიდება. თუმცა, ამ დროისთვის სიტუაცია არც დასავლეთ საქართველოში და არც თბილისში დაპირისპირებულ მხარეთა ხელმძღვანელების კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა, მსგავსი სცენარით მოვლენების განვითარებას არცერთი მხარე არ ელოდა.

მოცემული პერიოდისთვის სამეგრელოში სიტუაცია უკიდურესად მძიმე ფაზას აღწევდა, გამსახურდიას რიგი მომხრეებიც ისეთივე ქმედებებით გამოირჩეოდნენ, როგორითაც ოპოზიციური ძალები, მაგალითად:[109] სოჭში მოლაპარაკებების დაწყებამდე, გამსახურდიას მომხრეებმა ძალადობრივი გზით მიიტანეს შეტევა ტელე-რადიო მაუწყებლობის შენობაზე, მისი შტურმით აღება დასრულდა მსხვერპლით.

---

[108] ჩუბინიძე გ. „1992 წელი - ანუ როგორ იწყებოდა ომი აფხაზეთში" (https://socialjustice.org.ge/ka/products/1992-tseli-anu-rogor-itsqeboda-omi-afkhazetshi ნანახია / გადამოწმებულია 07/12/2023/)

[109] შევარდნაძე ე. „ჩემი არჩევანი", თბილისი 1992, გვ.33-37.

ღია წყაროს[110] ანალიზით ირკვევა, რომ მოგვიანებით აფხაზეთში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია სამეგრელოში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ პარტიზანული საბრძოლო მოქმედებები, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინება - გაძარცვა, გახდა აფხაზეთში არასტაბილური მდგომარეობის განვითარების საწინდარი. შედეგად აფხაზეთის ა.რ. თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას ლობირებითა და ძალისხმევით აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტიდან გაძევებული იქნა შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე, რომელიც ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა, ხოლო მის ნაცვლად დაინიშნა ეთნიკურად აფხაზი მინისტრი, რასაც მოჰყვა აფხაზეთის მთავრობაში ქართველთა ბოიკოტი. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ უკიდურესად დაძაბა ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა.

პრაქტიკულად დამოუკიდებელ საქართველოში მოვლენები უცხო ქვეყნის სადაზვერვო ინტერესების შესაბამისად ვითარდებოდა.

განვითარებული მოვლენების[111] ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის მმართველი ადმინისტრაციული ორგანოს წევრები პოლიტიკური წნეხის შესუსტებას გრძნობდნენ, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ არძინბამ გაცილებით ადრე მოახერხა რუსეთისგან, მათ შორის სადაზვერვო ლობირების გზით პროტექტორატის მიღება. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს არძინბას მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1989 წელს, სადაც იგი საუბრობდა აფხაზეთში მკვიდრი აფხაზი მოსახლეობის უფლებების შელახვაზე. შესაბამისად, ჯერ კიდევ 1989 წელს იყო აფხაზეთში სეპარატიზმის გაღვივებისა და საქართველოდან გამოყოფის გეგმა განსაზღვრული, რომლის აღსრულებაც

---

[110] ბექიშვილი ნ., ლეჟავა ნ. „საბჭოთა წარსულის გააზრება დისკუსიები 2011“, თბილისი 2012, გვ.79-83.

[111] „Съезд народных депутатов СССР“, №9, თავი I, 1989 წელი, გვ. 46-52 (https://www.barikadopedija.lv/images/6/6a/PSRS_TD_1K_3S_doc.pdf ნანახია / გადამოწმებულია 13/11/23)

საბჭოთა სპეცსამსახურების მონაწილეობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტორიც, რომ დასავლეთ საქართველოში პარტიზანული საბრძოლო მოქმედებების პირობებში, ორივე მხარეს სამხედრო შეიარაღება და სხვა რესურსები დამოკიდებული იყო რუსეთის მხარდაჭერაზე, შესაბამისად რუსეთი ფლობდა ბერკეტს, თუ რომელ მხარეს მიანიჭებდა უპირატესობას. რესურსებზე დეფიციტის პირობებში მხარეებმა დაიწყეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ძარცვა, მუშაობა შეწყვიტა პორტმა, გახშირდა სხვადასხვა მიზნებით სახელმწიფო მოხელეების გატაცება, შანტაჟი და იძულება.

სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ საქართველოში არ მოიძებნებოდა ისეთი ძალა, რომელიც ხელში აიღებდა კონტროლს და მისაღები იქნებოდა, როგორც მოსკოვისთვის, ისე დასავლეთისთვის, განსაკუთრებით კი აშშ-თვის. სწორედ ამ მახასიათებლით შეირჩა ედუარდ შევარდნაძის პროფილი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა საერთაშორისო ასპარეზზე. მოგვიანებით რუსეთისა და აშშ-ის მხარდაჭერით შევარდნაძე გახდა სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი. ყოველივე რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ის სადაზვერვო ლობირების შედეგად უნდა იყო აღქმული.

შევარდნაძის მმართველობის მნიშვნელოვანი პერიოდი შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით კრიზისულ პერიოდად.

ღია წყაროების[112] ანალიზით ირკვევა, რომ საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით, რკინიგზის დაცვისა და მძევლების განთავისუფლების საბაბით, შევარდნაძე ლობირებდა იდეას, რომ აფხაზეთის გვარდიას არ უნდა შეეშალა ხელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული სამხედრო კონტინგენტის გადაადგილებისთვის, რასთან დაკავშირებითაც შევარდნაძე - არძინბას შორის

[112] ჯონსი ს. „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბილისი სოციალური მეცნიერების ცენტრი, 2013, გვ. 130-139.

შედგა სატელეფონო საუბარი და მიღწეული იქნა კონსენსუსი. თუმცა, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მაღალი ალბათობით ცნობილი და შეთანხმებული იყო რუსული სპეცსამსახურებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვი სრულად აკონტროლებდა სიტუაციას და იცავდა სადაზვერვო ლობირებას დაქვემდებარებულ პირებს.

შევარდნაძე - არძინბას შეთანხმების მიუხედავად 1992 წლის 13-14 აგვისტოს რუსეთ - საქართველოს დამაკავშირებელ სარკინიგზო ხიდზე განხორციელდა სადაზვერვო ხასიათის დივერსიული აქტი,[113] რომელიც შეიძლება შეფასდეს პროვოკაციულ მოვლენად, რომელიც გახდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყების საბაბი.

მოგვიანებით, აფხაზურ ბლოკ-პოსტებთან მიახლოების შემდეგ, ქართველ სამხედროებს აფხაზურმა გვარდიამ გაუხსნა ცეცხლი, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. განვითარებულმა მოვლენებმა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის ფაქტორი საგრძნობლად მოარყია. რიგით მეორე შეტაკება, რომელიც მოხდა აგუძერასთან, გახდა კიტოვანის მიერ, სამხედრო შენაერთების სოხუმისკენ გადასროლის საფუძველი, რომელსაც შემდგომში მხარი დაუჭირა შევარდნაძემაც. საპასუხოდ არძინბამ აღნიშნული ქმედება ოკუპაციად გამოაცხადა და საკუთარი ტრიბუნიდან მოუწოდებდა აფხაზ ხალხს ქართველთა წინააღმდეგ ომისკენ. სახელმწიფოში სამოქალაქო ომის პარალელურად დაიწყო ეთნიკური ხასიათის კონფლიქტი, რამაც საბოლოოდ გამოიწვია სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია. ორივე მოვლენაში სახეზე იყო უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთის შედეგი.

მიმდინარე პროცესების პარალელურად 1993 წელს გამსახურდია მეორეჯერ დაბრუნდა საქართველოში, რამაც საბრძოლო მოქმედებების სრული ესკალაცია გამოიწვია სახელმწიფოში. ქვეყნის მასშტაბით არ მოიძებნებოდა მსხვილი ქალაქი ან სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, სადაც გამსახურდიას მომხრეებსა და

[113] ყოლბაია ვ., ლაცუზბაია დ., გელანტია რ., ჭახრაკია თ., „აფხაზეთის ლაბირინთი“ თბილისი 1999, გვ. 121-127.

ოპოზიციას შორის დაპირისპირებას არ ჰქონოდა ადგილი, ყოველივე კი გამსახურდიას მიმართ უარყოფით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, რადგან საზოგადოება გადაღლილი იყო ომით.

აღნიშნული პერიოდისთვის შევარდნაძე საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად ლობირებდა საკუთარი მთავრობის ინტერესებს, შედეგად იგი ოფიციალურად სარგებლობდა რუსეთისა და დასავლეთის მხარდაჭერით, მისი ხელისუფლება აღიარა სომხეთმა და აზერბაიჯანმაც.[114] მან გააჟღერა სურვილი, რომ საქართველო უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი. მას გააჩნდა ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, აშშ-ს ხელისუფლება დადებითად იყო განწყობილი მის მიმართ. აღნიშნული ფაქტორი კი გადამწყვეტი აღმოჩნდა ძალის კონცენტრირებისა და დემონსტრაციის კუთხით.

შევარდნაძის ლობირების შედეგად რუსეთის ფედერაციამ წესრიგის დასამყარებლად საქართველოში გამოგზავნა 2000 ჯარისკაცი, სამხედრო ამუნიცია და ბრძოლისათვის სხვა მნიშვნელოვანი რესურსები რაც, კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ შევარდნაძე სარგებლობდა რუსული სპეცსამსახურების მხარდაჭერით. რუსეთის მიერ გაწეულმა სამხედრო დახმარებამ საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის მომავალი, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების გამარჯვებით დასრულდა. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა 1993 წლის ზამთარში. მისი გარდაცვალება დღემდე ბუნდოვანებითაა მოცული, რაც ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მისი მკვლელობა მაღალი ალბათობით განხორციელებული იქნა უცხო სახელმწიფოების, საქართველოს იმ პერიოდის ხელისუფლების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ინტერესების საფუძველზე.

შევარდნაძის გაპრეზიდენტებას მოჰყვა, რიგი რეფორმები სახელმწიფოს მმართველობის პროცესში, კერძოდ პრეზიდენტი გახდა პირველი პირი,

[114] შევარდნაძე ე. „ფიქრი წარსულზე და მომავალზე“, საბა, 2006, გვ. 75-80.

რომელსაც შეეძლო მინისტრთა კაბინეტის არჩევა, ძალაუფლება სრულად დაექვემდებარა პრეზიდენტის ინსტიტუტს. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ შევარდნაძემ დააპატიმრა  სამხედრო გადატრიალებაში მონაწილე ყოფილი თანაგუნდელები (იოსელიანი, კიტოვანი, მხედრიონის წევრები და სხვა).

ოთხწლიანი ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ პირველად საქართველოს ეკონომიკამ დაიწყო  დადებითი ტენდენციებით სვლა. უმნიშვნელოვანეს წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და სახელმწიფოს გაწევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციებში.

XXI  საუკუნის დასაწყისში საქართველო ჩაერთო ტრანსნაციონალურ ნავთობსადენ პროექტებში. მის მიერ, გატარებულ საგარეო და საშინაო პოლიტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძე გარიგებაში შევიდა, როგორც რუსულ  ასევე, აშშ-ის სპეცსამსახურებთან.  აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს, ღია წყაროებში[115]-[116] გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის ანალიზითაც შეიძლება ითქვას, რომ სადაზვერვო ლობირების შედეგად, იმ პერიოდში ამიერკავკასიის მასშტაბით ერთ-ერთი უძლიერესი სპეცდანიშნულების რაზმების „ალფა“-ს (სამხედრო მომზადება რუსეთის ფედერაციაში ჩაუტარდა) და „ომეგა“-ს (სამხედრო მომზადება აშშ ჩაუტარდა) ჩამოყალიბება განხორციელდა, რომლებსაც მაღალი ალბათობით მხარი უნდა დაეჭირათ და შესაბამისად, ემოქმედათ, როგორც  აშშ  ისე, რუსეთის ფედერაციის ინტერესების სასარგებლოდ, მათ შორის  რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების შენარჩუნების პროცესში.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, განახლებული პოლიტიკური კურსის შედეგად სახელმწიფოში მეტ - ნაკლებად წარმოიქმნა სტაბილური

---

[115] კვირის პალიტრა, „უნიკალური იერიში“, ინტერვიუ დოდო გუგეშაშვილთან, 2011, (https://kvirispalitra.ge/article/9665-ukanaskneli-ierishi/ ნანახია / გადამოწმებულია 08/12/2023/).

[116] ბურჭულაძე ბ. „გოჩა ესებუა მოკლული იქნა შევარდნაძის ბანდის მიერ 1998 წლის 31 მარტს, სოფელ ონარიაში“ , იბერია, 2010, (https://iberiana2.wordpress.com/segm/esebua/ ნანახია / გადამოწმებულია 08/12/2023/).

გარემო. საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ სახელმწიფომ პირველად შეიძინა დადებითი ხასიათის იმიჯი.

შედეგობრივი ანალიზით თუ ვიმსჯელებთ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ, გამსახურდიას პროფილი ჯერ კიდევ დისიდენტობის წლებში იქნა შესწავლილი. მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით, იგი უნიკალურ ფენომენს წარმოადგენდა ქართული საზოგადოებისთვის, თუმცა თანხვედრაში ვერ მოდიოდა უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესებთან. შესაბამისად, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ემსხვერპლა დიდ კონსპირაციულ გეგმას, რომელიც გლობალური მოთამაშეების მიერ იქნა შედგენილი.

შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა და გაპრეზიდენტება რუსეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურების შეთანხმების შედეგად მოხდა, მათ საქართველოში სჭირდებოდათ კომპრომეტირებული ე.ი, მართვადი ხელისუფლება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ლობირებას გაუწევდა მათსავე ინტერესებს. აღნიშნულ გარემოებაზე მიანიშნებს ხელისუფლების დაკომპლექტება მათ შორის კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრებით.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში უცხო ქვეყნების ინტერესების ლობირებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა და შენარჩუნდა 2 გაყინული კონფლიქტის კერა. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები გამოეყო სახელმწიფოს და საქართველოს საზღვრებში არსებულ ტერიტორიებზე ხელისუფლება სრულად ვერ ახორციელებდა მმართველობას. საქართველო გახდა, როგორც პროდასავლური ისე, პრორუსული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. ფინანსური კოლაფსის შედეგად საქართველო სრულად ჩაება საერთაშორისო კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკის მოდელში და მთლიანად დამოკიდებული გახდა უცხოურ კაპიტალზე. სახელმწიფოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ხასიათის ფონდები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა უმეტესობა ფორმირდა არაოფიციალურ ლობისტურ ჯგუფებად. დამდგარი შედეგი მიანიშნებს, რომ

შევარდნაძის პოლიტიკის შედეგად საფუძველი ჩაეყარა უცხო სახელმწიფოების მიერ, საქართველოს მიმართ სადაზვერვო ზეგავლენის ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნების პროცესს.

ამ და წინა ქვეთავებში განხილული ეპოქების (I-1918-1921 წწ. და II-1989-2003 წწ.) შედარების შედეგად იკვეთება მოვლენათა პარალელიზმის ნიშნები საფრთხეებს მსგავსებასთან მიმართებაში, რომელიც შეიძლება ასე წარმოჩინდეს:

- საქართველო იყო გლობალური აქტორების ინტერესების გადაკვეთის წერტილი;
- საქართველოში არსებობდა კორუფციის მაღალი დონე;
- საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურები დაკომპლექტებული იყო ყოფილი იმპერიების (რუსეთის იმპერია / საბჭოთა კავშირი) სამსახურში მყოფი სახელმწიფო მოხელეებით;
- სახელმწიფოს მოსახლეობა ერთმანეთის მიმართ ჩართული იყო იდეოლოგიურ დაპირისპირებაში;
- სახელმწიფოს საზოგადოება განიცდიდა დემორალიზაციას;
- სახელმწიფოში არსებობდა დესტაბილიზაციის გაღვივებისთვის მოწყვლადი ნიადაგი;
- ცენტრალურ ხელისუფლებას საკანონმდებლო კონფლიქტი ჰქონდა რეგიონულ ხელისუფლებასთან;
- საქართველოს წინააღმდეგ, უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ძალისხმევით მოხდა ეთნიკური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება;
- უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ, საქართველოს ხელისუფლებების მიმართ განხორციელდა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება;
- საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, საქართველო, უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ძალისხმევით ჩართული იქნა მეზობელ სახელმწიფოებთან საომარ მოქმედებებში;
- საქართველომ ვერ შეძლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი, ინტერესის დაცვა, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება;

## 3.3. საქართველოს სპეცსამსახურების როლი სადაზვერვო ლობიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (კრიტიკული ანალიზი)

სპეცსამსახურების უმთავრეს ამოცანას მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება და მათი დროული აღკვეთა წარმოადგენს. შესაბამისად, ოპერატიული საქმიანობა ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს პრევენციაზე და არა მხოლოდ განხორციელებული ოპერაციის შედეგების მოგერიებაზე. აუცილებელია ყველა დამდგარი, დამაზიანებელი შედეგის ანალიზი განხორციელდეს ოპერატიული თანამშრომლების, ანალიტიკოსებისა და სათანადო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მეცნიერების, დარგობრივი სპეციალისტების მონაწილეობით. სხვა შემთხვევაში მაღალია დამაზიანებელი პროცესების განმეორების ალბათობა. ამ კუთხით საყურადღებო ვითარება იყო და არის პოსტსაბჭოთა საქართველოში.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს სპეცსამსახურებმა, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში პრაქტიკულად მარცხი განიცადეს, რაზეც მიანიშნებს დამდგარი შედეგის სიმძიმე. კერძოდ, ქართულმა სპეცსამსახურებმა ვერ შეძლეს, თავიდან აეცილებინათ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა, მათი ძალისხმევა არ აღმოჩნდა საკმარისი სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. სპეცსამსახურებმა ვერ უზრუნველყვეს უმთავრესი, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, რამაც პრაქტიკულად ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვნად შეირყა.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციისაკენ სახელმწიფოს მოწყვლადობის პრობლემა, რომელიც გარდამავალ პერიოდში იდგა დღის წესრიგში დღემდე განგრძობით ხასიათს ატარებს, რაც მიანიშნებს, იმ გარემოებაზე, რომ უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების ინტერესთა ლობირების შედეგად, საქართველო კვლავ გარდამავალ პერიოდში იმყოფება.

პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებებს, რომელზედაც დამოკიდებულია სახელმწიფოს ეროვნული ინტერესი, საფუძვლად უნდა ედოს სპეცსამსახურების მიერ, აგენტურული და/ან ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზე განხორციელდება საკითხის ფაქტობრივი შესწავლის მყარი ანალიზი, ხოლო ეს უკანასკნელი გადაწყვეტილების მიმღებ პირს, საშუალებას მისცემს, სწორად მოახდინოს საფრთხეების იდენტიფიცირება და დროულად განსაზღვროს რისკები.

ზემოგამოთქმულ მოსაზრებას, ამყარებს ასევე, სადაზვერვო საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპი, რომ დაინტერესებული სპეცსამსახურების ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს, ობიექტი სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფზე, სათანადო ზეგავლენისა და შეღწევადობის უზრუნველყოფა, რათა ამ ტიპის გადაწყვეტილება მზვერავი ქვეყნის სასარგებლოდ იყოს მიღებული.

შესაბამისად,  მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება თუკი ატარებს ეროვნული ინტერესის საზიანო ხასიათს, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ იგი განხორციელებულია უცხო სახელმწიფოების  სპეცსამსახურების ძალისხმევით. მსგავსი ტიპის სადაზვერვო აქტივობა შესაძლოა მიმდინარეობდეს ლობიზმის საფარქვეშ. მაგალითად: ედუარდ შევარდნაძის მიერ, 1993 წელს საქართველოს დსთ-ში  გაწევრიანების იდეის ლობირება და მისი პრეზიდენტობის წლებში ამ გადაწყვეტილების მიღება ცალსახად წარმოადგენდა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ, დატოვებულ პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე ხაზის გადასმას და კვლავ რუსულ ვექტორზე დარჩენას, რაც იმ მომენტისთვის ეროვნული ინტერესების საზიანო ქმედებად შეიძლება შეფასებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით ქართული სპეცსამსახურების საქმიანობა არაკომპეტენტურობისა და ბრძოლის უუნარობის შედეგად შეიძლება შეფასდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ  დავუშვებთ ხელშეკრულებაზე იძულებითი ხელმოწერის ვერსიას, ამ შემთხვევაშიც სახეზეა ქართული სპეცსამსახურების მხრიდან არაკომპეტენტურობა და ბრძოლის უუნარობის კვალი. პრაქტიკულად

ადგილი ჰქონდა პოლიტიკური დაზვერვის ობიექტ, უმაღლეს იერარქიაზე მყოფ პირზე ზეგავლენის მოპოვების ნიშნებს.

სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის კუთხით ასევე, უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს მ.მაცაბერიძის კვლევაში ფიქსირებული ინფორმაცია,[117] რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაზე (ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური რესურსები) უარის თქმის გადაწყვეტილება, კვლავ ედუარდ შევარდნაძის მიერ იქნა მიღებული. ამ ქმედებამ კიდევ უფრო დაამძიმა კრიზისულ ვითარებაში მყოფი სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება, შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად, რომელთან დაკავშირებითაც ქართულ სპეცსამსახურებს ასევე, საქართველოს გენერალურ პროკურატურას არ გაუტარებიათ ქმედითი ღონისძიებები, რომელიც სახელმწიფოს თავიდან ააცილებდა სადაზვერვო ლობირებით გამოწვეულ დამაზიანებელ შედეგებს.

თუკი გავითვალისწინებთ განხილულ მაგალითებს, ასევე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში შევარდნაძის კარიერას და აშშ-თან მის მჭიდრო კავშირს ნათელი ხდება კონფიგურაცია, რომ შევარდნაძეს საკუთარი პოლიტიკური გეგმები გააჩნდა როგორც, რუსეთის ფედერაციასთან ისე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში, რაც მაღალი ალბათობით ემსახურებოდა ძალაუფლების ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნების საკითხს და სიცოცხლის გარანტიას.

შეიძლება ითქვას, რომ ე.შევარდნაძე საერთაშორისო ასპარეზზე გლობალურ აქტორებს შორის ეწეოდა ორმაგ თამაშს. თუმცა, ფაქტების ანალიზი მიანიშნებს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ შევარდნაძე რუსეთისთვის აღარ წარმოადგენდა სასურველ პოლიტიკურ ფიგურას, რომლის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს შევარდნაძის აქტიური

---

[117] მაცაბერიძე მ. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ.238-242.

ლობირება საქართველოს ტერიტორიის ენერგო-სატრანზიტო დერეფნად გამოყენების შესახებ, მაგალითად:[118] სახელმწიფოს ჩართვა ისეთ საერთაშორისო პროექტში, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, და ბაქო - სუფსის ნავთობსადენი.

აქედან გამომდინარე ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ საქართველოს ენერგო დამოუკიდებლობა / დივერსიფიკაცია არ შედიოდა რუსეთის ინტერესებში, შესაბამისად, რუსეთისთვის საზიანო ინტერესების ლობირება გახდა 1995 და 1998 წლებში შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ორი ტერორისტული აქტის ერთ-ერთი საფუძველი.

1995 წლის ტერაქტის შესახებ გასაჯაროებული ინფორმაციის[119] ანალიზით ირკვევა, რომ ტერაქტში უშუალოდ იღებდა მონაწილეობას საქართველოს მაშინდელი უშიშროების მინისტრის, იგორ გიორგაძის დაქვემდებარებაში მყოფი სპეცდანიშნულების რაზმის წევრები. რაც, ამყარებს წინა ქვეთავში განხილულ პოზიციას, რომ სპცდანიშნულების რაზმების „ალფა“-ას (გადამზადება გაიარა რუსეთის ფედერაციაში) – „ომეგა“-ას (გადამზადება გაიარა ამერიკის შეერთებულ შტატებში) შექმნის იდეის ლობირება, რუსეთისთვის, ისევე, როგორც აშშ-თვის წარმოადგენდა პოლიტიკური ხასიათის ბერკეტს.

ამ ორ სპეცდანიშნულების რაზმს ალბათობის მაღალი ხარისხით, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე მხარი უნდა დაეჭირა: 1. ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესისათვის, 2. პრორუსული ან პროამერიკული ძალის ხელისუფლებაში მოყვანისთვის. შესაბამისად, მსგავსი ხასიათის პროცესების (როგორც, რუსეთის ისე, აშშ მხრიდან) განმეორების თავიდან ასარიდებლად განხორციელდა ზემოხსენებული სპეციალური დანიშნულების რაზმების, როგორც ფიზიკური ისე, სტრუქტურული დაშლა.

[118] მოსაშვილი ა. „ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები 1992-2002 წწ.“ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერკიათმცოდნეობის ინსტიტუტის დისერტაცია, თბილის 2020, გვ. 68-80

[119] წამალაშვილი ე. „29 აგვისტოს დღეს და 8 წლის წინ. ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის დეტალები ბუნდოვანია“, რადიო თავისუფლება, 2003, (https://www.radiotavisupleba.ge/a/1530515.html ნანახია / გადამოწმებულია 21/12/2023/).

1998 წელის ტერაქტთან დაკავშირებით, ღია წყაროში არსებული ინფორმაციების ანალიზი აჩვენებს[120], რომ ტერაქტი შესრულებული იქნა გამსახურდიას მხარდამჭერი, ქობალიასა და ელიავას ყოფილი თანამებრძოლი დივერსანტებისა და ჩეჩენი ტერორისტების მიერ. მაღალი ალბათობით ტერაქტის და ტერორისტების მომზადებისათვის გამოიყენებოდა „სალმან რადუევის საველე-სამხედრო ბაზა“[121], რაც ტერაქტის სადაზვერვო ხასიათზე მოსაზრებას კიდევ, უფრო ამყარებს.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელი გარემოებაა, რომ მოცემულ პერიოდში რუსეთის ფედერაცია და ჩეჩნეთის რესპუბლიკა საომარ მოქმედებებში იყვნენ ჩართულნი ერთმანეთის წინააღმდეგ. შესაბამისად, რუსეთს, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს, კავშირის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებზე, მათ შორის ჩეჩნეთში გააჩნდა საკუთარი აგენტურულ-ოპერატიული აპარატი, რომელიც „კგბ“ მემკვიდრეობად შეიძლება მივიჩნიოთ. შესაბამისად, ჩეჩნეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამხედრო ბაზაზე ტერორისტული ჯგუფის გადამზადების პროცესი, მაღალი ალბათობით ცნობილი იქნებოდა რუსეთის სპეცსამსახურებისთვისაც. თუმცა, რუსეთმა შესაძლოა არჩია უმოქმედობის პოლიტიკა, რათა საკუთარი მიზანი (ე. შევარდნაძის ლიკვიდაცია) მიეღწია მესამე მხარის გამოყენებით.

გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს და მეტად მნიშვნელოვანს ხდის რუსეთის ფედერაციული უსაფრთხოების ფედერაციული სამსახურის მიერ, ღია წყაროებში გამოქვეყნებული მასალა.[122] მისი ანალიზით ირკვევა, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, ჩეჩნეთის დაფინანსების წყაროები, სადაზვერვო ხასიათის ლობირების გზით, მოპოვებული იქნა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის არაბული

---

[120] გამცემლიძე დ. „9 თებერვლის ტერაქტი რუსებისა და ჩეჩნების ნახილავია“, მერიდიანი, 1999 (https://experti.ge/9 ნანახია / გადამოწმებულია: 24/11/2023/)

[121] ბურჭულაძე ბ. „გოჩა ესებუა მოკლული იქნა შევარდნაძის ბანდის მიერ 1998 წლის 31 მარტს, სოფელ ონარიაში“ , იბერია, 2010, (https://iberiana2.wordpress.com/segm/esebua/ ნანახია / გადამოწმებულია 08/12/2023/).

[122] Борисов Т. „НА ЧЬИ ДЕНЬГИ ВОЮЮТ ЧЕЧЕНСКИЕ БОЕВИКИ“ "Российская газета" (Москва).2001,http://www.fsb.ru/fsb/smi/overview/single.htm%21id%3D10342361%40fsbSmi.html (ნანახია / გადამოწმებულია 21/12/2023/).

სახელმწიფოებში (არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ეგვიპტეში, ლიბიაში, ქუვეითში, კატარში, საუდის არაბეთში). ხოლო, რეგიონის სახელმწიფოებიდან ჩეჩნეთის დაფინანსებაში მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ თურქეთი და აზერბაიჯანი. თუკი, გავითვალისწინებთ ლობიზმის გზით მოპოვებულ თანხების რაოდენობას, ნათელი ხდება, რომ თითოეულ დონაციის გამღებ სახელმწიფოებს საკუთარი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული ჩეჩნეთის ხელისუფლებაზე.

შესაბამისად, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული მეორე ტერაქტი, რომელიც ჩეჩნეთის სამხედრო ბაზაზე დაიგეგმა, შესაძლოა ყოფილიყო, რუსეთთან ერთად რომელიმე ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოების სპეცსამსახურების ორგანიზების შედეგი.

აღნიშნულ ქეისში ქართული სპეცსამსახურების სისუსტეზე მეტყველებს, საქართველოს უშიშროების სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ, პრეზიდენტის ესკორტის მარშრუტის წინასწარი, (მათ შორის მიზანმიმართული) შესწავლის გამორიცხვა, რომელიც ატარებს არაკვალიფიციურ ხასიათს. თავდასხმის შესახებ აგენტურულ-ოპერატიული ხასიათის ინფორმაციის არ არსებობა კი, (ან არსებობა და შესაბამისი რეაგირების გამორიცხვა) მეტყველებს საქართველოს სადაზვერვო სამსახურის უსუსურობაზე.

ზემოგანხილული ორივე ქეისის ანალიზი ამყარებს მოსაზრებას, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით, ტერაქტების მსვლელობას სადაზვერვო ლობირების გზით ორგანიზებას უწევდა, საქართველოში პოზიციების გამყარებით დაინტერესებული სახელმწიფოების სპეცსამსახურები. შესაბამისად, გამოვლინდა, როგორც სადაზვერვო ისე, კონტრსადაზვერვო სამსახურის სისუსტე, რადგან ქვეყნის პირველი პირის ლიკვიდირების საფრთხე მცირე პერიოდში ატარებდა განმეორებით ხასიათს, რომლის აღკვეთა ვერცერთ შემთხვევაში ვერ შეძლო საქართველოს სპეცსამსახურებმა, ორივე შემთხვევაში პრეზიდენტი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ყოველივე გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველო ტერორიზმის განვითარების კუთხით მოწყვლად სახელმწიფოს წარმოადგენდა. რაზეც მეტყველებს პრეზიდენტზე

განხორციელებული თავდასხმების გარდა, სხვა ტერორისტული აქტები, რომელთა სამიზნეს გავლენიანი პოლიტიკური ფიგურები (მაგალითად: გია ჭანტურია, გიორგი ყარყარაშვილი, ფრედერიკ რასელ ვუდროფი და სხვა.) წარმოადგენდნენ.

შესაბამისად, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ საქართველოს სპეცსამსახურებში კომპრომეტირებული მაღალჩინოსნები, როგორც ხელშემწყობი ქმედებებით ისე, უმოქმედობით ხელს უწყობდნენ ტერაქტების პროცესს.

ქართულ სპეცსამსახურებში არსებულ სისუსტეებზე საუბრისას გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2003 წლამდე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება საკუთარ ძალაუფლებას სრულყოფილად ვერ ახორციელებდა სახელმწიფოს საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, მაგალითად: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური კურსი დამოკიდებული იყო ერთპიროვნულ მმართველობაზე. ასლან აბაშიძე თვითნებურად ახორციელებდა მმართველობას აჭარის ტერიტორიაზე, ხოლო მისი ვიზიტები მეზობელ ქვეყნებში (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი)[123], რომელსაც სახელმწიფო კონტროლს ვერ უწევდა, სადაზვერვო მოწყვლადობის მანიშნებელი გარემოებაა, რომელიც მაღალი ალბათობით უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურებისთვის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე გავლენის მოპოვება / შენარჩუნებისთვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა.

იმის გასააზრებლად თუ, რამდენად ფართომასშტაბიანი იყო ასლან აბაშიძის ძალაუფლება აჭარის ტერიტორიაზე, გამოდგება ღია წყაროებში გამოქვეყნებული სტატია,[124] რომლის ანალიზითაც ვლინდება რეგიონული ხელისუფლების მხრიდან, ცენტრალური ხელისუფლების მიმართ კომპრომეტაციის, დაუმორჩილებლობისა და ულტიმატუმის წაყენების ნიშნები. ეს უკანასკნელი

---

[123] რადიო თავისუფლება „ასლან აბაშიძის მოსკოვური ვიზიტის მიზანი კვლავ უცნობია“ 2003 წლის 15 ნოემბერი, (https://www.radiotavisupleba.ge/a/1532011.html ნანახია / გადამოწმებულია 28/11/2023/)

[124] სივილ ჯორჯია „ასლან აბაშიძე ცენტრალურ ხელისუფლებას უუნარობაში ადანაშაულებს“, თბილისი, 2003 (https://civil.ge/ka/archives/129519 ნანახია / გადამოწმებულია 28/11/2023/).

შეიძლება აღვიქვათ, როგორც სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად, რომელსაც მაღალი ალბათობით უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების მხარდაჭერით, ასლან აბაშიძე უწევდა ლობირებას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს აჭარის რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა. კერძოდ, აჭარა და ბათუმი არის საზღვრისპირა საპორტო ზონა. შესაბამისად, მაღალია იყო რეგიონის უკანონო კვეთის, კონტრაბანდის, ნარკოტიკების, იარაღის, ბირთვული მასალების სატრანზიტო დერეფნად გამოყენების რისკი. თავის მხრივ აღნიშნული მიმართულებები წარმოადგენს აგენტურულ-ოპერატიული შესწავლის ობიექტს, რადგან აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები გამოირჩევა ეროვნული უსაფრთხოების საზიანო შედეგებით.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებების აღსაკვეთად სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო აქტივობები, რომლებსაც ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, უნდა განხორციელდეს საიდუმლო რეჟიმში ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების კოორდინირებით. მაგრამ, აჭარის ტერიტორიაზე შექმნილი პოლიტიკური რეჟიმი ერთპიროვნულად იმართებოდა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზმი და არა როგორც ერთიანი საქართველოს ნაწილი. იგი ექვემდებარებოდა უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების ინტერესებს. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს „პარლამენტის დადგენილება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით“,[125] რომლის ანალიზითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ასლან აბაშიძის რეჟიმი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

ასლან აბაშიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (მაგალითად: მოსახლეობის შეიარაღება და შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება, მძიმე სამხედრო ტექნიკის, საფრენი მოწყობილობების და სხვა საბრძოლო

---

[125] საქართველოს პარლამენტი „პარლამენტის დადგენილებია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით“, 30/04/2004,(ნანახია / გადამოწმებულია 22/12/2023 https://matsne.gov.ge/ka/document/view/42100?publication=0).

მასალის საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე გადაცემისთვის უარის თქმა, საქართველოს თავდაცვისა 25-ე ბრიგადის, შინაგან საქმეთა სამინისტროების შენაერთების, სასაზღვრო ნაწილების გამოყვანა ცენტრალური უწყებების დაქვემდებარებიდან, სტრატეგიული ობიექტების (მდინარე ჩოლოქზე არსებული ხიდების) განადგურება, დემოკრატიული არჩევნების პროცესის ჩაშლის მცდელობა და სხვა.) ატარებდა სამოქალაქო დაპირისპირების, სეპარატიზმის განვითარებისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის რისკს.

გამოთქმული მოსაზრების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ასლან აბაშიძის ძალაუფლების შენარჩუნების გარანტს უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურები წარმოადგენდნენ. შესაბამისად მისი, როგორც სადაზვერვო ლობისტად გამოყენება, მზვერავ სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევდა აჭარის ტერიტორიაზე მიღებული და პრაქტიკაში გატარებულიყო მათსავე ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტილებები.

თავის მხრივ ზემოგანხილული საფრთხის ფაქტორების იდენტიფიცირება ქართულ სპეცსამსახურებს მოვალეობაში შედიოდა, რომელთან მიმართებაში ჯანსაღი - ადეკვატური დამოკიდებულება და შესაბამისი რეაგირება, ცენტრალურ ხელისუფლებას მისცემდა შესაძლებლობას საკუთარი ლეგიტიმური ძალაუფლება გაევრცელებინა აჭარის ტერიტორიაზე. ნაცვლად ამისა, 2003 წელს ედუარდ შევარდნაძემ და ასლან აბაშიძემ ერთობლივად გამართეს სამიტი ბათუმში, რომელსაც ადასტურებს საარქივო ვიდეოჩანაწერები.[126] მათი ანალიზი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ შევარდნაძის ხელისუფლება უცხო სახელმწიფოებთან (რუსეთის ფედერაცია, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ირანი, არაბული სახელმწიფოები, ევროპული სახელმწიფოები,

[126] საარქივო ვიდეოჩანაწერები, „ასლან აბაშიძე და ედუარდ შევარდნაძე ბათუმში 2003 წელი“, ვიდოჩანაწერის ავტორი „Axel M.” (https://www.youtube.com/watch?v=1tRlr-qFahg ნანახია / გადამოწმებულია 22/12/2023/).

აზერბაიჯანი, სომხეთი) ერთად დაინტერესებული იყო გარკვეული პერიოდით ასლან აბაშიძის რეჟიმის შენარჩუნებით.

ზემოჩამოთვლილ ყოველ სახელმწიფოს გააჩნდა სადაზვერვო მოტივაცია, რომ აჭარის ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდით შენარჩუნებულიყო, ერთპიროვნული მმართველობა, რომლის პირველი პირი საჭიროების შემთხვევაში სადაზვერვო ხასიათის ლობირებას გაუწევდა მზვერავი სახელმწიფოების ინტერესს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტებისა და მოვლენებზე საუბრის შემდეგ, საინტერესო იქნება მიმოვიხილოთ თომას დევიდ შუმანის (იგივე იური ბეზმენოვი) სატელევიზიო ინტერვიუ[127], სადაც იგი საუბრობს, მის მიერ „კგბ" სკოლაში გავლილ პრაქტიკაზე და სპეცსამსახურების მუშაობის ზოგად პრინციპზე, რომლის მიზანია სადაზვერვო საქმიანობის ფუნდამენტური მეთოდოლოგიის (1.საზოგადოების დემორალიზაცია, 2.საზოგადოების დესტაბილიზაცია, 3.კრიზისი 4.ნორმალიზაცია, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ გარდამავალი პერიოდი) გამოყენებით საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის კონტროლი, მართვადი კრიზისების შექმნა და ამ სახელმწიფოში გავლენის ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნება.

თუკი დავეყრდნობით თომას დევიდ შუმანის შეხედულებებს, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში დანერგილ პრაქტიკას წარმოადგენს, სადაზვერვო ხასიათის მემკვიდრეობის (იგი შეიძლება წარმოადგენდეს ინტელექტუალურ, ფიზიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ, ადამიანის ფიზიკურ რესურსს) შენარჩუნება, რომელიც თავის მხრივ თაობათა ცვლის პროცესში მზვერავი სახელმწიფოს ზეგავლენის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, მოვლენათა პარალელიზმის პრიზმაში შეძლება განვიხილოთ საქართველოში ხელისუფლებების

[127] Marshall N. "FULL INTERVIEW with Yuri Bezmenov: The Four Stages of Ideological Subversion (1984)", (https://www.youtube.com/watch?v=yErKTVdETpw ნანახია / გადამოწმებულია 19/12/2023/).

ცვალებადობის პროცესი, რომლის დროსაც არცერთი მმართველობის პერიოდში, არ მომხდარა წინა ხელისუფლების წევრების ობიექტური განსჯა მართლმსაჯულების წინაშე, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სხვადასხვა პერიოდში საქართველოს ხელისუფლებები უცხო ქვეყნების სტრატეგიულ და სადაზვერვო ინტერესებს აღასრულებდნენ, შედეგად მზვერავი სახელმწიფოები ლობირებდნენ მათი დაუსჯელობის პროცესს (მათ შორის ასლან აბაშიძე[128], რომელიც რევოლუციიდან მცირე ხანში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის დახმარებით გაყვანილი იქნა საქართველოდან და საერთაშორისო დონეზე ძებნილი დამნაშავე სიცოცხლის ბოლომდე შეიფარა რუსეთის ფედერაციამ).

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ სპეცსამსახურებში არსებული გადაუჭრელი პრობლემები, განგრძობით ხასიათს ატარებდა შემდეგ პერიოდშიც, რაც აიხსნება უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების მხრიდან მართვადი კრიზისების პროვოცირებით, რომელიც პრაქტიკაში გვხვდება შემდეგი სახით:

1. ქართულმა სპეცსამსახურებმა ვერ შეძლეს 2008 წელს თავიდან აერიდებინათ საბრძოლო მოქმედებები რუსეთთან, რომლის შედეგადაც გარდა ფიზიკური მსხვერპლისა დაიკარგა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები, ხოლო ომის შემდეგ არსებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ რეგრესი განიცადა;
2. 2008 წელს განხორციელდა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტების სიის კორექტირება, რომელიც მნიშვნელოვნად შემცირდა (დარჩა მხოლოდ 5 სახეობის სტრატეგიული ობიექტი). შედეგად, მაშინდელი პრეზიდენტისა და ეკონომიკის მინისტრის ლობირებით დაიწყო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისების პროცესი (გასხვისდა ისეთი სტრატეგიული ობიექტები როგორიცაა: „მადნეული“ „თბილისი წყალი“ „თელასი“ სხვადასხვა ენერგო მწარმოებელი სადგურები, „კვარტი“ „ფეროშენადნობი ქარხანა“

[128] სივილ ჯორჯია, „აჭარა აბაშიძის წასვლას ზეიმობს“, 2004, (https://civil.ge/ka/archives/132236 ნანახია / გადამოწმებულია 22/12/2023).

„აზოტი“ „ყასტრანგაზი“ „ელმავალმშენი ქარხანა“, რადიო / ტელე / ფიჭური კავშირის სადგურები, „ენგურჰესი“, ფოთის და ბათუმის პორტები).[129] ამ პროცესში ყველაზე ტრაგიკულ მოვლენას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მათი უმეტესობა, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების რიგი წევრების ლობირებით გადაეცა მტრულად განწყობილ სახელმწიფოს (რუსულ სახელმწიფო კომპანიებს ან რუს ბიზნესმენებს - ოლიგარქებს), რომლებთან მიმართებაში ქართულ სპეცსამსახურებს დღემდე არ აქვთ გატარებული ქმედითი ღონისძიებები;

3. მოუგვარებელი დარჩა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საკითხი, ფაქტობრივად ქართულ სპეცსამსახურებს დღემდე არ გააჩნიათ შესაბამისი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შეჩერდება ამ მიმართულებით არსებული მართვადი კრიზისი.

ყოველივე კი ამყარებს გონივრულ ეჭვს იმის შესახებ, რომ უცხო სახელმწიფოების მიერ, მიზანმიმართულად ხდებოდა საქართველოს სადაზვერვო-კონტრსადაზვერვო სისტემების მოშლა. შესაბამისად, საფრთხის იდენტიფიცირების, ნეიტრალიზაციის / რისკების მინიმუმამდე შემცირების უზრუნველსაყოფად საიდუმლოების დაცვის რეჟიმში, მეცნიერულ დონეზე უნდა იქნას შესწავლილი ხელისუფლებების მიერ, სხვადასხვა პერიოდში წამოწყებული ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის კამპანია, რომელიც დღემდე განგრძობით ხასიათს ატარებს.

[129] ფიცხელაური ნ. „რომელი მნიშვნელოვანი ობიექტები გაასხვისა კახა ბენდუქიძემ“, ამბები, 2013, (https://www.ambebi.ge/article/74224-romeli-mnishvnelovani-obiektebi-gaqida-kaxa-bendukizem/ ნანახია / გადამოწმებულია 25/12/2023/).

## 3.4. ემპირიული კვლევა: სადაზვერვო საქმიანობაში ლობიზმის როლის შესახებ ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან

საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან, რომლის ფორმატში საკუთარი პრაქტიკული და მეცნიერული გამოცდილებით შეირჩა რამდენიმე რესპონდენტი, კერძოდ:

1. **თენგიზ ენდელაძე** - თადარიგის გენერალ მაიორი, ისტორიის დოქტორი სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი.
2. **გელა გიორგაძე** - თადარიგის ბრიგადის გენერალი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი.
3. **გიორგი ქიმაძე** - დაზვერვის თადარიგის პოლკოვნიკი, საჯარო მმართველობის მეცნიერებათა დოქტორი.
4. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი, რომელმაც სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე ისურვა ანონიმურად დარჩენა.**

ინტერვიუს ფორმატში რესპონდენტებს განემარტათ ინტერვიუს ფორმატის შესახებ, მათ გაეცნოთ საკვლევი თემატიკა და წარედგინათ ქვემოთ წარმოდგენილი სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარი:

1. რაში მდგომარეობს ლობიზმის არსი და რა კავშირი აქვს მას სადაზვერვო საქმიანობასთან ?
2. რა ძირითადი მახასიათებლებით ხასიათდება სადაზვერვო ლობიზმი და რა პრევენციის მექანიზმები არსებობს მისი ნეიტრალიზაციისათვის ?
3. რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რა პარალელები შეიძლება გავავლოთ პოსტსაბჭოთა საქართველოსთან ?

4. სადაზვერვო ლობიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით რა ნაკლოვანებები არსებობს საქართველოს თანამედროვე სპეცსამსახურების საქმიანობაში ?

## სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები

**რესპონდენტი:** თენგიზ ენდელაძე - თადარიგის გენერალ მაიორი, ისტორიის დოქტორი სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ - ანალიტიკოსი.

**შეკითხვა 1. რაში მდგომარეობს ლობიზმის არსი და რა კავშირი აქვს მას სადაზვერვო საქმიანობასთან ?**

**პასუხი:**

აღნიშნულმა ტერმინმა პოლიტიკური დატვირთვა და შინაარსი შეიძინა აშშ-ში XIX საუკუნის 10-იან წლებში, ხოლო იმავე საუკუნის 30-იანი წლებიდან კი ეს ტერმინი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

თავდაპირველად ლობიზმის განმახორციელებლებად მოგვევლინენ მსხვილი ბანკებისა და მონოპოლისტების აგენტები, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ (მოსყიდვის ჩათვლით) საპარლამენტო და სახელმწიფო ჩინოვნიკებზე, ამა თუ იმ გადაწყვეტილების სასარგებლოდ.

განვითარების კვალობაზე იქმნება ლობისტური კანტორები, სააგენტოები, კომპანიები. ლობირების განხორციელების ობიექტად, როგორც წესი განიხილებოდა და განიხილება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება.

რიგ ქვეყნებსა და ორგანიზაციებში ლობიზმი ლეგალიზებულია, კანონიერი სახე აქვს, ზოგან ის კორუფციის გამოვლინებად ითვლება და აქედან გამომდინარე კანონით აკრძალულია.

მსოფლიოზე თავისი გავლენის გაფართოება-გაძლიერების ინტერესებიდან გამომდინარე, აშშ-ს სპეცსამსახურებმა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ,

შეიარაღებაში აიღო სახელმწიფოებისთვის საფრთხის შემცველი ისეთი მოვლენა, როგორიცაა ლობიზმი. მალე მათ სხვა ქვეყნების დაზვერვებმაც მიმართეს, მათ შორის იყო საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტიც.

მოქმედებს რა არაკანონიერი მეთოდით, სადაზვერვო ლობიზმს ახასიათებს პოლიტიკოსების, სახელისუფლო ორგანოების (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო) საზოგადოებაში არსებული ინტერესთა ჯგუფების მოსყიდვა, ან სხვა ფორმით დაფინანსება, ხშირ შემთხვევაში გადაბირებით დამთავრებული.

დაზვერვის სამსახურების მიერ წარმოებული ლობისტური საქმიანობა მდგომარეობს, როგორც უშუალოდ მათ მიერ, ასევე მათთან კავშირში მყოფი და მათივე დავალებით მოქმედი ცალკეული პირების მიერ, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებზე, სახელმწიფოთა ხელისუფლების (პარლამენტი, მთავრობა) ორგანოებზე ზემოქმედებაში, რომლის მიზანია ამ უკანასკნელთა მიერ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება ან არმიღება, მზვერავი სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ/გათვალისწინებით.

სადაზვერვო ლობიზმის ტექნოლოგია, ისევე როგორც ზოგადად ლობიზმისა, ორი სახისაა:

1. პირდაპირი ლობიზმი-უშუალო კონტაქტი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. პირდაპირი ლობირება მოიცავს შემდეგ ფორმებს: პოლიტიკოსებთან და ჩინოვნიკებთან შეხვედრების დანიშვნა და ჩატარება, მათი ლანჩებზე მიწვევა, მათთან პერსონალური წერილების გაგზავნა და სატელეფონო ზარების განხორციელება, არაფორმალური ურთიერთობების დამყარება და სხვა.

2. არაპირდაპირი ლობიზმი-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა საზოგადოებრივი აზრის მობილიზების საშუალებით, ამა თუ იმ პოზიციის სასარგებლოდ (ან საწინააღმდეგოდ).

არაპირდაპირი ლობიზმი მოიცავს ისეთ ფორმებს, როგორებიცაა წერილების მასობრივი დაგზავნა, პრეს-კონფერენციების ორგანიზება, საჯარო

შეხვედრები, ხელმოწერების შეგროვება, დემონსტრაციები, მიტინგები, პიკეტირებები და ა.შ.

**შეკითხვა 2. რა ძირითადი მახასიათებლებით ხასიათდება სადაზვერვო ლობიზმი და რა პრევენციის მექანიზმები არსებობს მისი ნეიტრალიზაციისთვის ?**

**პასუხი:**

სადაზვერვო ლობიზმი მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი მოვლენაა დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოსთვის, ვინაიდან ამ ქვეყანაში მოქმედმა, უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურის გავლენის ქვეშ მყოფმა, ცალკეულმა მსხვილმა და კარგად ორგანიზებულმა „ინტერესთა ჯგუფებმა“, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ მმართველობის პროცესზე და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებულ იქნეს მათი კარნახითა და მათი ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ამიტომ, ლობიზმის ლეგალურ საქმიანობად დაშვების პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო ინტერესების დაცვას და თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საქმიანობის მკაცრ რეგულირებას, რათა მათი საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოირიცხოს სახელმწიფოს ინტერესების დარღვევის მცდელობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზვერვო ლობიზმის პრევენციის მიზნით აუცილებელია:

1. დღევანდელობასთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი და მკაცრად დაცული საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ.

2. გაანალიზებულ იქნას უკვე მიღებული კანონები, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები, მისაღები კანონპროექტები, გამოიკვეთოს მათში ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი და სახელმწიფოს განვითარებისთვის ხელისშემშლელი პუნქტები (დებულებები) და

მიღებულ იქნას ზომები მათი დაძლევისათვის, ხოლო დოკუმენტების ავტორების მიმართ გატარდეს შესაბამისი ზომები.

3. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნას ცალკე მუხლი სადაზვერვო ლობიზმის დასჯადობის თაობაზე.

4. სადაზვერვო ლობიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება დაეკისროს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, კონკრეტულად მის ანტიკორუფციულ სააგენტოს, ან კიდევ, სუს-თან შეიქმნას ცალკე სამსახური, და აქედან გამომდინარე შევიდეს შესაბამისი ცვლილება საქართველოს კანონში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ.

**შეკითხვა 3. რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რა პარალელები შეიძლება გავავლოთ პოსტსაბჭოთა საქართველოსთან ?**

**პასუხი:** საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირობებში სადაზვერვო ლობიზმის შედეგად დიდი ალბათობით შეიძლება მივიჩნიოთ:

- ჯერ გერმანელებისა და შემდეგ ინგლისელების დაუპატიჟებლად შემოსვლა (საქართველოს ფაქტობრივი ოკუპაცია) და მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მათი შემოსვლის დაკანონება.
- სომხეთთან ორი ომის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების მიერ სომხეთის მიმართულებით განუბაჟებელი ტვირთების გატარების ნებართვის დაშვება.

პოსტსაბჭოთა საქართველოში სადაზვერვო ლობიზმის განხორციელების მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციური ძალების შეიარაღებული გამოსვლა.
- საერთაშორისო ორგანიზაცია ეუთოზე ზემოქმედების გზით, მისი საქმიანობის ფაქტობრივი განეიტრალება ზ.გამსახურდიას პრეზიდენტობისა და დევნილობის პერიოდში.

- სამხედრო გადატრიალების გზით მოსული შევარდნაძის ხელისუფლებისადმი უკრაინისა და რუსეთის სამხედრო დახმარების ორგანიზება.
- “ვარდების რევოლუციის“ ორგანიზება და ხელისუფლებაში სააკაშვილის მოყვანა.
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ოკუპანტი ქვეყნისთვის სახელმწიფოს სტრატეგიული ობიექტების გადაცემა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ.
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება.
- “უსაიდ“-ის შვილობილი კომპანიის „კანვას“-ის წევრების სამშობლოში უპრობლემოდ გაშვება, მაშინ როდესაც ისინი მხილებულ იქნენ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, და რის გამოც მათზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე.

**შეკითხვა 4. რა ნაკლოვანებები არსებობს საქართველოს სპეცსამსახურების საქმიანობაში სადაზვერვო ლობიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ?**

**პასუხი:** ლობიზმი დღეისათვის ისე როგორც ყველა ქვეყანაში ჩვენთანაც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოს დღევანდელ პირობებში ლობიზმის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის განვითარება მეტად რთულ პროცესში მიმდინარეობს, ვინაიდან ლობიზმის ცნობიერება დაბალ საფეხურზე დგას. ასეთ ვითარებაში, არ არის გამორიცხული, უცხო ქვეყნების დაზვერვის სამსახურები, როგორც სხვა ობიექტ ქვეყნებში, დიდი ალბათობით საქართველოშიც ახორციელებენ არაკანონიერ ლობისტურ საქმიანობას, მათ ხელთ არსებული აგენტურული აპარატის მეშვეობით, რომელთა რიგებში, დიდი ალბათობით, იქნებიან ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა „ინტერესთა ჯგუფების“, წარმომადგენლები. დღემდე მსგავსი ფაქტი ოფიციალურად არ დადასტურებულა, და აქედან გამომდინარე არც არავინ

დასჯილა. არადა ქართულ სინამდვილეში მოიძებნება ფაქტები, რომლებიც ირიბად მიუთითებენ შესაძლო სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის წარმოებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. საქართველოს დაზვერვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებს თავად ჰყავდეთ ლობისტები, რომლებიც მოამზადებენ ქვეყნის უსაფრთხოება-უშიშროების თვალსაზრისით აუცილებელ კანონპროექტებსა და სამსახურებისათვის საჭირო ნორმატიულ აქტებს, ან გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ უკვე არსებულში;

2. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურის სასწავლო ცენტრებმა წარმართონ სამეცნიერო კვლევები ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული დამაზიანებელი, არაკანონიერი სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის მიმართულებით და მათ საფუძველზე გამოიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები სამსახურების ოპერატიული დანაყოფებისთვის.

3.სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არსებულმა საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტმა ღია და ფარული წყაროებიდან ინფორმაციების მოპოვებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფორმაციებს, რომლებიც შეიცავენ სადაზვერვო ლობიზმის განხორციელების ნიშნებს, მოახდინოს მათი დამუშავება-განზოგადება და ხელმძღვანელობისთვის გადაცემა;

4.სუს-ის ხელმძღვანელობამ, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან მიღებული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ სადაზვერვო ხასიათის ლობისტური საქმიანობის წარმოების ნიშნებს, რეაგირებისათვის გადასცეს ანტიკორუფციულ სააგენტოს (დეპარტამენტს), რომლის ძირითადი ამოცანებია: თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება; კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება; კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება; თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დანაშაულის

თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

**რესპონდენტი:** გელა გიორგაძე - თადარიგის ბრიგადის გენერალი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი.

**შეკითხვა 1. რაში მდგომარეობს ლობიზმის არსი და რა კავშირი აქვს მას სადაზვერვო საქმიანობასთან ?**

**პასუხი:** ლობიზმი გულისხმობს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე სხვადასხვა გზით ზემოქმედებას, რათა მიღწეულ იქნას კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფისთვის/აქტორისთვის მისაღები გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ლობიზმის არსი, რაიმე სიახლეს არ წარმოადგენს და გარკვეულწილად პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილად არის აღქმული, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ის საფრთხეები, რომელიც შესაძლებელია მომდინარეობდეს კონკრეტული პირებისგან ან ჯგუფებისგან. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობის პროცესში, დაუშვებელია გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მხრიდან ინფორმაციის გაცვლა იმ აქტორებთან, რომლებიც კონკრეტულად არ წარმოადგენენ უფლებამოსილ პირებს, რათა საწყის ეტაპზევე გამოირიცხოს ღირებული ინფორმაციის გადინება.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალო კავშირი ლობიზმის არსსა და სადაზვერვო საქმიანობას შორის შესაძლებელია უშუალოდ არ იკვეთებოდეს, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ღირებული ინფორმაციის გამოყენებით, მოწინააღმდეგე მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, მისთვის მისაღები ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს, სახელმწიფო პოლიტიკა.

**შეკითხვა 2. რა ძირითადი მახასიათებლებით ხასიათდება სადაზვერვო ლობიზმი და რა პრევენციის მექანიზმები არსებობს მისი ნეიტრალიზაციისათვის?**

**პასუხი:** გლობალიზაციის პროცესმა, გარკვეულწილად ხელი შეუწყო უწყებათა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას საერთაშორისო დონეზე, ხოლო თანამშრომლობის გაღრმავების პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა სხვადასხვა დონეზე ღირებული ინფორმაციის გაცვლა.

ღირებულ სადაზვერვო ინფორმაციად ითვლება ინფორმაცია, რომელიც ხასიათდება დროულობით, სანდოობითა და სრულყოფილებით.130

არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, სადაზვერვო ლობიზმი შესაძლებელია, აღქმულ იქნას, როგორც ახალი ტიპის გამოწვევა, რომელიც დამატებით სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს.

**შეკითხვა 3. რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რა პარალელები შეიძლება გავავლოთ პოსტსაბჭოთა საქართველოსთან ?**

**პასუხი:** საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის მიმართ ინტერესს, ხოლო ინტერესებს მუდმივად თან სდევს გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვექტორი არ შეცვლილა, თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურის ცვლილებასთან ერთად, შეიცვალა ინფორმაციული ნაკადის მიღებისა და გადაცემის შესაძლებლობა, ხოლო მათთან ერთად საკითხისადმი მიდგომაც.

ფაქტია, რომ პოსტსაბჭოთა საქართველო, ისევე როგორც წარსულში, კვლავ ინტერესთა გზაჯვარედინზე იმყოფება. ისიც ფაქტია, რომ აგრესიული აქტორის ხელში, კონკრეტულ ინტერესთა ლობიზმი შესაძლებელია დამაზიანებელი აღმოჩნდეს დემოკრატიის პრინციპების დაცვის კუთხით. დემოკრატიის მთავარ პრინციპს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესთა და არა კონკრეტული პირის ან ჯგუფის დაცვა უნდა წარმოადგენდეს.

**შეკითხვა 4. სადაზვერვო ლობიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით რა ნაკლოვანებები არსებობს საქართველოს თანამედროვე სპეცსამსახურების საქმიანობაში ?**

**პასუხი:** ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ.

**რესპონდენტი:** გიორგი ქიმაძე - დაზვერვის თადარიგის პოლკოვნიკი, საჯარო მმართველობის მეცნიერებათა დოქტორი.

**შეკითხვა 1. რაში მდგომარეობს ლობიზმის არსი და რა კავშირი აქვს მას სადაზვერვო საქმიანობასთან ?**

**პასუხი:** ლობირება ხდება ძირითადად პოლიტიკური გუნდის ანუ ხელმძღვანელობის მიერ და ხდება თანამდებობის პირების მიერ, რომლის დაქვემდებარებაშიც არის სადაზვერვო სამსახური.

არსებობს სადაზვერვო საქმიანობა ანუ დაზვერვა ქვეყნის შიგნით და საგარეო დაზვერვა ქვეყნის გარეთ. დაზვერვა შინაარსით არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება, ანუ სადაზვერვო სამსახური არასდროს არ არის ლეგალური საქმიანობა, იგი არღვევს კანონს. ლობიზმი შეუძლია განახორციელოს თვითონ მზვერავმა თავისი რესურსებით უკვე იმ ადამიანს, ვისი გადაბირებაც უნდა, თავისი კავშირებით, პოლიტიკური გადაწყვეტილების მხარდაჭერით, თავისი ხელმძღვანელის მხარდაჭერით. ლობირება შეუძლია გაუწიოს, ვის თვალშიც ის დაფასდება და გარკვეული ინტერესების გატარებისთვის მოითხოვს დივიდენდებს, ხოლო მოგვიანებით დაექვემდებარება გადაბირებას.

**შეკითხვა 2. რა ძირითადი მახასიათებლებით ხასიათდება სადაზვერვო ლობიზმი და რა პრევენციის მექანიზმები არსებობს მისი ნეიტრალიზაციისათვის?**

**პასუხი:** სადაზვერვო ლობიზმი უნდა განვიხილოთ უარყოფით კონტექსტში, სადაც უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურბს განხორციელებული აქვთ შეღწევადობა. შესაბამისად, როგორც წინა შეკითხვაზე ვუპასუხე, როდესაც მზვერავ სახელმწიფოს შეღწეული აქვს სამიზნე სახელმწიფოში, მას შეუძლია

ლობირება გაუწიოს მისი ინტერესებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებაში ამ მიმართულებით განათლების და შემეცნების გაზრდა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ღია წყაროების, ლექციების, საზოგადოების ინფორმირება გარემოში და სიტუაციაში. რაც მნიშვნელოვანია ცნობიერების ასამაღლებლად, თუ რას ნიშნავს და რა საფრთხეებს შეიძლება უკავშირდებოდეს სადაზვერვო ლობირება, რა როლს თამაშობს სპეცსამსახურების საქმიანობა ეროვნულ უსაფრთხოებაში და ა.შ. ამ მიმართულებით საზოგადოება ცნობიერების ამაღლება ჩვენს ქვეყანაში ნეგატიურ კონტექსტში განიხილება. კითხვაზე პასუხი არის, პრევენციის მიზნით უნდა მოხდეს საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება, რათა არ მოხდეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების საქმიანობის ლობირება. ლობირება ასევე, შეიძლება მოხდეს გაუთვითცნობიერებლად, უკვე ჩვენი, იმ პირების მიერ, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ტელევიზიასთან, არიან სოციალური ქსელების მომხმარებლები და ა.შ. მათ გააჩნიათ საზოგადოების ფართო მასების განწყობაზე ზემოქმედების პოტენციალი. დღეს სპეცსამსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი სოციალური ქსელებია, სადაც მოქალაქეების უდიდესი ნაწილის შესახებ ფაქტობრივად ღია წყაროში დევს ინფორმაცია. ამიტომ საზოგადოების ცნობიერება ამ მიმართულებით უნდა იყოს განვითარებული რათა უნებლიედ არ ჩაერთოს სადაზვერვო ლობირების პროცესში.

**შეკითხვა 3. რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და რა პარალელები შეიძლება გავავლოთ პოსტსაბჭოთა საქართველოსთან ?**

**პასუხი:** 1918-1921 წლების თემატიკასთან დაკავშირებით, დეტალურ ინფორმაციას ნახავთ ჩვენი საერთო მეგობრის (იგულისხმება დავით კუხალაშვილი) ნაშრომებში, რომელიც თემის შესავსებად გამოგადგება. მაგრამ, პოსტსაბჭოთა პერიოდში და ქვეყნებში განსხვავებული სადაზვერვო მოცემულობა გვქონოდა ამიტომ, ლობიზმიც განსხვავებული ფორმით ვლინდებოდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ლობირება ხდებოდა ღიად და აშკარად, და ყველამ იცოდა, რომ კგბ აკეთებს ამას და იყო შიშის ფაქტორი. პოსტსაბჭოთა ქვეყნების გადმონაშთი იყო დამოუკიდებელ საქართველოში, ხალხი, რომელიც ვერ გაერკვნენ რა სურდათ. ეს ხალხი ფაქტობრივად დღემდე, საბჭოთა სპეცსამსახურებში მიღებული განათლდებით სხედან ქართულ სპეცსამსახურებში, ასაკის და მიუხედავად. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში დაზვერვა იყო ძალიან ქვევით, მისი სადაზვერვო შესაძლებლობები იყო ნულს ქვევით. ფაქტობრივად უდიდესი ნაწილი რუსულ სპეცსამსახურებს ექვემდებარებოდნენ. სადაზვერვო სამსახურის წარუმატებელ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ტერაქტი ტერაქტზე ხდებოდა, იყო ქაოსი. დღევანდელ სიტუაციაში მნიშვნელოვანი განსხვავებაა, ახალი თაობაა ახალი მიმართულებებია, განათლებამ (გაცვლითი პროგრამები, ტრენინგები, კურსები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) უდიდესი როლი ითამაშა. მაღალგანვითარებული სახელმწიფოები დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველო წარმოადგენდეს მათ სადაზვერვო პლაცდარს კავკასიის რეგიონში. შესაბამისად მათ ინტერესში შედის, რომ საქართველო იყოს გაძლიერებული, ხოლო მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს (რუსეთს) სჭირდებათ ჩვენი სისუსტე.

**შეკითხვა 4. სადაზვერვო ლობიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით რა ნაკლოვანებები არსებობს საქართველოს თანამედროვე სპეცსამსახურების საქმიანობაში ?**

**პასუხი:** სპეცსამსახურების საქმიანობაში ლობირება, საქართველოში ამ მიმართულებით ძალიან მძიმე სიტუაციაა, ქართული სპეცსამსახურები ლობირებას ვერ უწევენ საკუთარ ინტერესებსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ უცხო სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებულ სადაზვერვო ლობიზმზე. საუბარიც ზედმეტია, საკუთარი გადაბირების სუბიექტების ინტერესების ლობირებაზე. დღეს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება ძალიან ბევრ ადამიანს ღირსების შემლახველ ქმედებად მიაჩნია. რაც არის პოსტსაბჭოთა გადმონაშთი, რომლითაც

ხასიათდებოდა საბჭოთა სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკა. კითხვაზე პასუხი კი არის, რომ დღეს სადაზვერვო ლობიზმის მიმართულებით ძალიან ბევრი პრობლემაა ქართულ სპეცსამსახურებში, რაც აიხსნება ისევ და ისევ განათლებისა და ცნობიერების დაბალი დონე, რასაც განათლების დაბალ ხარისხთან მივყავართ, ხოლო პრაქტიკაში სწორედ ეს ადამიანები, როგორც განათლებულები, ისე, გაუნათლებლები შეიძლება მოხვდნენ სპეცსამსახურებში.

**დასკვნა**.სიღრმისეული ინტერვიუს შედეგების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკითხვის ყველა ობიექტი სადაზვერვო ლობიზმს აღიქვამს თანამედროვე ტიპის საფრთხედ, რომელიც შეუსწავლელია ქართული სამეცნიერო წრეებისთვის. მათი მოსაზრებით სადაზვერვო ლობიზმის კუთხით ცნობიერების დაბალი დონე ფიქსირდება სპეცსამსახურებში, რასაც განათლების პრობლემამდე მივყავართ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სადაზვერვო ხასიათის ლობიზმთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობა ძირგამომთხრელი შედეგებით გამოირჩევა ეროვნული უსაფრთხოებისადმი და უნდა დაექვემდებაროს შესწავლას, ხოლო ოპერატიულ - ანალიტიკური გზებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სათანადო ზომები.

# დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი, რომ კვლევის პროცესში ამომწურავად გაეცა პასუხები საკვლევ შეკითხვებს, ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ სადაზვერვო ლობიზმი ეროვნული უსაფრთხოების სისტემის  მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელსაც მზვერავი სახელმწიფოსთვის გააჩნია დადებითი ეფექტი, ხოლო სამიზნე სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემისთვის დამაზიანებელი ზეგავლენა. საუკუნეების განმავლობაში ბრძოლის ეს მეთოდოლოგია იხვეწებოდა და დღეის მდგომარეობით გამოირჩევა კომპლექსურობით, რომელთან გამკლავება სპეცსამსახურების ერთ-ერთი ამოცანაა.

გლობალიზაციის ეპოქაში სადაზვერვო ლობიზმის უარყოფითი ზეგავლენისგან არცერთი სახელმწიფო არაა დაცული, მისი თავიდან არიდება შეუძლებელია. თუმცა, არსებობს სადაზვერვო ლობიზმის დაბალანსების სხვადასხვა  (საკანონმდებლო, კონტრსადაზვერვო, ოპერატიული, შემეცნებითი) მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია ეროვნული ინტერესების დაზიანების რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

კვლევის პროცესში გამართლდა მოლოდინი, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული ყველა სუბიექტი / სახელმწიფო საკუთარი თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისთვის ილტვის ძალაუფლების დომინაციისკენ ისე, როგორც ამას აღიარებს პოლიტიკური რეალიზმის თეორია. ძალაუფლებისკენ სწრაფვის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა, რომლის საფარქვეშ აქტიურად გამოიყენება ლობიზმი.

კვლევის პროცესმა დაადასტურა საკვლევი თემის ჰიპოთეზა, მასზე, რომ არ აქვს მნიშვნელობა  საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტები არიან სტრატეგიული პარტნიორები თუ ოპონენტები, ისინი თვითდამკვიდრებისთვის ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ სადაზვერვო საქმიანობას. რბილი ძალის

პოლიტიკის პირობებში კი, მოხდა სადაზვერვო და ლობისტური საქმიანობის სინთეზი. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით მზვერავ სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა ქმედითუუნარო გახადოს სამიზნე სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სადაზვერვო ლობიზმის გამოყენება კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით დამხობის შესაძლებლობას იძლევა.

განხილული თავებისა და ქვეთავების ანალიზით შესაძლებელია გამოვკვეთოთ ნაშრომის ძირითადი შედეგები, რომელიც ასახავს სხვადასხვა მიმართულებით საფრთხეების და გამოწვევების იდენტიფიკაციას, მათი განზოგადება შესაძლებელია საქართველოსთან მიმართებაში.

- ლობიზმის ისე, როგორც სადაზვერვო საქმიანობას ღრმა ისტორიული წარსული გააჩნია, რაზეც მეტყველებს ისტორიის მანძილზე პოლიტიკურ - ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო და სხვა პროცესებზე მათი ზემოქმედების კვალი;
- სადაზვერვო საქმიანობის ფორმულა დღემდე უცვლელია, არ აქვს მნიშვნელობა სახელმწიფოები არიან სტრატეგიული პარტნიორულ ურთიერთობებში, თუ მტრულ დამოკიდებულებაში. ისინი სასარგებლო ინფორმაციის მოსაპოვებლად, მუდმივად იყენებენ, როგორც სადაზვერვო, ისე ლობისტურ საქმიანობას;
- ყოველი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ხარისხს განსაზღვრავს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის წარმატებული მუშაობა, რომელიც დამოკიდებულია აგენტურულ - ოპერატიული, ანალიტიკური, ინტელექტუალური შესაძლებლობების მობილიზებაზე.
- ლობიზმს გააჩნია სადაზვერვო მოწყვლადობა, დომინანტი სახელმწიფოს ხელში იგი სადაზვერვო ზეგავლენის გაძლიერების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდოლოგიაა;
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი ინფორმაციული ომის წარმოების მექანიზმია, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოს საკუთარი სტრატეგიული

მიზნების მიღწევა უმარტივდება, იგი თავსებადია დაზვერვის ხუთივე (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო, ეკოლოგიური) მიმართულებასთან;

- ერთის მხრივ სადაზვერვო ხასიათის ლობიზმს გააჩნია დადებითი ეფექტი მზვერავი სახელმწიფოსთვის. ამ მეთოდის გამოყენება საერთაშორისო ასპარეზზე უპირატესობას სძენს მას და ხელს უწყობს მზვერავი სახელმწიფოს დომინირებას, ხოლო მეორე მხრივ, აზიანებს დაზვერვის სამიზნე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, რომელმაც შესაძლოა სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების რღვევაც კი გამოიწვიოს;
- სადაზვერვო ლობიზმს ახასიათებს ორი ტიპოლოგია: 1. პირდაპირი ლობიზმი-უშუალო კონტაქტი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მათზე ზეგავლენის მოხდენა. 2. არაპირდაპირი ლობიზმი-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა საზოგადოებრივი აზრის მობილიზების საშუალებით.
- კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების გვერდის ავლით, პირების, პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების ლობისტური ნიშნების შემცველი საქმიანობა მაღალი ალბათობით უკავშირდება უცხო სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებულ სადაზვერვო აქტივობებს;
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამოყენებით შესაძლებელია ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედებების წახალისება, რაც პრაქტიკაში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სახით გვხვდება;
- გლობალიზაციის პროცესი ართულებს სადაზვერვო ხასიათის ლობიზმთან გამკლავებას, რადგან სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, იგი რბილი ძალის პოლიტიკის პირობებში მიმდინარეობს და სამიზნე სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების სისტემებს უქმნის საფრთხეს. შესაძლოა ითქვას, რომ სადაზვერვო ლობიზმი წარმოადგენს ახალი ტიპის გამოწვევას, რომელიც დამატებით სიღრმისეულ მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს.

- კორპორაციული ჯაშუშობისა და/ან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოსარიცხად უნდა განხორციელდეს ადგილობრივი და უცხოური კომპანიების, საქმიანობის კეთილსინდისიერების ხარისხის განსაზღვრა და სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან თავსებადობის დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია დამაზიანებელი შედეგების თავიდან არიდება;
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის დაბალანსება შესაძლებელია პროცესის მუდმივი კონტროლით და მიღებულ ანალიტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით კანონმდებლობაში სისტემატური ცვლილებების შეტანით. კონტრსადაზვერვო სამსახურის მიერ აგენტურულ-ოპერატიული მონაცემების შეგროვებით, მათი ანალიზითა და გამოკვეთილი საფრთხეების პრევენციით. ასევე, ამ პროცესში სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მუშაკთა ჩართულობით;
- სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ლობიზმის მიმართულებებით საფრთხეების კლასიფიკატორის განსაზღვრა, რათა ოპერატიულად განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება;
- სამიზნე სახელმწიფოში, წარმატებით განხორციელებულ სადაზვერვო ხასიათის ლობისტური საქმიანობისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშან-თვისებათა ერთობლიობა:
    1. **სტრატეგიული მიზნების აღსრულებაზე, სადაზვერვო ხასიათის ლობისტური საქმიანობით ხელის შეშლა;**
    2. **სამიზნე სახელმწიფოში ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღების ხელშეწყობა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას უბიძგებს დახმარებების შეზღუდვისკენ;**
    3. **სადაზვერვო - ლობისტური ხასიათის აქტივობებით, სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პროექტების განხორციელებაზე ხელის შეშლა;**

4. თაობათა ცვლის პროცესში, სპეცსამსახურების საკადრო უზრუნველყოფა სადაზვერვო - ლობისტური საქმიანობის პროცესში ჩართული პირებით / არაკვალიფიციური კადრებით, კომპრომეტირებული პირებით და ა.შ.
5. სამიზნე სახელმწიფოში მასმედიის საშუალებებზე კონტროლის მოპოვება, პერმანენტული ხასიათის სადაზვერვო პროპაგანდის წარმოების მიზნით;
6. „ტვინის გამორეცხვა - Brainwashing"-ის მეთოდის გამოყენებით სამიზნე სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის კონტროლი;
7. პოლიტიკური გავლენების მოსაპოვებლად, სამიზნე სახელმწიფოებში დიასპორების ჩამოყალიბება და მათი ფინანსური მხარდაჭერა;
8. ეთნიკურ-რელიგიური იდეოლოგიის საფარქვეშ ეთნოსის კონსოლიდაცია და ფინანსური მხარდაჭერა შემდგომი სადაზვერვო ხასიათის ლობისტური საქმიანობის განხორციელების მიზნით;
9. სამიზნე სახელმწიფოს პოლიტიკურ პარტიებში ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფის ფრთის ჩამოყალიბება;
10. სამიზნე სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოში, ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლების, პერმანენტული ხასიათის ლობისტური საქმიანობა;
11. ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფების მობილიზება და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მათი გამოყენება;
12. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სეპარატისტული რეჟიმების დამოუკიდებლობის აღიარების პროცესის ორგანიზება და ამ რეჟიმების არსებობისათვის ფინანსური მხარდაჭერა;

- საერთაშორისო ურთიერთობები ატარებს ანარქიულ ხასიათს, სადაც სახელმწიფოები იმყოფებიან „ბუნებრივ მდგომარეობაში", სწორედ ამით იხსნება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პარადოქსული ბუნება, სადაც განვითარებული სახელმწიფოები ზრუნავენ კოლექტიური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე, თუმცა ფარულად ყველა სახელმწიფო ორიენტირებულია ძალაუფლების მოპოვებისკენ.

- მაღალგანვითარებული სახელმწიფოები, ერთმანეთის წინააღმდეგ ერიდებიან სამხედრო ძალის გამოყენებას, რაც ალტერნატიული საშუალებების გამოყენებას ისახავს მიზნად.
- თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, გავლენისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად, რბილი ძალა გახდა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი. მისი გამოყენება სხვადასხვა მეთოდოლოგიით ხორციელდება.
- რბილი ძალის პოლიტიკის პროდუქტია სადაზვერვო და ლობისტური საქმიანობის სინთეზი, რომელმაც პრაქტიკულად წარმოშვა სადაზვერვო ხასიათის ლობიზმი. იგი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის კუთხით წარმატებულ მეთოდოლოგიად ჩამოყალიბდა.
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმს გააჩნია, დადებითი ეფექტი მზვერავი სახელმწიფოსთვის, რადგან მისი გამოყენებით სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა მიაღწიოს სასურველ შედეგს და შეინარჩუნოს ზეგავლენა სამიზნე სახელმწიფოზე, ხოლო უარყოფითი ეფექტი სამიზნე სახელმწიფოს მიმართ, რადგან სადაზვერვო ხასიათის ლობიზმით შესაძლებელია სამიზნე სახელმწიფოს ხელისუფლებაზე და/ან გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე სადაზვერვო ზეწოლის განხორციელება.
- სადაზვერვო ხასიათის ლობიზმის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების (კორუფცია, ფულადი მაქინაციები, თაღლითობა, მონოპოლიური და ავანტურისტული გარიგებები და სხვა.) წახალისება, რაც სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემებზე დამაზიანებლად აისახება. ყოველივე კი, უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურებს, სამიზნე სახელმწიფოების ხელისუფლებებზე სხვადასხვა მიმართულებით ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.
- სამიზნე სახელმწიფოს მიერ, სადაზვერვო ლობისტური აქტივობის მიმართ არადეკვატური დამოკიდებულება, სათანადო პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობა საფრთხე უქმნის სახელმწიფოს სუვერენიტეტს და რისკის ქვეშ

აყენებს სახელმწიფოს კონსტიტუციურ შენარჩუნებას. აღნიშნული დამაზიანებელი ქმედებები შესაძლოა ინსპირირებული იყოს სადაზვერვო ლობისტური ჯგუფების მიერ, რომელშიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საზოგადოების ცნობიერებისა და განათლების დონე.

- სადაზვერვო ლობიზმი მნიშვნელოვნად საფრთხის შემცველი მოვლენაა დაზვერვას პროცესს დაქვემდებარებული სახელმწიფოსთვის, რადგან ამ ქვეყანაში მოქმედმა, უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურის გავლენის ქვეშ მყოფმა, ცალკეულმა ინტერესთა ჯგუფების მიზანია გავლენა მოახდინონ მმართველობის პროცესზე. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა მიღებულ იქნეს მათი კარნახითა და მზვერავი სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ.
- 1918-1921 წწ. და 1989-2003 წწ. პერიოდების შედარების შედეგად იკვეთება მოვლენათა პარალელიზმის ნიშნები საფრთხეებს მსგავსებასთან მიმართებაში, რომელიც ასე წარმოჩინდა:
    1. საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურები დაკომპლექტებული იყო ყოფილი იმპერიების (რუსეთის იმპერია / საბჭოთა კავშირი) სამსახურში მყოფი სახელმწიფო მოხელეებით;
    2. სახელმწიფოს მოსახლეობა ერთმანეთის მიმართ ჩართული იყო იდეოლოგიურ დაპირისპირებაში და საზოგადოება განიცდიდა დემორალიზაციას. ამ გარემოებამ წარმოშვა დესტაბილიზაციის გაღვივებისთვის მოწყვლადი ნიადაგი;
    3. ცენტრალურ ხელისუფლებას საკანონმდებლო კონფლიქტი ჰქონდა რეგიონულ ხელისუფლებასთან;
    4. საქართველოს წინააღმდეგ, უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ძალისხმევით მოხდა ეთნიკური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება;
    5. უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ, საქართველოს ხელისუფლებების მიმართ განხორციელდა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება;

6. **საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, საქართველო, უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ძალისხმევით ჩართული იქნა მეზობელ სახელმწიფოებთან საომარ მოქმედებებში;**
7. **საქართველომ ვერ შეძლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი, ინტერესის დაცვა, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება, რითაც საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა შეწყვიტა არსებობა;**

- საერთაშორისო ურთიერთობების პოპულარული ტერმინი, „სტრატეგიული პარტნიორი" ორაზროვან შინაარს ატარებს. შესაბამისად, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში შეუსწავლელია მისი დეფინიცია, თუ ჭეშმარიტად რას გულისხმობს საქართველოსთან მიმართებაში ურთიერთობის ეს ფორმა;
- კავკასიის რეგიონში, ნებისმიერ ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოვლენა, პირდაპირ პროპორციულად აისახება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) პოლიტიკურ დღის წესრიგზე. არ აქვს მნიშვნელობა, მათ აქვთ თუ არა აღნიშნულ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის სურვილი. უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ლობირების შედეგად ისინი მიზანმიმართულად ჩართულნი არიან მართვად კრიზისებში;
- დროის მცირე მონაკვეთში მომხდარი მასშტაბური გეოპოლიტიკური მოვლენა არასტაბილური პროცესების დაწყების მანიშნებელი გარემოებაა. ასეთი პროცესები განსაკუთრებული დამაზიანებელი შედეგებით გამოირჩევა პატარა სახელმწიფოებისთვის;
- დიდი გეოპოლიტიკური მოვლენებში პატარა სახელმწიფოები ხშირად ხდებიან გლობალურ მოთამაშეებს შორის ვაჭრობის საგანი, რაც პრაქტიკაში გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესად გვევლინება, რომლის დამაზიანებელი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია მიტმასნის და/ან ბალანსირების პოლიტიკით;
- მიტმასნის და/ან ბალანსირების პოლიტიკის წარმოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის თითოეული

სახელმწიფოსთვის. ამით აიხსნება მათი მხრიდან მფარველი სახელმწიფოს მუდმივი ძებნის პროცესი;

- სახელმწიფოს მხრიდან გატარებული უკონტროლო ღია კარის პოლიტიკა ატარებს სადაზვერვო ლობირების ნიშნებს, რომელშიც სადაზვერვო პროპაგანდა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ მეთოდების წარმატებით გამოყენების შემთხვევაში ეროვნულ ინტერესებს გამოუსწორებელი ზიანი ადგება;
- ყველა სახელმწიფო დაინტერესებულია საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფით. შესაბამისად, ისინი მიზნის მისაღწევად იყენებენ სადაზვერვო საქმიანობას. ამ დისციპლინის შესწავლის პროცესში დგინდება, რომ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოებისთვის მართებულია ნებისმიერი ხასიათი მეთოდოლოგიის გამოყენება, მათ შორის სადაზვერვო ლობიზმი.
- სადაზვერვო ხასიათის ნებისმიერი აქტივობა, არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ლობიზმი, პროპაგანდა თუ დეზინფორმაცია, შეფუთულია კონკრეტული საზოგადოებისთვის მისაღები ღირებულებების ისეთი ფორმებით როგორიცაა: გარდაქმნის პოლიტიკა, ერთა თვითგამორკვევის პროცესი, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის იდეა, დემოკრატიული ღირებულებები, სტრატეგიული პარტნიორობა, სიტყვის თავისუფლება და სხვა;
- ეთნიკურ - რელიგიური უმცირესობების სიმრავლით გამორჩეულ სახელმწიფოში, უმცირესობათა ჯგუფები უნდა დაექვემდებარონ მკვიდრ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პროცესს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უცხო ქვეყნებისთვის წარმოადგენენ სადაზვერვო საქმიანობის მოწყვლად სეგმენტს, რომელიც სეპარატიზმის ან რელიგიური რადიკალიზმის განვითარების წინაპირობას;
- რეგიონული ხელისუფლებები მუდმივად უნდა ექვემდებარებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური კოორდინაციის პროცესს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მათ შორის განხეთქილების რისკი. სხვა შემთხვევაში არსებობს მტრულად განწყობილ სახელმწიფოსთან მათი

გარიგებისა და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედების მაღალი ალბათობა;

- საერთაშორისო ურთიერთობებში გლობალური აქტორები ქმნიან გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას, ხოლო მათი გეგმის შესაბამისად უწევთ მოქმედება პატარა სახელმწიფოებს. ამ გეგმებიდან გადახვევა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის და/ან სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ტოლფასია;
- არაოფიციალური პირების მიერ გამართული შეხვედრები და მათი მიერ გაჟღერებული პოზიციები შეიძლება არ წარმოადგენდეს, თავიანთი სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციას. მათი საქმიანობა ხშირად დაკავშირებულია სადაზვერვო ხასიათის ლობირებასთან, რომელიც მაღალი ალბათობით ემსახურება სამიზნე სახელმწიფოს ხელისუფლების შეცდომაში შეყვანას;
- სახელმწიფოს პირველი პირის მხრიდან „მე"-ს პრინციპით განხორციელებული მმართველობა დამღუპველია ეროვნული ინტერესებისთვის. მსგავსი მმართველობის დროს, მზვერავ სახელმწიფოს ეძლევა სამიზნე საზოგადოების დაყოფის და ერთმანეთთან დაპირისპირების შესაძლებლობა;
